

ქართული სტრუქტურა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“
კვიციანი ლევან

ფასი 1 ლარი

14-20 ოქტომბერი 2015 წ. ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„ოცნების“ სარიჰო თემაში და „ნაციონალების“ „დაუბა ვიუ“

„ნაციონალებმა“ იცინა, რომ „ქართული ოცნების“ მამოძრავებელი და სულიწამდგამელი ბიძინა ივანიშვილია და თუკი მის ერთგვარ ნეიტრალიზებასა და დემონიზაციას მოახდენენ, ამით „ქართულ ოცნებას“ დაასუსტებენ.

ხუსთავი 2
პენიონის!

➤➤➤ 09-10 33.

„ხელისუფლებაში ვიღაცას აწყობს, „რუსთავი 2“ ისეთი ალარ იყო, როგორც დღესაა!“

„რუსთავი 2“-ის ფაქტორი დიდწილად პოლიტიზირებულია – თეორიულად შეიძლება დავუშვათ, რომ ძიხარ ხალვაში ხელისუფლების დავალებით მოქმედებს. ასეთი ეჭვი ჩნდება და ლეგიტიმურია შეკითხვა, თუ რატომ არ მოითხოვს წილები ორი-სამი წლის წინ და რატომ ითხოვს ახლა...“

„ახალკაცის ცოლმა მივან, გმონი, ტოლგეზი აჭაგა და მაგიტომაც ჰქონდათ კარგი ურთიერთობა...“



რას აკეთებს საკრებულოში და ვინ გამოუცხადა ომი მანუჩარ მაჩაიძეს

„რა გავაკეთე, ჩემო ძეგო?! – როგორ, აღვიშვილი, მერაბიშვილი და ეს უცოდინარი და გაუნათლებელი „ნაციონალი“ უნდა იყვნენ პოლიტიკაში და მე, მანუჩარ მაჩაიძე, ტაქნიკურ მეცნიერებათა დოქტორი და განათლებული კაცი, მაგას არ ვიმსახურებ, რომ საპარლამენტო ორგანოში ვიყო? ეს ხისთავიანი, გაუნათლებელი „ნაციონალი“, უნიგნურები, „მოქალაქეთა კავშირი“ ამთნაირი გამოგზავნილი ხალხით იყო სავსე, მაგათმა გაყიდეს საქართველო, ყველაფერს დადა უტირეს, მრეწველობა დაანგრიეს, ხალხს აზიზობილებდნენ, ქართველების განოცდილი მოაწყვეს და მე არ უნდა ვიყო საკრებულოში?“

როგორ დანერა ჯანსუღ ჩარკვიანმა „ირინოლა“

➤➤➤ 09-12 33.

ვინ იყო და რა აკავშირებდა იან ბრაუნს საქართველოსთან

„გარემოცვამ ივანიშვილი დიდი ხნის წინ განირა!“



„ხელისუფლება „გაზრომის“ სურვილებს რატომ ითვალისწინებს, ან თუ ალტერნატიულ ენერგომომარაგებაში გარკვეული საფრთხე არსებობს, რატომ არაფერს გვეუბნება? დღემდე გაზსადენი „გაზრომის“ საკუთრება არ იყო, მაგრამ მუდმივი გაზიც გვქონდა და ელექტროენერგიაც. არც გადასახადი იყო ძვირი, მაგრამ უცვლელ ტარიფიც გაქვირდა. მესმის, რომ ეს შესაძლოა, ვალუტის კურსის ცვლადობამ გამოიწვია, მაგრამ სტრატეგიული ობიექტი ხელში რუსულ სახელმწიფო კომპანიას რატომ უნდა ჩავუბდოთ? ოკუპანტი ძველნისთვის სტრატეგიული ობიექტის გადაცემა მხოლოდ შეცდომაა კი არა, დანაშაულიცაა!“

„რაც ღრო გავა, ჭაოგში უფრო ღრმად ჩავეფლოებით!“

➤➤➤ 09-8-9 33.

მამუკა არეშიძე: „ოცნების“ მიერ პირადი ერთგულებით დაკომპლექტებული უწყებები არაპროფესიონალებითაა სავსე!“



➤➤➤ 09-2-3 33.

მიხეილ სააკაშვილი: „ისტორია გამასამართლებს!“

სპანდელური ექსკლუზივი

„გარემოცვა ივანიშვილი დიდი ხნის წინ განიჭა“

მალე შესაძლოა, ჩრდილოეთურმა ალმა ნაგველკოს. ყოველ შემთხვევაში, ქართული მხარე რუსულ სახელმწიფო კომპანია „გაზპრომთან“ გარკვეულ დიალოგს მართავს. რატომ დადგა დღის წესრიგში „გაზპრომთან“ დამეგობრება, როცა აზერბაიჯანს ჩვენთვის გაზის მონოდება არ გაუძვირებია? — ამ ლოგიკურ შეკითხვას „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში უშიშროების თადარიგის ოფიცერი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე სვამს და იქვე, 2005 წელს იხსენებს, როცა „ნაციონალების“ ხელისუფლებას გაზსადენის „გაზპრომისთვის“ გადაცემა ამერიკელებმა გადააფიქრებინეს... ამბობენ, რომ ამ ქვეყნად და, შესაბამისად, პოლიტიკაშიც შემთხვევით არაფერი ხდება. თუკი მართლა ასეა, მაშინ შემთხვევითი, ალბათ, არც ისაა, რომ „გაზპრომის“ თემა ჰააგის ტრიბუნალის მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიებას მიეზა. ყველაფერი ეს კი, ბუნებრივია, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ქართველი სპეცსამსახურელი ამ კონტექსტში „გაზპრომის“ მიერ ინვესტიციის უკან მოთხოვნასაც განიხილავს და ამბობს, რომ საქმე გვაქვს ე.წ. ჩუბაისის ეკონომიკურ ბაზართან... ყოველივე უემოტიუალის გარდა, კონსტანტინე ფორჩხიძე არც იმას ამოორიყვანს, რომ „გაზპრომთან“ მოლაპარაკებები ცალკეული თანამდებობის პირების პირად ინტერესებს უკავშირდებოდეს. ასეა თუ ისე, ფაქტია: ოკუპანტი რუსეთი მარნუხებს გვიჭერს. ჩვენს თავდაცვის მინისტრს კი იმედი აქვს, რომ ვარშავის სამიტზე ნატო-მ შესაძლოა, მაშის გარეშე დაგვიხლოვოს. ეს ის შემთხვევაა, როცა უნდა ვთქვათ, თავდაცვის მინისტრის პირს შაქარი, მაგრამ ერთი ქართული ზღაპრისა არ იყოს, შაქარი „შორს ბუზისტოლდაც არ ჩანს“. სამაგიეროდ, ვხედავთ ოკუპანტის ჩექმას და... „გაზპრომს“... მოკლედ, რა მოგველის? — ამის გარკვევას „ქართული სიტყვა“, ტრადიციულად, ქართველ სპეცსამსახურელთან შეეცადა, რომელსაც დიდი გამოცდილება და აურაცხელი ინფორმაცია აქვს...

იხილ საბაზვილი: „ისტორია გამასაბრთლებს“

„ხელისუფლება „გაზპრომის“ სურვილებს რატომ ითვალისწინებს, ან თუ ალტერნატიულ ენერგომომარაგებაში გარკვეული საფრთხე არსებობს, რატომ არაფერს გვეუბნება? დღემდე გაზსადენი „გაზპრომის“ საკუთრება არ იყო, მაგრამ მუდმივი გაზიც გვექონდა და ელექტროენერჯიაც. არც გადასახადი იყო ძვირი, მაგრამ უცებ ტარიფიც გაძვირდა. მესმის, რომ ეს შესაძლოა, ვალუტის კურსის ცვალებადობამ გამოიწვია, მაგრამ სტრატეგიული ობიექტი ხელში რუსულ სახელმწიფო კომპანიას რატომ უნდა ჩაუვადლოთ? ოკუპანტი ქვეყნისთვის სტრატეგიული ობიექტის გადაცემა მხოლოდ შეცდომაა კი არა, დანაშაულიცაა! — ისე, ცალკეული ეკონომისტები ამბობენ, ვინაიდან პატარა და ღარიბი ქვეყანა ვართ, ინვესტიციების წარმომავლობით არ უნდა დავინტერესდეთო. ისიც ისტორიული ჭეშმარიტებაა, რომ ფულს სუნი არ აქვს... — როგორ გეკადრებათ! ფულს, მით უმეტეს, პოლიტიკურად გაჯერებულს, სპეციფიკური სუნი აქვს. ამიტომ, ყველაფერ ამას ეკონომიკური კი არა, პოლიტიკური ელფერი აქვს. სხვათა შორის, ამ კუთხით რუსეთს წინააღმდეგობას, არ თუ ვერ, არც „ნაციონალისტებს“ უნდა — სწორედ „ნაციონალისტების“ დროს ჩაიგდო რუსეთმა ჩვენი ენერგოენერჯის ობიექტები. მაშინაც ვამბობდი და ახლაც ვამბობ: ეს რუსეთის სპეცსამსახურების გენერალური ხაზია. თუ ვინმეს ჰგონია, რომ „გაზპრომის“ უკან სპეცსამსახური არ დგას, ძალიან ცდება. საერთოდ, როცა გინდა, რომ დაიმორჩილო და შენი პოლიტიკური ორიენტაციის გზაზე ატარო, ქვეყანაზე ზეგავლენა უნდა გქონდეს. ზეგავლენისთვის კი, ყველაზე კარგი საშუალება ეკონომიკაა. — მაშასადამე, „გაზპრომის“ საქართველოში შემოსვლა ჩვენი საგარეო კურსის

შეცვლის წინაპირობა გახდება? — რა თქმა უნდა, ჩვენი საგარეო ორიენტაციები შეიცვლება. თავის დროზე გაზსადენი რომ არ გაყიდულიყო, საქმეში ამერიკელები ჩაერივნენ და ამიტომ აღარ გასხვისდა... წინა ინტერვიუებში არაერთხელ განვაცხადე, რომ ენერგომომარაგებაზე რუსეთის გავლენის გაზრდა საქართველოს მიერ და პოლიტიკის შეცვლას გამოიწვევს. აკი, ნელ-ნელა ასეც ხდება... — იმ დროს, როცა ქვეყნის ვიცე-პრემიერი „გაზპრომს“ ელაპარაკება, თავდაცვის მინისტრი ამბობს, შეგვიძლია, ნატო-ს წევრები მაშის გარეშეც გავხედეთო... საქმე შიდა სახელისუფლებო უთანხმოებასთანაც ხომ არ გვაქვს? — ამის შემხედვარეს ერთი ცნობილი იგავი მახსენდება: ჭაპანს ყველა სხვადასხვა მიმართულებით ეწევა. ისე, არ გამოვიცხავ, რომ „გაზპრომის“ თემა „ოცნებაში“ განხეთქილება გამოიწვიოს. — რატომ? — იმიტომ, რომ „ოცნება“, თავისი პოლიტიკური კონგლომერატიდან გამომდინარე, საგარეო ორიენტაციებში მკვეთრად ჩამოყალიბებული არაა. ვფიქრობ, ხელისუფლებაში, საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით, განხეთქილება უკვე არსებობს და ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ჩინოვნიკები განსხვავებულ განცხადებებს აკეთებენ. ყოველ შემთხვევაში, აშკარად ჩანს, რომ კალაძის გუნდისა და „რესპუბლიკელების“ მოსაზრებები ამ თემაზე განსხვავებულია. რაც შეეხება პრემიერს, ქვეყნის ევროატლანტიკურ

— ბატონო კონსტანტინე, თქვენი, როგორც უსაფრთხოების ექსპერტის აზრით, ქართულმა მხარემ „გაზპრომთან“ მოლაპარაკებები რატომ დაიწყო? — ეს უფრო რუსული ინიციატივა მგონია. — შეიძლება, მაგრამ ხომ შეგვეძლო, რომ ეს ინიციატივა „გაგვეტარებინა“? — რა თქმა უნდა, შეგვეძლო, მით უმეტეს, რომ „გაზპრომის“ ინიციატივა საქართველოსა და მისი უსაფრთხოებისთვის სტრატეგიულია. — დღეს გაზს ვისგან ვიღებთ? — აზერბაიჯანისა და იმ ძველი გაზსადენით, რომელიც 2006 წელს აფეთქდა, რუსეთისგანაც ვიღებთ — ალბათ, გასსოვით, მაშინ რაც მოხდა. საერთოდ, დღეს ქართული მხარისა და „გაზპრომის“ მოლაპარაკებების ერთ-ერთი მთავარი საკითხი, როგორც ვიცე, სომხეთთან ტრანზიტია. — ამას ოფიციალური თბილისი ადასტურებს... — ამ ტრანზიტთან საქართველო რუსეთისგან უსასყიდლოდ გაზის, დაახლოებით, 8 პროცენტს მიიღებს. ასევე, ალსანიშნავია, რომ „გაზპრომისგან“ გაზს ისეც ვყიდულობთ. — კი ბატონო, მაგრამ ყიდვა სხვა რამეა, ინვესტიცია კი, — სხვა... — ცხადია... ამ კონტექსტში ან გარდაცვლილ კახა ბენდუქიძესთან დაკავშირებული ისტორიაც უნდა გავიხსენოთ. — ბენდუქიძე რაღა შუაშია? — 2005 წელს, როცა კახა ბენდუქიძე ეკონომიკის მინისტრი იყო, ქვეყანაში მასობრივი პრივატიზაციის ახალი ტალღა დაიწყო და მაშინ სწორედ ამ გაზსადენის პრივატიზებაც, ანუ „გაზპრომის“ შემოსვლაც განიხილებოდა, მაგრამ მაშინ ეს არ გამოვიდა, დღესაც ამაზე ლაპარაკი, თორემ „გაზპრომის“ რუსული სახელმწიფო აკონტროლებს, რუსულ სახელმწიფოს კი, საქართველოში ენერგომომარაგების აინტერესებს. ნების განმავლობაში, კრემლი მეთოდურად ახერხებდა, რომ ქართულ ეკონომიკასა და ენერგოსექტორში შეეღწია და მასზე დამოკიდებული გაეხადა. ეს კი, ენერგოსაფრთხოების თვალსაზრისით, ჩვენთვის ნომერ პირველი საფრთხეა. — ამ კუთხით, ვიღაცამ შეიძლება, თქვას, რომ აზერბაიჯანის საფრთხეა... — შეიძლება, თქვას, მაგრამ ვნახეთ: ნების განმავლობაში, როცა ძალიან გვიჭირდა, აზერბაიჯანს გაზი არც გაუშვირებია და პრობლემები არც გაზის მონოდებაზე შეუქმნია. მოკლედ, „გაზპრომს“, ანუ კრემლს საქართველოში თავისი ინტერესები აქვს, მაგრამ არ უნდა, ხაზი გაუსვას, რომ ეს მოლაპარაკებები მისი ინიციატივით დაიწყო. როგორც ჩანს, ხელისუფლებაში ვილაც-ვილაცობა არ იცინა, ქვეყნის ენერგომომარაგება

გაგრძელება მ-3 გვ.



„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგე ლინი



საქართველო
საქართველო

სკანდალური ექსკლუზივი

მ-2 გვირგვინი

რი პასუხისმგებლობა მთლიანად მასზეა. ამიტომ, თავის გაცხადებებსა და მოქმედებებში თანმიმდევრული უნდა იყოს, თუმცა საქმე საქმეზე რომ მიდგეს, იგივე „გაზპრომთან“ დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ ენერჯეტიკის სამინისტრო ვერ მიიღებს, ანუ ასეთი შეთანხმებები, როგორც წესი, სახელმწიფო დონეზე ფორმდება ხოლმე და შესაბამისად, პრემიერსაც, ადრე თუ გვიან, განცხადების გაკეთება მოუწევს.

– კოტე ბატონო, შეიძლება, ვცდები, მაგრამ „გაზპრომი“ ჩვენებური პოლიტიკისთვის, ალბათ, ერთგვარ ლაკუმუსის ქალაქად იქცევა. ყოველ შემთხვევაში, რუსული სახელმწიფო კომპანია ავანსცენაზე მაშინ გამოჩნდა, როცა ოპოზიცია, კერძოდ, „ნაცმოძრაობა“ ვადამდე საპარლამენტო არჩევნებს და თბილისის მერის გადაყენებას ითხოვს...

– 2016 წლამდე ერთი წელიწადი დარჩენილი და ვადამდე არჩევნების მოთხოვნით „ნაცმოძრაობა“, უბრალოდ, პოლიტიკური ქულების დაწერას ცდილობს...

– ცხადია, მაგრამ იგივე „ნაცებს“ ხომ შეუძლიათ, რომ „გაზპრომის“ თემა ზომაზე მეტად გაააქტიურონ?

– დიას და ეს გამყოფი იქნება – გამოჩნდება, პოლიტიკური სპექტრიდან ვინ რა პოზიციას დაიჭერს. ისე, შეხედეთ პოლიტიკურ სპექტრს, მთლიანად „გაყურსულია“, მათ შორის, პროდასავლური პარტიებიც. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „გაზპრომთან“ დაკავშირებით განცხადება „რესპუბლიკელებმა“ მაინც უნდა გააკეთონ, თორემ ისე არ გამოვა, რომ ერთი ხელით ნატოს კარს ამტვრევდე და ამბობდე, ვარშავის სამიტზე მაპ-ზე მეტი გვიწადო, მეორე ხელით კი, გუნდად ჩამოყალიბებული პოზიცია არ გქონდეს. თუ მათი პოზიციები განსხვავებულია, მაშინ გაიყენე და ისე დაჯგუფდნენ, როგორც საჭიროა. ასე, ერთმანეთზე ამოფარებით საზოგადოების დეზორიენტაცია არ შეიძლება.

– ამას რატომ ამბობთ?

– იმიტომ ვამბობ, რომ „ოცნების“ ერთი ფრთა ამბობს, ენერგობიზნესი ვყიდის და მოლაპარაკებას „გაზპრომთან“ ვანარმოებო, მეორე კი, – მაპ-ზე მეტს ითხოვს. ვიმეორებ: „გაზპრომი“ რუსული სახელმწიფო კომპანიაა და, შესაბამისად, რუსულ სახელმწიფოსთან მოლაპარაკება მას მერე უნდა ანარმოო, როცა დიპლომატიური საკითხები გადაწყდება. ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობა არ გაქვს, ოკუპანტია და შენს ერთ-ერთ კოზირს აძლევ, ეს უპირობო დათმობას და რაღაც-რაღაცებზე უარის თქმას ნიშნავს. ადრე თუ გვიან, მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა მოგვიწევს და რითიღა უნდა ველაპარაკოთ?

– ესე იგი, საუბარი იქითკენ მიგყავთ, რომ საქმე კაპიტულაციასთან გვაქვს?

– ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ შესაძლოა, სხვა ინტერესები გამოიკვეთოს.

– ბატონო კოტე, გამორიცხავთ, რომ „სხვა ინტერესები“ ცალკეულ ჩინოვნიკთა კერძო ინტერესები იყოს?

– გამორიცხული არაა, რომ ამ თემაში კერძო ინტერესები იყოს ჩართული...

– ისე, აქ ლაპარაკი მხოლოდ „გაზპრომზე“ არაა და ყურადღება „ინტერ რაოსაც“ უნდა მივაქციოთ, რომლის ხელშიც მთელი ენერგოდისტრიბუციაა.

– „ინტერ რაო“ რუსული კომპანია არაა...

– ვინც რა უნდა თქვას, „ინტერ რაო“ წმინდა რუსული მენეჯმენტის კომპანიაა და საერთოდ, ყველაფერს მენეჯმენტი განსაზღვრავს, ანუ მნიშვნელობა არ აქვს, ოფიციალური დოკუმენტები ვისზეა. თუკი მენეჯმენტში რუსული კადრები ფიგურირებს, შეიძლება, კომპანიის რეალურ წარმომავლობაზე ვისაუბროთ. მოკლედ, „ინტერ რაო“ მთლიანად რუსულია.

– მაშასადამე, თქვენი ლოგიკა ასეთია: „გაზპრომთან“ მოლაპარაკებები ელექტროენერჯის ტარიფების გაზრდის გაგრძელება?

– დიას. ყველაფერი ეს ერთი ერთ კონტექსტია და ამავე კონტექსტში უნდა ვაზახურნი მენეჯმენტის მიერ „ყაზტრანსგაზიდან“ 100 თუ 120 მილიონი ინვესტიციის უკან



„ხელისუფლებაში, საბარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით, განხილულია უკვე არსებობს და ამაზე ისიც მითხვალეს, რომ ჩინოვნიკები განსხვავებულ განცხადებებს აკეთებენ. ყოველ შემთხვევაში, აშკარად ჩანს, რომ კალაძის გუნდისა და „რესპუბლიკელების“ მოსაზრებები ამ თემაზე განსხვავებულია. რაც შეეხება პრემიერს, ძველნი ეპრობლანტიკური პასუხისმგებლობა მთლიანად მასზეა. ამიტომ, თავის გაცხადებებსა და მოქმედებებში თანმიმდევრული უნდა იყოს, იგივე „გაზპრომთან“ დაკავშირებით განცხადება „რესპუბლიკელებმა“ მაინც უნდა გააკეთონ, თორემ ისე არ გამოვა, რომ ერთი ხელით ნატოს კარს ამტვრევდე და ამბობდე, ვარშავის სამიტზე მაპ-ზე მეტი გვიწადო, მეორე ხელით კი, გუნდად ჩამოყალიბებული პოზიცია არ გქონდეს. თუ მათი პოზიციები განსხვავებულია, მაშინ გაიყენე და ისე დაჯგუფდნენ, როგორც საჭიროა. ასე, ერთმანეთზე ამოფარებით საზოგადოების დეზორიენტაცია არ შეიძლება.“

წაღების მოთხოვნაც. ეს ე.წ. ჩუბაისის ბაზარია, რომელიც აზერბაიჯანსაც მოიცავს და მინდა, ამ თემასაც შევეხოთ.

– კეთილი, მაგრამ ვიდრე აზერბაიჯანზე გადავალთ, შააგის ტრიბუნალს შევეხებით, რომელიც აგვისტოს ომის მასალებს ითხოვს. სხვათა შორის, არსებობს მოსაზრება, რომ ტრიბუნალმა შესაძლოა, ქართველი ერის გენოციდის საკითხი წამოსწიოს...

– 2008 წლის აგვისტოს ომის დასრულების შემდეგ, ევროსაბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმადაც, ეს საკითხი შესწავლილი უნდა ყოფილიყო და მის ხელთარსებული დოკუმენტაცია, მათ შორის, ე.წ. შაიდი ტალიავინის დასკვნა შააგის ტრიბუნალს გადაუგზავნა. შესაბამისად, შააგა სწორედ ტალიავინის დასკვნის შესწავლას ითხოვს, ანუ შააგის სასამართლო სამართლებრივი პროცესუალური ნორმების განხორციელება დაიწყო და საქართველოს ხელისუფლებას მიმართა, რომ დოკუმენტური მასალა, რომელიც ქართულ მხარეს აქვს, მიანოდოს.

– თუ არ ვცდები, ეს მასალები ქართულმა მხარემ შააგას თავის დროზე უკვე მიანოდა...

– დიას, მაგრამ ახლა საუბარი, ჩემი აზრით, ერთ თემაზე იქნება.

– რაზე?

– როგორც ვიცი, შააგის სასამართლო მაშინდელი ქართველი ჩინოვნიკების საქმიანობას შეისწავლის, ანუ სახელმწიფო მოხელეები ომის დროს კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედებდნენ თუ არა. სხვათა შორ-

ის, ამ თემებზე წინა ინტერვიუებში ვლაპარაკობდით და ისიც ვთქვი, რომ ყველაფერ ამით, ადრე თუ გვიან, შააგის სამხედრო ტრიბუნალი დაინტერესდებოდა და არ გამოვრიცხავ, რომ ცუდ მდგომარეობაში დღევანდელი ხელისუფლებაც აღმოჩნდება.

– დღევანდელ ხელისუფლებას აგვისტოს ომთან რა შეხება აქვს?

– გენშტაბის მოქმედი უფროსის, ვახტანგ კაპანაძის მიმართ პრეტენზიების წამოყენება სწორედ აგვისტოს ომით დაკავშირებულია, ანუ გენშტაბმა 2008 წლის აგვისტოში შეიარაღებული ძალების მოქმედებების შესწავლა დაიწყო და ეს დასკვნა უშიშროების საბჭოს გადაუგზავნა. ქართული მხარე შააგის ტრიბუნალს, ალბათ, ამ დოკუმენტს გადასცემს, მაგრამ ეს დოკუმენტი ტენდენციურია.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ამ დოკუმენტის შედგენაში ის ადამიანები მონაწილეობდნენ, რომლებიც სხვადასხვა დროს უკანონო მოქმედებებში იყვნენ ჩართულნი, მათ შორის, იარაღით უკანონო ვაჭრობასა თუ სამხედრო მოქმედებებში.

– ერთი სიტყვით, კოტე ბატონო, შააგის ტრიბუნალი აგვისტოს ომს ტალიავინის დასკვნისა და ქართული მხარის მიერ მიწოდებული მასალებით გამოიძიებს?

– შააგა მასალებს რუსეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთისგანაც მოითხოვს. ასევე, ეუთო-ს მისიისა და დიპლომატიური ხაზით გავრცელებული ლეგალური თუ არალეგალური დოკუმენტაციითაც დაინტერესდე-

ბა. შააგის სამხედრო ტრიბუნალი მხოლოდ სააკაშვილის კი არა, რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხსაც განიხილავს და რუსეთის სამხედრო ძალების მოქმედებებთან დაკავშირებით უნდა დადოს, აგვისტოს ომის არიდება შესაძლებელი იყო თუ არა.

– ყველაფერი ეს გასაგებია, მაგრამ დღეს მიხეილ სააკაშვილი უკრაინის უმაღლესი თანამდებობის პირია. ვთქვათ, შააგამ ექსპრეზიდენტი დაადანაშაულა. მის მიმართ განაჩენი როგორ უნდა აღსრულდეს?

– შააგის საერთაშორისო სამართლის ნორმები ნებისმიერ ქვეყანაზე ვრცელდება, მათ შორის, უკრაინაზეც. მილოშვიჩი სერბეთის პრეზიდენტი იყო, მაგრამ დანაშაულებებზე პასუხი აგებინეს, თუმცა დანაშაულის ხარისხს გააჩნია. სააკაშვილს ე.წ. სამხრეთ ოსეთში ოსური მოსახლეობის გენოციდი არ განუხორციელებია, რასაც რუსეთის ფედერაციაზე ვერ ვიტყვი – ქართველები მხოლოდ კი არ დახოცა, არამედ, საკუთარი სახლებიდანაც გამოყარა.

– მაინც, როგორ ფიქრობთ, შააგის ტრიბუნალი სააკაშვილს, ვთქვათ, შიდა პატიმრობას მიუსაჯვს თუ დადანაშაულებს სხვა სახის სასჯელზე იქნება?

– აბა, როგორ გითხრათ?! საერთოდ, ეს ხანმოკლე პროცესი არ იქნება... სხვათა შორის, სააკაშვილი გრძნობდა, რომ მისი საქმე, ადრე თუ გვიან, შააგამდე მივიდოდა. თავის დროზე, 8 აგვისტოს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში, ტეფტის მიერ გაგზავნილ რაპორტზე ვისაუბრეთ, სადაც ის პირდაპირ ამბობს, სააკაშვილი შეუფოტებულია და ამბობს, ისტორია გამასამართლებსო. ამავე რაპორტში ტეფტს სააკაშვილის კიდევ ერთი ფრაზა მოჰყავს, ყველაფერ ამას რუსეთი საქართველოში შემოჭრის საბაბად გამოიყენებსო. ტეფტი კითხულობს, თუ რატომ არ გამოაცხადა სააკაშვილმა საგანგებო მდგომარეობა. გარდა ამისა, რაპორტში ხაზგასმულია, რომ ტეფტმა სააკაშვილს უთხრა, ეს ატიპური ბრძოლაა, რომელიც ბევრჯერ ყოფილა და ჩამქრალა, ამიტომ, სამხედრო ძალების გამოყენების გადანიშნულება არ მიელო.

– გამორიცხულია, რუსეთის ფედერაციამ შენოლა მოაგდინოს და შააგამ ისეთი გადანიშნულება მიიღოს, რომელიც კრემლს ეამება, ანუ დადოს დასკვნა, რომ ომი საქართველომ დაიწყო?



საქართველო
საქართველო

სკანდალური ექსკლუზივი

მ-3 გვერდიდან

– გამორიცხულია! ვფიქრობ, ჰააგა ტალიანის დასკვნას დეტალურად შეისწავლის... სხვათა შორის, ფართო საზოგადოებისთვის უცნობია, ჰააგის ტრიბუნალი ქართული მხარისგან კონკრეტულად რა დოკუმენტაციას ითხოვს.

სხვათა შორის, თავის დროზე, როცა გენშტაბმა აგვისტოს ომზე დასკვნა დადო, ისიც ვთქვი, რომ ვახტანგ კაპანაძეს ყურადღება მხოლოდ სამხედრო კომპონენტებზე კი არა, კონსტიტუციის ნორმების დარღვევაზეც უნდა გაემახვილებინა, რადგან სამხედრო ძალების მოქმედება კონსტიტუციურ ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ყველა მოქმედება დანაშაულია, მაგრამ ვინაიდან ზემოხსენებულ დასკვნაში ამაზე არაფერია ნათქვამი, საქმე შეიძლება, დანაშაულის დაფარვასთან გვექონდეს!

– როგორც აღნიშნეთ, ჰააგის ტრიბუნალი განაჩენს უსწრაფესად ვერ გამოიტანს, მაგრამ რა მოხდება, თუკი უკრაინის ხელისუფლება სააკაშვილის, ასე ვთქვათ, გადაცემაზე უარს იტყვის?

– უკრაინის საერთაშორისო საზოგადოების წევრია და იძულებული იქნება, ჰააგის ტრიბუნალს დაემორჩილოს.

– რა ამის პასუხია, ბატონო კოტე და, ნელან, კერძო საუბრისას ბაქოში გამართულ ე.წ. თურქული სახელმწიფოების შეხვედრა ახსენეთ. კერძოდ, რა შეხვედრა იყო, ან ამაზე ყურადღებას რატომ ამახვილებთ?

– 8 ოქტომბერს, ბაქოში, თურქულენოვან სახელმწიფოთა სპეცსამსახურების ყოველწლიური კონფერენცია ჩატარდა, რომელსაც ხუთი თურქულენოვანი სახელმწიფოების სპეცსამსახურების პირველი პირების გარდა, მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, მათ შორის, საქართველოდან, უკრაინასა და რუსეთიდან. მოკლედ, კონფერენციაში სულ ათი სახელმწიფოს სპეცსამსახურის პირველი პირი მონაწილეობდა, თუმცა ჩვენგან, ვახტანგ გომეზაურის ნაცვლად, სპეცსამსახურის სხვა წარმომადგენელი დაესწრო.

– ვინ?
– ამას მნიშვნელობა არ აქვს... მსგავსი შეხვედრები სააკაშვილის ხელისუფლების დროსაც იმართებოდა და მაგიდასთან ვანო მერაბიშვილი რუსეთის სპეცსამსახურის ხელმძღვანელთან ერთად იჯდა ხოლმე, მაგრამ მაშინაც და ახლაც ვთვლი, მე, ვისაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მიზნობრივად და ვთვლი, რომ რუსეთი ოკუპანტი და საქართველოს მტერია, მსგავსი შეხვედრებში მონაწილეობას არ მივიღებდი.

– ამ ლოგიკით, „გაზპრომს“ არც კალაძე უნდა დაეღობებოდა?

– დიახ, არ უნდა დაეღობებოდა. თუ სახელმწიფოს ხელმძღვანელობას არ ელაპარაკები, ქვედა რიგებთან რა საქმე გაქვს? თუ დალაპარაკება გინდა, მაშინ სახელმწიფოს პირველ პირებს შეხვდი, დიპლომატიური ურთიერთობა დაალაგე და „გაზპრომთან“ ლაპარაკი მერე დაიწყე, თორემ იცით, როგორ სიტუაციაში აღმოვჩნდებით?

– როგორში?
– ჩემს ჯიბეში ჩურჩხელაა, ასე ტკბილად დამიბერდით...

– ესე იგი, ბატონო კოტე, არსებობს ალბათობა, რომ ახალ წელს „იოლიკითა“ და „დედ მორიხით“ შეხვდეთ?

– თუ ყველაფერი რუსეთს მივცით... საერთოდ, დღევანდელ ხელისუფლებაში სახელმწიფო აზროვნების დეფიციტია! თუ რუსეთის სახელმწიფო კომპანიების ინტერესებს ვითვალისწინებთ, მაშინ ჩვენი ინტერესები რუსეთმაც უნდა გაითვალისწინოს, ჩვენი ინტერესი კი, ამ შემთხვევაში, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და თავისუფალი არჩევანია – საითაც გვინდა, იქით უნდა წავიდეთ.

– კრემლმა, „გაზპრომის“ მეშვეობით, შესაძლოა, დასავლური კურსის უარყოფა გვაიძულოს, ვთქვათ, ზამთარში გაზი გადაგვიტოს?

– გამორიცხული არაფერია! ქვეყნის მართვა მხოლოდ თანამდებობაზე დაჯდომას არ ნიშნავს. როცა თანამდებობაზე დაჯდები, ქვეყნისა და ხალხის წინაშე

პასუხისმგებლობას იღებ და ამიტომ, სახელმწიფოს სტრატეგიული ბერკეტები ხელიდან არაფრის, მათ შორის, არც ფულის სანაცვლოდ უნდა გაუშვა.

– გეთანხმებით, მაგრამ ამ ჩინოვნიკებმა რაღა ქნან – ცხოვრება ძვირდება და ფული საიდანაღაც ხომ უნდა მოიტანონ?

– ესეც მესმის, მაგრამ რაღა მაინცდამაინც „გაზპრომ“, როცა იგივე აზერბაიჯანს ჩვენთვის გაზის მოწოდება არ გაუძვირებია?! რუსული გაზი კი, ლამის ორჯერ ძვირი – კუბური მეტრი 420 დოლარი ღირს. ქვეყანაში ერთი წარმოებაც არ მუშაობს და, რა, გაზის მოხმარება გაიზარდა და „გაზპრომთან“ მოლაპარაკება აუცილებელი ამიტომ გახდა თუ რაშია საქმე?

– არჩევნების წინ, „ოცნება“ ასეთ სარიტორიულ თამაშზე რატომ მიდის?

– ორი ვარიანტია: „ოცნებას“ შესაძლოა, წინასწარ აქვს შემუშავებული, რომ ხელისუფლება სხვას უნდა გადააბაროს.

– ვის სხვას?
– „ნაცმოდრობას“, ან იმას, ვინც ქართულ პოლიტიკაში მალე გააქტიურდება.

– ესე იგი, „ოცნება“ შეგუებულია, რომ ხელისუფლებიდან უნდა წავიდნენ?

– შეიძლება, „ოცნებაში“ არიან ცალკეული ადამიანები, რომელთაც მკვეთრად განსახლავს საზოგადოებრივი გეგმა აქვთ...

– თუ ობიექტური გარემოებების გამო რაღაცას ვერ აკეთებ, ხელისუფლება რომ ხარ, უნდა გამოხვიდე და ხალხს აუხსნა, მაგრამ არავინ არაფერს გვეუბნება.

– მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილი ახალ პარტიას ქმნის. ბატონო კოტე, გამორიცხავთ, ყოფილმა პრემიერმა დღე-ღამეზე განაცხადოს, გუნდში შევცდით და პოლიტიკაში, 2016 წლის არჩევნებამდე, სრულიად ახალი გარემოცვით დაბრუნდეს?

– არ მგონია, რადგან გუნდი უკვე უნდა არსებობდეს. ყოველ შემთხვევაში, გუნდის ჩამოყალიბებას გარკვეული დრო სჭირდება. ისე, „ოცნების“ ყველა კრახი „ოცნების“ კი არა, ბიძინა ივანიშვილის იმიჯს ურტყამს, რადგან ხალხი „ოცნებად“ ივანიშვილს აღიქვამს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ „ოცნება“ ივანიშვილს საბოტაჟს უწყობს.

– ესე იგი, გარემოცვამ ივანიშვილი განიარაღა?

– გარემოცვამ ივანიშვილი დიდი ხნის წინ განიარაღა! ყოველ შემთხვევაში, ადამიანებმა მისი ნდობა ბოროტად გამოიყენეს!

– ნელინაღმე მეტია, იარაღით უკანონო ვაჭრობაზე ვსაუბრობთ და გამოიქვამს ოპერატიული ინფორმაციას ვანვდი, მაგრამ ეს თემა არ დაიძრა, მიუხედავად იმისა, რომ თანამდებობის ყოფილი პირების მიერ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებებს აშშ-ის ფედერალური ბიურო სწავლობდა, ჩვენები კი არაფერს აკეთებდნენ და ეს, პირველ რიგში, ივანიშვილის იმიჯს ურტყამდა. იგივე შეიძლება ითქვას ძალაოვან და სხვა უწყებებში „ნაცმოდრობის“ კადრების შენარჩუნებაზეც. სააკაშვილი შეიძლება, ბრძანებას გასცემდა, მაგრამ უკანონობის ფორმას ის ადამიანები იგონებდნენ, რომლებიც დღესაც სპეცსამსახურებში არიან. არ შეიძლება, სამი წლის განმავლობაში როტაცია მომხდარიყო? ადამიანი შეიძლება, „ნაცმოდრობის“ წევრია, მაგრამ პატიოსანია და ასეთი კადრი უნდა შეინარჩუნო, მაგრამ ისეთები, როგორიც, ვთქვათ, შტაბი და გურასაშვილი არიან, რომლებიც არავინ იცის სასჯელალსრულების დეპარტამენტში რას ჩადიდონ, თავდაცვის სამინისტროში რატომ უნდა გყავდეს? დროა, „ოცნება“ აზრზე მოვიდეს და ხალხს მიხედოს. არ შეიძლება, ხალხი ასეთ მდგომარეობაში დიდხანს ამყოფო, რადგან ერთ დღეს ყველაფერი გასკდება და მხოლოდ „ნაცებს“ და „ოცნებას“ კი არა, მთელ პოლიტიკურ სპექტრს და იმ სივითებს წაღვეკავს, რომლებიც 25 წელია, წრეზე ტრიალებენ – ხან მინისტრები არიან, ხან – პარლამენტარები.

– „ოცნებას“ სამთავრობო ცვლილებები უშველის?

– გააჩნია, ვის მოიყვანს. მთავარია, პროფესიონალი და საქმის მცოდნე კადრები მოიზიდოს...

– ესაუბრა პანო პაპლიაშვილი (თემის გაგრძელება იქნება)

სტოპკადრი



კახა კალაძე: „ჩვენი ხელისუფლება, წინა და იმის წინა ხელისუფლებას თანამშრომლობდა „გაზპრომთან““

„ჩვენი ხელისუფლება, წინა და იმის წინა ხელისუფლებას თანამშრომლობდა „გაზპრომთან“ და ვფიქრობ, პრობლემა არ შექმნილა“, – ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ „გაზპრომთან“ დაკავშირებით დასმული შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა.

რაც შეეხება ოპოზიციის მოთხოვნას, რომ კახა კალაძე პარლამენტში მივიდეს და „გაზპრომთან“ დაკავშირებით შეკითხვებს პასუხი გასცეს, კახა კალაძემ საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები თავისთან ენერგეტიკის სამინისტროში მიიპატიჟა.

„ყოველდღიურ რეჟიმში ვმუშაობ. თავისუფლად შეუძლიათ მობრძანდნენ ენერგეტიკის სამინისტროში. მოვუსმინე გარკვეული პარტიების განცხადებებს. შემიძლია გითხრათ, რომ ღია კარებს ამტკვევენ. აბსოლუტურად გაუგებარია, გაუმართლებელია ის განცხადებები, რა ჩრილიც ისინი აკეთებენ. კიდევ ერთხელ მინდა განვიმარტო, რომ აღმოსავლეთ ევროპა, დასავლეთ ევროპა, აზიის ქვეყნები, კავკასიაში მდებარე ქვეყნები, ყველა, წლებია, თანამშრომლობს „გაზპრომთან“. ჩვენი ხელისუფლება, წინა და იმის წინა ხელისუფლება თანამშრომლობდა „გაზპრომთან“ და მე ვფიქრობ, პრობლემა არ შექმნილა. დღეს რატომ წამოიწია ეს საკითხი, როდესაც ჩვენ ყოველწლიურ რეჟიმში ვახორციელებთ ამ კომპანიასთან მოლაპარაკებას. ყოველწლიურად შემოგვაქვს ბუნებრივი აირი რუსეთიდან, ვფიქრობ, გაუგებარია ეს განცხადებები“, – განაცხადა კახა კალაძემ.

კითხვაზე, იყო თუ არა საქმის კურსში ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიშვილი, ან ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი, როცა კახა კალაძე „გაზპრომის“ წარმომადგენლებთან მართავდა შეხვედრ-

ას, ენერგეტიკის მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს არის დარგში არსებული თანამშრომლობა.

„იქვე ერთხელ განვმარტავ, რომ ვთანამშრომლობთ „ინტერაოსთან“, შემოგვაქვს ელექტროენერგია რუსეთიდან. მაშინაც კი, როდესაც საომარ პირობებში ვიმყოფებოდით, 2008 წელს, ბუნებრივი აირიც, ელექტროენერგიაც რუსეთიდან შემოგვქონდა და პრობლემა და კითხვა არ გაჩენილა და რატომ ჩნდება დღეს. წინა ხელისუფლების ხერხემალი ღიად ამბობდა, რომ რუსულ ფულს სუნი არ აქვს ინვესტიციებთან მიმართებაში. ამ მიმართულებით შემიძლია გითხრათ, რომ არანაირი პრობლემა არ არის. ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი მეგობრული ურთიერთობა და ენერგეტიკულ მიმართულებას ნუ გავაპოლიტიკურებთ. ნუ გადავიყვანთ ამ ყველაფერს პოლიტიკურ ჩრილში. ეს ურთიერთობები წლების წინ იყო, არის და მომავალშიც იქნება“, – განაცხადა კალაძემ.

რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ლარიშვილის განცხადებას, რომ არავითარ დივერსიფიკაციაზე, აზერბაიჯანული გაზის ჩანაცვლებაზე საუბარი არ მიდის, კალაძემ აღნიშნა, რომ დივერსიფიკაცია დღესაც არის.

„ჩვენ მარტო ერთი მომწოდებელი არ გვყავს. ბუნებრივი აირს ჩვენ ვიღებთ აზერბაიჯანიდან, ასევე რუსეთიდან, მომავალში რა იქნება ამ მიმართულებით, ვნახოთ. ჩვენ ვხედავთ, როგორ ვითარდება მოკლები ზოგადად მსოფლიოში. ისეთი ქვეყნები უკვე მისაღები ხდება, რომლებიც წლების განმავლობაში მიუღებელი იყო. ანუ ძალიან საინტერესო პროცესები მიდის და ჩვენ აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ეს ყველაფერი“, – განაცხადა კახა კალაძემ.

„ინტერაოსი“

ეკა ბესელია: „საკონსტიტუციო სასამართლო უპრეცედენტოდ გააქტიურებულია“

იღებები უნდა აჩვენოს“, – განაცხადა ბესელიამ.

„ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში ცვლილებები დეპუტატებმა ნოდარ ებანოიძემ და თამაზ მეჭიაურმა მოამზადეს, რომლის მიხედვითაც, ეროვნული ბანკის დაქვემდებარებულ ფინანსური ზედამხედველობის სააგენტო გამოვიდა. პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილმა ვეტო დაადო, რომელიც უმრავლესობამ სექტემბერში დაძლია, უმცირესობამ და „თავისუფალმა დემოკრატებმა“ კი საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს.

საკონსტიტუციო სასამართლომ ეროვნული ბანკის შესახებ სარჩელი წარმოებაში მიიღო და საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მუშაობა შეაჩერა.

„პი-იპი-პი-ი“



იესომ-გურჯი

გამარჯობა, ჩემო თბილის ძალაძო!
გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო,
დაკარგული შენი შვილი მოვედი,
საქართველოს მინა-წყალო, ალაგო,
თორმეტი წლის გატანჯული მოვედი.
მთაო წმინდავ, მამა დავითისაო,
შენ, დარაჯო ქალაქ თბილისისაო,
წმინდა მინავ, უკვდავ მწერლებისაო,
მათ საფლავზე სალოცავად მოვედი.
ჩვენო ციხე, ძველო ნარიყალაო,
საქართველოს ძველო მკვიდრო ძალაო,
შენი შვილი პოლშის ციხე მმალაო,
სისხლგამშრალი სალოცავად მოვედი.
დიდო ზარო, ჩვენი სიონისაო,
ნატრული ვარ შენ დიდებულ ხმისაო,
ჩვენო მტკვარო, ძმაო რიონისაო,
ნანამები საბანაოდ მოვედი.
ძმანო ჩემნო: შაოს, ქართლოსისაო,
გატანჯულსა მიცნობთ დიდი ხნისაო,
გაყიდული ორპირ მეგობრისაო,
გამარჯობათ! იეთიმ გურჯი მოვედი.

ოგოლი ძართველი
ყველა მოკვდება, რაცა ჩანს,
უკვდავი უხილაგია,
რასაც კი თვალი იხილავს,
სუყველა წასავალია!
სიცოცხლე ტყვეობა არის,
ესე ქვეყანაც – გალია,
დარაჯად გვიდგა სუყველას
თითონ სიკვდილის თვალია!
ვერვინ გაიგო ჯერეთა,
გამჩენი ვინ უფალია
და ვინ ბატონობს სამყაროს
ანუ რომელი ძალია!..
ჰაერი მიუნ ვდომელი,
არა აქვს ბოლო, თავია,
ჩვენი ქვეყანაც ჰაერში
მიჰქრის – პატარა ნავია!
ისეც ჩავქრებით სწრაფადა,
რად გვინდა თოფი, ხმალია?
უნდა ძმურადა ვცხოვრობდეთ
გრიქულ, ივანე, ალია!
კეთილი საქმე ვაკეთოთ,
ქვეყანა შესაბრალია,
ზავი, მშვიდობა, ერთობა,
იეთიმ, თქვი, ვისი ვალია?!

ყველას თითო რამე უყვარს
ყველას თითო რამე უყვარს
ყველას დაკვრას ყურს არ ვუგდებ,
სალამურში ვინც რა ბეროს!
ყველამ თავის საქმე იცის,
თუგინდ ჭრას და თუგინდ კეროს.
მე არავის ხელს არ ვუშლი,
მეც არავინ დამემტეროს!
სწორე თქმისთვის კი მზადა ვარ,
სხვასაც ვთხოვ, არ მეფეროს!
ყველას თითო რამე უყვარს,
მე კი ჩემსას შემაბეროს!
„სხვისი ჩემზედ ლამაზია“, –
ეს ვერავინ დამაჯეროს.
რაც ვიყავი სწორედ ის ვარ,
იეთიმ-გურჯმა სწორედ სწეროს.
სიყვარულის ჩონგურს დამკერას,
თანაც ჩაგრულებს უმღეროს!
მე სახალხო მგოსანი ვარ,
თბილის-ქალაქს, საქართველოს!


შუა წყალში გადამაგდე ნავიდან
კარგი იყო არ გამეცნე თავიდან,
შუა წყალში გადამაგდე ნავიდან.
ჩემი გული შენ დაკოდე, დახიე,
ხელებს ითბობ, ცეცხლის ალში გამხვიე.
დამიმონე, შენი შიშით ვკანკალებ,
მომერიე, გიხარიან, ხარხარებ...
როდემდისინ გქონდეს ქვისა გულია,
მე რომ ვტირი შენთვის სიხარულია.
ფიქრობ, ტანჯვით შემაძულო თავია,
ცდები, შენ ხარ ჩემი სალოცავია.
თვალებს დამთხრი-ფეხქვეშ ჩაგივარდები,
რა გინდ მტანჯო, უფრო შემიყვარდები!
სულ არ გესმის ჩემი წერა-კითხვები,
რად მიყვარხარ, რატომ არ მეკითხები?
რომელ მსაჯულს ვთხოვო სამართალია,
ვის შევჩვივო – რუსთაველი მკვდარია!

ბალი ბულბულით ავსილა
ბალი ბულბულით ავსილა, ვარდსა რაზი არ აკლია,
ან დაშვენდა ია-ვარდი, ზედ ლამაზი არ აკლია,
უცხოოდ ხარობს ასამინი, ძილს საარაზი არ აკლია,
წმინდა სანთლები შამდანში, ზირანდაზი არ აკლია,
მეიდანე გამართული, ქანდირბაზი არ აკლია!
არ გენყინოს, ჩემო კარგო, სიტყვაშიაც იგავი მაქვს,
რომელ ერთხელ გენაცვალო, განა რამდენი თავი მაქვს?
მუდამ შენს სამსახურში ვარ, არა სთქვა პირი შავი მაქვს,
სულ ქვეყანა ჩვენსა არის, რომ ბაზაზი არ აკლია!
რახან სოფელს ასე მოსდევს, უღბენოთაც არ იქნება.
შენი ქება და დიდება უენოთაც არ იქნება!..
მარანისა ტუმბო სავესე უდენოთაც არ იქნება,
თუ მეჯლისი მორთულია, უშენოთაც არ იქნება,
ტრიალებს ოქროს თასები, ლეილუმ ნაზი არ აკლია!
ხელმწიფესაც არ უქნია როსტომ-ზაალისათვინა,
ნიშნობა და ქორწილიცა თავისი ქალისათვინა! –
რაც რომ გადამხდა თავზედა, სულ იმ მაღალისათვინა:
ლეილუმის ქამანჩისა დოულ-ყავალისათვინა:
გარს უსხედან მომღერალნი, სანთურ-საზი არ აკლია!
ტურფა ტანი ლერწამს გიგავს – მორთულხარ ქირმანშალშია,
კბილები მარგალიტში გაქვს, ინდის პილპილი ხალშია,
ფალევენათა მომრევი ხარ, ნაქები როსტომ-ზალშია,
თუ ჩვენსა არ მობაძანდები, ნავიდეთ სამართალშია...
საიათნოვას ხემნიფე, ყენ-შაპაზი ირაკლია!



საბუნოვე

დამიჯერე
დამიჯერე, ვამბობ, რომ უფერავლეს, –
სრულებით უბრალო რკინას იტყვიან!
ხის თეფში რა გინდა ზარნიშით მოანყონ,
მაინც დასანვაგსა პინას იტყვიან!
სიტყვა უნდა ერთნაირი ზოლზედა...
ეშმაკია, ვინც აპყვება ბოლზედა!..
ან ფერზედ იცნობენ, ან ფოთოლზედა, –
განა ყველა ბალახს პინას იტყვიან?
ზარბაბი გაგიცვდეს – იყიდე შალი,
რეცხას ვერ გაუძლებს, ვაპ, ხამის ბრალი!
რიდეს მოუხდება აღმასი-ლალი,
ოქროთ მიყენილი, მინას იტყვიან!
ზოგი კაცი იტყვის – კაი გვარი ვარ,
მაშინ ტირიფიც იტყვის: კვარი ვარ!
საქართველოს მეფის საზანდარი ვარ,
საიათნოვას-არუთინას იტყვიან!



ბინდვა ზარი
გინდება ზარი, ოქროს ლილი, თანა შენია,
ერან-თურანი, აღრიბეჟან განაშენია.
მოდ, ნუ მომკლამ, ხელთ გიჭირავს დანა შენია,
ბულბული სტირის, დაგიცია მანა, შენია,
მიჯნურსა სძინავს, შესმენია ნანა შენია...
გაშლილა ბალი, გამობძანდი მოახლებითა!
ბულბული ჰგალობს, მოგახსენებს: «დილა ნებითა!»
თვალად ლამაზო, რამ გაგზარდა ტან-დიდებითა?
ბევრი მოგიკლავს, მეც მომლაღე შენის ქებითა...
ლექსები კარგი ასორმოცი ხანა შენია.
ბროლის მინას და ბროლის სურას გიგავს ყელია!
რად გინდა სარკე? სახე სავესე მთვარე მთელია.
ზილფებისათვის ხელთ გიჭირავს მაკრატელია,
მე რაზედა მკლავ, რა გერჩოლე, რა სახელია,
ან რაზედ მომკლამ, ჩემი თავი განა შენია!?
ჰე, უსიკვდილოდ არ იქნება ჩემი მორჩომა,
სულ ქვეყანა რო ჩემი იყოს, არა მაქვს ნდომა!
ჰე, საყვარელო, უცხოდ გშენის შენ ეგ მორთომა,
ყალამქარისა, ატლასისა, ზარბაბის ზომა...
არ მომიპარავს, მიპოვნია შანა შენია!
ნალმართი სიტყვა არ ვიცოდი, ვინ მოგაჩვენა,
ვინ მოგიტანა, ვინ გაჩვენა, ვარდის გაფენა?
ტურფა-ზარიფო, შენსა ქებას ვერ იტყვის ენა,
მო, საიათნოვავ, რა გატირებს, ვინ მოგცემს შენა? –
ტახტი თოუზი ინდის მეფის ანაშენია!



ქალაქი ნუშპეუ ჯა მიხი მოქალაქეები

გიზო თაყაიძე



ქალაქი ნუშპეუ ყველაზე მშრალი ადგილია დედამიწაზე. აქ ისე გაივლის რამდენიმე წელიწადი, წვიმა და თოვლი კი არა, ცვარც კი სანატრელი ხდება. ქალაქში არათუ მდინარე, რუც კი არსად მიედინება და სასმელი წყალიც ქალაქ-ჭაობიდან მოაქვთ ურემებით, რომლებზედაც სანახელები უდგათ.

ნუშპეს მოქალაქეები, უწყლობის გამო, ხმელ-ხმელი და გამომშრალები ჩანან ერთი შეხედვით, თუმცა ეს ამბავი მათ არ ანალღებთ, რადგან ისინიც ისე მრავლდებიან (სექსი ქალაქში, როგორც ასეთი, არ იკრძალება...), როგორც მეზობელი ქალაქები – ჭაობი, გუბე და კვატენბურგი.

ნუშპელები წყალს თითქმის არ მოიხმარენ. ჰავა, ძირითადად მქისე, ალაგ სუბკონტინენტალური, ზოგან მყაყეც რომ ეთქმის, ისეთია, ამიტომაც ანტარქტიდელისთვის, მეტნაკლებად ლათინებისათვისაც, ძნელად ჩასასუნთქი გახლავთ.

წყალი, როგორც ამბობენ, გამწმენდი საშუალებაა, რაც ამ ქალაქელთათვის, ყოვლად ზედმეტი რამ ჩანს.

ნუშპე უასაკო ქალაქად იწოდება, რადგან მისი ისტორია მეოცე საუკუნის გარიჟრაჟიდან იწყება, ხოლო ქალაქის საზეიმო დღედ (ნუშპექალაქობა) – „25 თებერვალი გათენდება ხვალ...“ – ითვლება.

ქალაქის უმაღლესი (სასულიერო არ არსებობს, პანათეიზმი ბობოქრობს...) პირი, ქურუმი არა, არც კონსული და კეისარი, ჰო, დომესტიკოსი (საიდან მოიტანეს...) გახლავთ.

დომესტიკოსები ცამეტი წლით აირჩევიან ნუშპეს არასრულწლოვანი (ძირითადად ბავშვათა ბაღების) მოქალაქეების მიერ, რადგან სრულწლოვანები სულ დედ-მამის მოხსენიებაში ათენ-ალამებზე საარჩევნო ჟამსა იერს.

ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა, უდრეკი (პიტალოდაც მოიხსენიებენ) ლენინელები არიან. მარქსს და ენგელსს არც ახსენებენ. ლენინი, ოდენ ლენინი და ნუშპექალაქობაზეც სულ (უდრეკი ორატორებიც მყავთ) ლენინზე ლექსები ისმის, სიმღერებიც...

ნუშპეში აკრძალულია ალკოჰოლური სასმელები, რადგან წყალზე და სპირტზე დამზადებულმა სასმელმა, შეიძლება, გამოუსწორებელი შედეგი მოიტანოს და რომელიმე ნუშპელის გამომშრალ-გამომხმარი სხეული (თავისებური სურნელიც ამიტომ დგას ქალაქში) განმინდოს...

ლოგიკოს ჰენვარ ნუშპელის დასკვნით, თამადებიც ამის გამო არ იზრდებიან მიმოასლოში.

ნუშპეში, ღვანლმოსილ ლენინელთა დაყინებული მოთხოვნით (შუაგულ საუკუნეში), შეიქმნა: არასამთავრობო, არაკომერციული, არაპატრიოტული, არაადამიანურ-არაეზოთერული საზოგადოება „ნუშპელი“.

საზოგადოებას გააჩნია მრგვალი ბეჭედი და საბანკო ანგარიშები: ნუშპეში, ჭაობში, გუბეში და მსოფლიოს ტიტან ქალაქებში, მაგალითად, ვაშინგტონ-ტოკიო-პეკინში...

ხოლო ცნობილმა კომპოზიტორმა, ზელიმხან კაკაზიამ ორიოდ კანანის საფასურად დაწერა ჰიმნი, რომელიც საზოგადოების ნევრთა უმეტესობამ (უასაკობის გამო) ვერ დაიზუსტა, თუმც ალაგ-ალაგ, თვალმომლოწუნის მაინც ღიღინებენ:

„ჩემი ხატია კანანი, საკანწე მთელი დუნია...“

აქვე განემარტავთ: „კანანი“ ფულის ერთეულია ქალაქ ნუშპეში, რომელიც მოჭრილია ქალაქ ჭაობის დუმფარებისგან დამზადებულ, უნიკალურ, მწვანე ქალაღზე (100 და 500 „კანანზე“ ვ.ი. ლენინის ყოვლად ლამაზი თავი ახატია).

საზოგადოება „ნუშპელის“ თავმჯდომარეა ყველა დროის და ყველა ქალაქის მამა და მარჩენალი, ნუშპე-ჭაობ-გუბეში სახელგაგარდნილი პროქტოლოგი, უმანკო და ხმელი შადიმან ნუშპელ ალ სირი.

ქალაქ ნუშპეში ძალიან უყვართ სპორტი – თავგადაკლული ქომაგები არიან. მათი საფეხბურთო კლუბი „ნუშპე“

პის რეალ-ბარსელონა“ სულ გალახული (ნაგებას ვინ დაეძებს) ჩამოდის ქალაქ ვვატენბურგიდან, ხოლო „ელკლასიკოდ“ ინოდება ნუშპელთა და ჭაობელთა შერკინებზე.

ნუშპეში სხვა სპორტული თამაშებიც ფრიად მოსწონთ, მაგალითად: რაგბი, კალათბურთი და „სპორტლოტო“ (ლენინის სათრით).

ნუშპელთა წამხედურობით (უფრო სწორად, მათ ჯიბრზე), ქალაქ ჭაობშიც შეიქმნა არაეროვნული საზოგადოება „ჭაობელი“, რომლის საპატიო ნევრებად ირჩევენ უცხოეთში მოღვაწე ჭაობელ ბიზნესმენებს (მილიარდერებს), ანდა სრულიად უცხოელებს, რომლებიც ქალაქ ჭაობის ალორძინების ფონდში მილიონობით „ფუნისკ“ რიცხავენ („ფუნისკი“ ჭაობელთა ფულის ერთეულია, რომელზედაც დიდი ჭაობელი პოეტისა და განმანათლებლის ეუსაშველო ბიულბიულ ჩიტის პროფილი ახატია).

ნუშპეში ხეებს ფოთლები არ აქვთ (ალბათ, უწყლობის გამო) და ჩიტ-ფრინველიც იშვიათობაა, თუმცა მთლად უყვავოდაც არაა საქმე; ყვავებით საესეა ქალაქი, მაგრამ იმდენად უფერულები არიან, მათ სიშავეს, ლოგიკოს ჰენვარ ნუშპელს თუ დავუჯერებთ, ვერაფრით დაამტკიცებ.

ჰენვარ ნუშპელი, ერთობ ხმელი და ანონილი, როცა ვიეტნამში (რამ წაიყვანა?) ლოგიკოს ზესაიდუმლოებებს ეუფლებოდა, იქაური ბრინჯის არყით მოინამლა (არაყს, უნებლიედ წყალი დააყოლა...) და თანაკურსელმა ფონგ იუ ნუშპმა (გვარის გამოც შეიყვარა ჰენვარმა) გადაარჩინა.

კი გოგოა ფონგი! – ამბობენ ნუშპელები, როცა ნუშპეს გამომშრალ ქუჩებში ცხრა შვილთან ერთად გამოჩნდება.

სხვა რომ არაფერი, მარტო ცხრა შვილის გამო (ბავშვები ვიეტნამიდან კი არ ჩამოყოლია კი გოგო ფონგ ნუშპას...), უნდა მიეღოთ ბატონი ჰენვარი საზოგადოება „ნუშპელის“ საპატიო ნევრად, მაგრამ, არა და არაო! – დაიჟინა პროქტოლოგმა ალ სირმა, „მაგას არანუშპელი ცოლი (იგივე მეუღლე) მყამსო!...“

„მერე რაო, გვარად ნუშპაო!“ – გამოექომაგა ჰანგერის მოსახლობი პოლიტოლოგი ალისტრას დე არამდინარელი, რომელსაც ვინ რას გამოაპარებდა (პოლიტოლოგი არ იყო...) ჰოდა, ამბობდა ალისტრასი გულისგულში, სხვათა არგასაგონად (ზოგჯერ, პირიქითაც...) „ამ ლოგიკოს კაცს, კანანფლურს ულოგიკოდ ვერავინ აახეგს და ამიტომ არ იღებენ არსადო!...“

ქალაქ ნუშპეში მუდამაჟამ იკრძალებოდა (საიდუმლო დეკრეტ-მანიფესტით...) სიმართლის თქმა და როცა ერთადერთმა ასტროფიზიკოსმა ნაბუქოდონოსორმა (შეურქმევიათ რა ამისთვისაც სახელი...) მოინდომა სიმართლის თქმა:

„სად გაგონილა, ოდეს აქამომდე, საზოგადოება „ნუშპელის“ ნევრებს, ქალაქის ბიუჯეტიდან ჯამაგირებს ურიგებდნენო!...“

მყისვე მუშლივით აიშალნენ ნუშპეს მოქალაქენი, ოცდაოთხი ლენინელი, ათეისტ მწიგნობრიანად და სანყალი ასტროფიზიკოსის ქალაქიდან გასახლება მოითხოვეს (მათი უზადო ხელრთვა-ფაქსიმილები ოქროს ასოებით შევა ნუშპეს ისტორიაში, როცა იქნება და ბინას დაიდებს ეთნოგრაფოსთა მუზეუმში).

ნაბუქოდონოსორი კი გადარჩა (იმჟამს), თუმც სიმართლეს არაფერი შემატებია.

აკრძალული დარჩა!..

ჟამიჟამ, როდესაც უცხოელები სტუმრობენ ქალაქს, დომესტიკოსი სერეუო მშვიდი, საზოგადოება „ნუშპელშიც“ შეატარებს ხოლმე სტუმრებს, რომლებიც ჯიბებზე ხელს გაიკრავენ და შესანირს გაიღებენ („ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო!...“)

ესენი კი, საზოგადოება „ნუშპელის“ დამაშვრალი ნევრები ნიადაგ ტელეფონებს ჩაჰყვირიან: „იმეტებს ჩვენთვის რაიმეს ქალაქი?!“

ნუშპე უასაკო, სამშობლოზე დიდი ქალაქია!..



„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებას სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგო ლინა



საქართველო
საქართველო

ახალი ღამეები



ჩემი ქმნილება

შეგირდის სიტყვა

გაქრა ბავშვობის სანუკვარი დრო, სილაღე, მე კი ვერა და ვერ მივიღე ცივი ცხოვრება. ემოციათა ოკეანის ტალღები მალი, ვიცი, ყმანვილურ ჟამის ლანდად მემახსოვრება... მხიარულებაც ჭაბუკობის, მშვიდობით თქვენდა, რადგან საბრძოლოდ მიხმობს, ვხედავ, სანუთროს ჟამი, გამოსაცდელად სურს, მომგვაროს თვალთაგან ნამი, სურს ნახოს სული და გონება თუ დამიმშვენდა...
ო, დაუნდობელ ქარიშხლებთან შერკინებისას, რამდენჯერ მუხლში ჩავიჩოქე, იმდენჯერ აღვსდექი იმდენჯერ მედგარად გავიმართე და ფეხზე დავდექი, რადგან თვით რწმენა აღმადგენდა დამწუხრებისას! კვლავ არ მანება თავი, ბევრჯერ შემომბრუნდა მაცდუნებელი, დამგესლავი ცხოვრების ლანდი... მრავალი მახე დამიგო მან, მრავალი ფანდი, მაგრამ ვხედავდი მის მქმნელთ უკან ვით მიუბრუნდა... პარმონიული როს ვიცანი კოსმოსის ბრუნვა, მივხვდი, ამ ჯაჭვის ერთი რგოლი მეც ვიყავ თურმე... და ღვთაებრივმა, შინაგანმა ისურვა ზრუნვა სამყაროზე, და ბრძოლა მათთან, ვინც იქმო მრუმე, ვინც ბოროტების ხელშემწყობი მარჯვენა იყო, ვინც კრავის ნიღაბს ეფარვოდა ფარისევლურად, ვინც კბილთა ღრენას სიშმაგისგან, მალავდა მგლურად, ვინც მართალთა წინ საბრძოლველად გამოსულიყო...
ვიყავ შეგირდი ოსტატისა მხოლოდ ერთისა, დაუნდობლისა, ვინც მანახა ცვალებადობა სანუთროსი და ცნობა მტყუნ-მართლის ხვედრისა და რომ არა აქვს არც ჩვილს, არც ბრძენს რამე დანდობა, თუ აბოპოქრდა სტიქიონი ერთ-ერთი მაინც ყველას ნალეკავს უნებლიე იგი შემთხვევა და ვერ უშველის მაშინ ოხვრა, ვიში ან ვაი მოხუცს, ჩვილს, მართალს თუ სტიქია შემოეხვევა... ოსტატი, რაც (ვინც) მე დღემუდამ მემახსოვრება მისი სახელი ჩემს წინაშე არის – „ცხოვრება“...

არწივი

ყვლოდღერებით მიწის პირეთს უმზერს არწივი და ლაღი ფრთებით ლურჯ სივრცეებს მალი-მალ სერავს. ხან მრისხანებით ტრამალ ველებს დასჭექს, დასწივის და მოიარეთ ხმელეთზედა შიში სძრავთ ყველას! ო, ზეცის მეფე, ეგ სილაღე როგორ გიხდება, როგორ გამშვენებს თეთრი ყელის ელვარე ბზინვა. მრავალი მიწად ქვეშემძრომი როს გხედავს კრთება და ეუფლებათ შიშისაგან ძარღვებში ყინვა...
დიდებულია, უსათუოდ დიდებულია მალად განგების ქმნილებათა მრავალი რიგი. ეჭვგარეშეა, რომ ზენარი გონით სრულია, მოაზრებული ყოველივეს ავტორი იგი...
როს დავიყვანე მე აზრამდე თავისუფლება, სულის მალაღი და ნეტარი გრძნობა ვის ხელში იყო, როს მივხვდი ის ჩემია და მის უფლებას ვერვინ წამართმევს, ვით გაფრენილს უშრეტ სივრცეში...
ო, სულო, ტკბილო, შენ მალაღთა შორის მდგომელო, რა გრძნობა მოგა მინიერი შენმადე რამე, რა შეგედრება სიღრმით სავსე, დაუშრეტელო, როს თვით ნეტარყოფ თვისავე თავს დღეცა და ღამეც... ამიტომ მიყვარს ღვთიურ ძალთა გამოვლინება, თუნდაც ფრთოსანთა სილაღეში – არწივის მსგავსად. როგორ დამალავ, არ შეასხავ ხოტბას იმ ნებას, რომელიც ფრინველს ცად დააფრენს ლამაზად, ლაღად...
ყვლოდღერებით მიწის პირეთს უმზერს არწივი და ლაღი ფრთებით ლურჯ სივრცეებს მალი-მალ სერავს. ხან მრისხანებით ტრამალ ველებს დასჭექს, დასწივის და მოიარეთ ხმელეთზედა შიში სძრავთ ყველას!

ჯაჯის ქვიზი

ლექსად იმიტომ ამავესკდი, რომ სისხლით მთვარეული ვარ, თერგ და არაგვის სათავე ორივე დალეული მაქვს. მტკვარზე, თერგზე და არაგვზე ქართული სიტყვა ზიანობს, ო, სამი ვეფხვის ღრიალი... ჩემში ლექსებად ხმინობს.

ღმერთო, თვალი შეპარულა!

ღმერთო, თვალი შეპარულა! საპატარძლო მტევანში, ბულბულემა მიმაცილეს ცვარდანამულ ვენახში. სართვლო სუფრა გაიშალა, ღვინო ცამდე ავიდა, ძველებური რქანიითელი დაასხი და წავიდაა! დადუღებულ ქვევრის ღვინოს გულში ვიღვრი სართვლოდ... გენაცვალე, საქართველოვ!.. გენაცვალეთ, ქართველოვ!..

დადიანის ძაღლი

გული გასკდა შენი ტრფობით, ანგელოზო, ო, მგოსანო, სიყვარულით მთვარალო, მოდი ჩემთან, ვარსკვლავედი დაგაყარო, გამაცოცხლე, დადიანის ქალო!

დილას ცისკარზე მომესმა

დილას ცისკარზე მომესმა გოგლას ხმა, ლექსის ბუნუნი, ჩამომბებრა, ქალაუ, შენმა ლოდინმა ლუსუმი. დავინვი შენი ტრფილით, ლომი გადვიქეც მონადა, ან გოგლას ლექსით დამატკბე, ან გამამყვეცი ცოლად.

სსოვნის დომი

ჩამოასხით რქანიითელი, ვენაცვალე ლექსით მთვარელებს, სსოვნის დოქი არ გამიშროთ, გადამივსეთ, გენაცვალეთ! რა მადლია, როცა ღვინოთ და ცრემლით რწყავთ მივებს და მდელოს... როცა ჯიხვის ყანებით სვამთ წასულების სადღეგრძელოს... დამაღვარეთ რქანიითელი... ილიმება პაპა პავლე, ახლა ვაჟაც შემოგვივლის და თქვენს სადღეგრძელოს დავლევთ. ჩამოასხით რქანიითელი, დაგვათენდეს ღამე, გოგლას ტორებდარტყმულ ბოკვერს, მეც მამლერეთ რამე. მომენატრა ცის ლაჟვარდში მერცხალივით ფრენა, გამახსენდა ბავშვობაში ბულბულეების სტვენა. ვაჟასა და გოგლას რითმებს ცრემლით ვიფქრევე სულში, შემოდგომის სურნელებით გეფერებით გულში. წარღვნასა და ქეჭა-ქუხილს გადავურჩი ბენჯზე, მადლი უფალს, რომ დამასვა მთის არწივი ბეჭზე.

ზეცას ღრუბლები მოგწვიტე

ზეცას ღრუბლები მოგწვიტე საჩჩიელ-ჩამოსამტვრევად, მადლობა უფალს ლექსისთვის, რომ დავიბადე ქართველად. მადლობა საქართველოსთვის, ღვინოვ, მთლად გამატიალე, გენაცვლე დედა-ბუნება, ლექსად ვიღვრები, ვღრიალებ. ლექსო, დაჰკვივლე ხეობას, დაჯიხვებულან ბაღლები, მოდი და გადამიარე, როგორც არაგვის ტალღები.

ზაჟარ მუჟანოძე

მსჯავრებული

სამართველო

შენით ვარ ბინადარი დედამინის და მონანილე სამყაროსი, გულში ჩამიკრავ, როგორც დედამ იცის, ვერას დამაკლებს ეშმა და ტარტაროზი. შენს მკერდზე არ ვსუნთქავ სიფრთხილით, ვერც ვერავინ მიქადის საშინელს, უშენოდ მაშინებს სიკვდილი, უშენოდ სიცოცხლეც მაშინებს.

● ● ●
ასე ტრიალებს ბედის ბორბალი, ნაგვემი სულის, დიდი ხანია, ცივი ზამთარი და გაზაფხული ერთმანეთს ცვლიან და მიხარია. მაქვს ჩემი მინა, სულ ერთი კვალი, აქ ჩემი სახლი და საყდარია, არა მაქვს ქვეყნად არავის ვალი, არაგვის შიში და მიხარია. ჩემი ანკარა მაქვს ნაკადული და წვეთს არა ვთხოვ ამუდარიას, ჩემი კუთვნილი მაქვს ერთი გული, სიკვდილიც ერთი და მიხარია.

ახალგაზრდობას!

თქვენი რიჟრაჟი ჩამიდგა მკერდში ახალ სიცოცხლედ და აღმფრენად, თქვენი შრიალა ტოტების ტვერში, ველარ გვრძნობ ჩემი ფოთლების ცვენას.

თფუ...

თფუ... მოსვლას ჩემსას და ვაშა წასვლას, გული დამწყდება შენზე გგონია?! მოვრჩი მიწაზე მათხოვრულ წანწალს, დამთავრდა კვენესა და აგონია. ფეხზე მკიდა, ჭორი ვის უხმობს, ან ნაკვალევად რა დარჩენილა, გაუშვით ხელი გაყინულ კუბოს, ჩემი მძორით რომ ამოტენილა. იქნებ ჩაასკდეს უშორეს ბნელში და შეეცა კოს მატლები ხროვას, მერე დაძიგნეთ მოზერების ლეში, სანამდე თქვენი რიგებიც მოვა. მერე მთვარელები ჩალუმპავთ კედლებს, სად მათხოვარი ლუკმა-პურს ნატრობს, ბეჩვენო, მართლა დაეძებთ ედემს?! ვაი, თქვენს პატრონს, ვაი, ჩემს პატრონს! თფუ, მოსვლას ჩემსას და ვაშა წასვლას...

● ● ●
თვლები ცრემლით ჩამორეცხა, სევდისფერია მიწაც და ზეცაც, ტბის ქვეშ აკვანი აღარ ირწევა, ეს ბაზალეთი რამ გააბერნა?!

იას!

მეც შენსავით მოველ ერთი დღით, იმ სხვაობით, რომ ვერ მოვიტანე: ვერც სინაზე, ვერც სიმშვიდე, ვერც სურნელება...



საქართველო
საქართველო

მძსპერტი

„რაც დრო გავა, ჭაობში უფრო ღრმად ჩავეფლოებით!“

სამართლიანობის აღდგენა, უფასო ფული, განახლებული ენერგოტარაფები, უფასო ხენა-თესვა, სოფლის მეურნეობის პროდუქტებისთვის ფართოდ გახსნილი რუსული ბაზარი, სახელისუფლო შტოებს ჩამოშორებული „ნაციონალები“, პედაგოგებისთვის მომეტებული ხელფასები, გაზრდილი პენსიები და ასე შემდეგ... რა დანაპირები შეასრულა და რა ვერა „ქართულმა ოცნებამ“, რატომ არ ივსება თბილისის ქუჩებში „ნარმანიას სახელობის ორმოები“, რა ხდება დედაქალაქის მერიაში, სადაც საპასუხისმგებლო პირები თანამდებობებს მასიურად ტოვებენ? — „ქართული სიტყვა“ ექსპერტ მამუკა არაბიძის საუბრა.

— ბატონო მამუკა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან სამი წელი გავიდა და შეპირებული „საუკეთესო“ მეოთხე წელიც დადგა, მაგრამ წინსვლის მაგივრად, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ „ოცნებას“ თითქმის ყველა მიმართულებით პრობლემები აქვს...

— გეთანხმებით, რომ „ოცნებას“ ყველა მიმართულებით პრობლემები აქვს და მათი უმრავლესობა საკუთარ თავზე „ოცნების“ მიერვეა მოხვეული, ან ინიცირებული. დავინწყით იქიდან, რომ საზოგადოების ნაწილი და მხარდამჭერები, ყოფილი და ახლანდელი, მთავრობას საყვედურობენ, რათა მთავარი დანაპირები — სამართლიანობის აღდგენა არ შეასრულა, თუმცა ეს დაპირება მთლად არაა დავინწყებული და პროცესები ფრაგმენტულად ვითარდება, მაგრამ ეს ფრაგმენტები საზოგადოებას არ აკმაყოფილებს და აღიზიანებს... დამნაშავეთა დიდი ნაწილი დაუსჯელია, პასუხი კი, არსაიდანაა.

— თქვენი აზრით, საქმე რაშია? ხალხის ნდობითა და ზარ-ზეიმით მოსული ხელისუფლება პრობლემებს თავს რატომ ვერ ართმევს?

— მთავარი მიზეზი ისაა, რომ „ოცნების“ მიერ ხელისუფლებაში მოყვანილი ხალხის ნაწილი არაპროფესიონალია, ნაწილი კი, საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვითაა დაკავებული.

— ისტორიულად დადასტურებულია, რომ რევოლუციური მოძრაობებს იმ სპონტანული ლიდერების აღზევება სდევს, რომლებიც მიტინგების ორგანიზებას შესანიშნავად ახერხებენ, მაგრამ სახელმწიფო სამსახურში ნაკლებად გამოდგებიან. უფიცები „ნაციონალებსაც“ ჰყავდათ...

— „ნაციონალებმა“ მანკიერი, დანაშაულებრივი სისტემა შექმნეს, რომელზე აგებული სახელმწიფო მანქანაც ხარვეზების გარეშე მუშაობდა. მოდი, ეს კონკრეტულად თბილისის მერიის მაგალითზე განვიხილოთ, ანუ იმაზე, რაც გიგი უგულავას მერობის დროს დედაქალაქში ხდებოდა.

— მაინც, რა ხდებოდა? — უგულავა აქტიური მერის შთაბეჭდილებას ტოვებდა, უზნებში დაჰქროდა, ინფრასტრუქტურულ პროექტებს ანხორციელებდა და ორმოებიდან მისი ფოტოები გვიმზერდა, ბოდიშს გინდით შეეფრთხილებოდა...

— მაშინ ტოტალური ელიტური კორუფცია იყო, რაც თავისთავად დანაშაულებრივი სისტემის ნაწილია, მაგრამ სისტემა იყო და ის, რასაც ახლა თბილისის მერიის, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებთან დაკავშირებით ბედავენ, წარმოუდგენელი გახლდათ.

— ზოგი ამბობს, რომ ნარმანიას მერია კორუფციულ გარიგებებში მეტისმეტად ადრე ჩაერთო. ჯოჯო ბოდუკიას საქმე დღემდე არაა გამოძიებული...

— კორუფცია და ფულის მოპარვა დასჯადი უნდა იყოს. მთავარი, რასაც ნარმანიას საყვედურობენ, ისაა, რომ მასში ქარიზმის ვერ ხედავენ — ვერ დაგმს ნაბიჯებს, რომელიც თბილისის გაჯანსაღებას ხელს შეუწყობს. მისი ერთი დანაპირებიც კი, პრაქტიკულად, არ შესრულებულა. „სათი პარკის“ საქმე, რომელიც გიგი უგულავას ერთ-ერთი ბრალდებაა, ისევე ჰაერშია გამოკიდებული. არადა, ნარმანიამ ორი წელი ამ ორგანიზაციის მუქარაში გაატარა... უამრავი ინფრასტრუქტურული რეფორმა დაწყებული, მაგრამ არ სრულდება. როცა პრემიერმა თბილისის მერს ტენდერების საკითხში გარკვევა მოსთხოვა, წინ სია დაუდგეს — ტენდერების უმეტესობა წინა დღეებში სასწრაფო წესით იყო ჩატარებული. დავით ნარმანიამ დედაქალაქში სიტუაციას ვერ მართავს და ამის გამო მახინჯ წესებს ვიღებთ. — ხალხის მიერ არჩეული მერი, როგორ

ლით უნდა ჩაანაცვლონ, რომელიც ქალაქში სიტუაციას გამოასწორობს.

— როგორც ჩანს, ნარმანია სიტუაციის გამოსწორებას თავადაც ცდილობს: მერიის ჩინოვნიკები დააკავეს. ამბობენ, რომ თბილისის რაიონების გამგებლების გადადგომაც იგეგმება...

— რომ ვიცოდე, ეს ნარმანიას ხელით კე-

დღევანდელი ჩინოვნიკის სახე წინა ხელისუფლების წარმომადგენლის სარკობრივი ანარეკლია. „ოცნების“ კრიტიკით დაკავებულ „ნაციონალებს“ მინდა, ვუთხრა: თქვენგან ისწავლეს! მათ ასეთი პასუხი აქვთ: ჩვენ არასწორად ვიქცევოდით, ამიტომ, არჩევნებში დავმარცხდით და თუ ასე გააგრძელებს, „ოცნებაც“ დამარცხდებაო.



მამუკა არაბიძე: „ოცნების“ მიერ პირადი ერთგულებით დაკომპლექტებული უწყებები არაპროფესიონალებითაა სავსე!“

ფიქრობთ, ქალაქს რატომ ვერ მართავს?

— პასუხი მარტივია: არ შეუძლია და ვერ მართავს. ბიძინა ივანიშვილმა შეცდომა დაუშვა. როგორც თავად აღიარა, ქვეყნის პრეზიდენტისა და თბილისის მერის კანდიდატურების შერჩევაში შეცდა. სამწუხაროდ, ბატონი ბიძინა მრჩევლებს ყურს არ უგდებდა.

— ბატონო მამუკა, დღეს თბილისში საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცხოვრობს და ქალაქი თავკომბალად იქცა. ამის გარეშე, თბილისის მერობა საპასუხისმგებლო და საპატიო საქმეა...

— როცა „ოცნებამ“ ნარმანიას კანდიდატურა დაასახელა, თბილისი დულდა, ბევრი აქცენტს აკეთებდა, რომ ნარმანია თბილისელი არ იყო. ჩემთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ მიმანჩია, რომ ასეთი თანამდებობის პირი უნდა იყოს ფიგურა, რომელსაც შეუძლია, კონკრეტულ სივრცეში პოლიტიკური, სამეურნეო და ეკონომიკური განვითარებისთვის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც იმუშავებს. ნარმანიამ ეს ვერ შეძლო და კოჭებში ეტყობოდა, რომ ამის გამკვეთელი არ იყო. დრო დადგა, ბატონმა ბიძინამ მრჩევლებს ყური ახლა მაინც დაუგდოს და თბილისის მერი დროულად გადააყენოს.

— შესაძლოა, ეს არჩევნებამდე მოხდეს?

— რაც დრო გავა, ამ ჭაობში უფრო ღრმად ჩავეფლოებით. ამიტომ, ეს ახლავე უნდა მოხდეს და არა — არჩევნების წინ. თბილისის მერი სასწრაფოდ, დროებითი შემცვლელ-

თდება, კი ბატონო. ვიფიქრებდი, რომ კაცმა ალლო აულო, მერიის სამსახურების უფროსების გადაყენებითა და გამგებლების დასჯებით საქმეს აკეთებს-მეთქი, მაგრამ სამწუხაროდ, ამას პრემიერის ხელით აკეთებს.

დავით ნარმანიას თბილისის მართვა არ გამოსდის, ირაკლი ღარიბაშვილი იძულებულია, ჩაერიოს, როგორც პრემიერი და როგორც იმ პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ვინც ეს არჩევნები მოიგო. ახლა სხვა გამოსავალი არაა, ნარმანია მთელი გუნდით უნდა გადადგეს.

— კახი კალაძის ცოლის ძმითურთ?

— დიას, კალაძის ცოლის ძმითურთ... სხვათა შორის, ეს საკითხი გადაწყვეტილია, გიორგი არეშიძე შევუღლებამო გავიდა და იქიდან უკან დამბრუნებული არაა.

— ამბობთ, რომ ნარმანია ჩისშია, მაგრამ გადადგომას არ აპირებს და „ნაციონალებს“ იქით უტყვის: „გაიხედეთ უკან და დაინახეთ თქვენი წარსული... მოსახლეობის მიერ არჩეული მერი არ არის რომელიმე კონკრეტული ჯგუფის გადასაყენებელი ობიექტი“.

— იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც წლების განმავლობაში, ოპოზიციაში იყვნენ, ხელისუფლებას საყვედურობენ და აკრიტიკებენ, საზოგადოება უსმენს. მათ ამის მორალური უფლებაც აქვთ, მაგრამ „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც ოპოზიციას, ეს უფლება ნამდვილად არ აქვს. ზოგი

„ნაციონალებმა“ ანაკიერი, დანაშაულებრივი სისტემა შექმნეს, რომელზე აგებული სახელმწიფო მანქანაც ხარვეზების გარეშე მუშაობდა. მოდი, ეს კონკრეტულად თბილისის მერიის მაგალითზე განვიხილოთ, ანუ იმაზე, რაც გიგი უგულავას მერობის დროს დედაქალაქში ხდებოდა... მაშინ ტოტალური ელიტური კორუფცია იყო, რაც თავისთავად დანაშაულებრივი სისტემის ნაწილია, მაგრამ სისტემა იყო და ის, რასაც ახლა თბილისის მერიის, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებთან დაკავშირებით ბედავენ, წარმოუდგენელი გახლდათ.“

რაც შეეხება ხელისუფლების ქმედებას სამართლიანობის აღდგენის ნაწილში, საგანგაშო ვითარებაა. ხელისუფლებას ტყუილად ჰგონია, რომ ძალოვანი სტრუქტურები შემოირიგა, მათ „ნაციონალების“ წინაშე ვალდებულებები აქვთ აღებული — თუ არ დაემორჩილებიან, მათ წინააღმდეგ კომპრომატები ამოქმედდება. „ნაციონალებზე“ ყველაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ ვერ დაუკარგავ, რომ ნიჭიერი ხალხია, იცოდნენ, როგორ ემუშავათ და ვისზე რა საიდუმლო მასალის მოგროვება შეიძლებოდა.

— კომპრომატების შეგროვება ნიჭია, ბატონო მამუკა?

— ის, რაც ზურა ადგიშვილმა შექმნა — სისტემური დანაშაულებრივი მანქანა, რომელიც ნებისმიერ მათთვის საინტერესო პიროვნებაზე კომპრომატების შეკრებას, ერთიანი ბაზის შექმნას გულისხმობდა, ნიჭიერებაა, სხვა საქმეა, ამას როგორ გამოიყენებ.

— ეს სომ „კავებენიკური“ მეთოდია?

— კომუნისტურია თუ ბოლშევიკური, არ მომწონს. დღეს საზოგადოებაში გამოკითხვა რომ ჩაატარო თემაზე — რა არის დემოკრატია? — ნებისმიერი გამოკითხვითი თუთიყუშით დაზეპირებული სიტყვებით გიპასუხებ, რომ ეს ხალხის მმართველობაა. სინამდვილეში, დემოკრატია საზოგადოებრივი კონტროლიცაა. პოსტსაბჭოთა სივრცეში საზოგადოებრივი კონტროლი არ მუშაობს იმიტომ კი არა, რომ საზოგადოებამ არ იცის, თუ რა უნდა, არამედ, ეს ევოლუციური პროცესია, რომელიც საზოგადოებამ ეტაპობრივად უნდა გაიაროს. საზოგადოებაში ჯერ კიდევ საბჭოური მენტალიტეტია გამჯდარი — იცის, რომ ხელისუ-

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვავე, ქართული სიტყვავე“



საქართველოს პარლამენტი

მხსენებელი

მე-8 გვერდიდან

ფლების კონტროლი პრობლემებთანაა დაკავშირებული.

– ეს მენტალიტეტი ჩვენს თაობას აქვს, რომელმაც კომუნისტური წყობა გამოიარა და არა – ახალგაზრდებს.

– თქვენ წარმოიდგინეთ, საბჭოური მენტალიტეტი ბევრ ახალგაზრდასაც აქვს. ახალგაზრდა თაობა გარდამავალ სიტუაციაში დაიბადა და ის განწყობები გადმოჰყვა. ბევრს ხელისუფლებისა და პოლიტიკის მიმართ, საერთოდ, ამორფული განწყობა აქვს ან, თუ ხელისუფლებას აკრიტიკებს, კრიტიკას ინსტიტუციური ხასიათი არ აქვს. ამ თაობის ნაწილი ხელისუფლებაშიცაა და მისი ქმედებები ზოგჯერ საბჭოური განწყობის შესაბამისია.

– დემოკრატია სწორად სრულ თავისუფლებასთან აიგივებენ...

– ამ შემთხვევაში, ჩვენ დემოკრატიის იმ ფორმაზე ვსაუბრობთ, რომელიც სახელმწიფოსა და სამეურნეო ფუნქციას ეხება. ცნობიერების შეცვლის გარკვეული პროცესი უნდა მოხდეს, რის მერეც ხელისუფლებასა და საზოგადოებას თავისი ფუნქციონირება ეცოდინება. ვიდრე აქამდე მივალთ, ისეთი ძლიერი სახელმწიფო ფუნქციონირებაა საჭირო, რომელიც საზოგადოებას ამას ასწავლის და სახელმწიფო საქმესაც არ დალუპავს.

– დღეს კი, სახეზე რა გვაქვს? – დემოკრატიის ზეობა, სრული თავისუფლება, რომელიც ქაოსთანაა ახლოს.

– დემოკრატიაში მისაცვლელი გზა იმ გზაზე გრძელდება, რომელიც კაცობრიობამ მაიმუნიდან ადამიანად გადაიარა და რომელსაც ევოლუციას ვეძახით?

– არა, დღევანდელი ტექნოლოგიების პირობებში, შეგვიძლია, ეს პროცესი დავამოკლოთ.

– მოკლედ, „ოცნებაში“ „ნაციონალების“ დანაშაულებრივი სისტემა დანგრია, მაგრამ ახალი ვერ ააშენა, არა?

– და კიდევ ერთი: „ოცნებას“ ისეთი გუნდი არ აღმოაჩნდა, რომელიც საზოგადოებაში თუნდაც იმის მიტანას მოახერხებს, რაც გაკეთდა.

– და რა გაკეთდა, ბატონო მამუკა?

– თავი დავანებოთ ჯანდაცვის თემას, რომელზეც მრავალჯერ ითქვა და დაინერა. ბევრი რამ გაკეთდა ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებითაც, მაგრამ ყველაფერი ამის გახსნისთვის ვერ ახერხებენ, მაგრამ არ მკითხვთ, რატომო. პასუხი არ მაქვს.

– ყველაფერს აქვს მიზეზი და მიზანი...

– „ოცნების“ მიერ პირადი ერთგულების ნიშნით დაკომპლექტებული უწყებების სახეზე არაპროფესიონალი კადრებით, ბევრი მათგანი სამსახურის დაწყების მერე იწყებს იმ საქმის შესწავლას, რაზეც დაასაქმეს.

– გვანახოვს „ნაციონალების“ ახალგაზრდა მინისტრები, რომლებიც საზღვარგარეთ სანაწავლებლად მიდიოდნენ და მერე, ისევ თანამდებობებზე ბრუნდებოდნენ...

– ეს საშინელებაა, ხელისუფლება ის სფეროა, სადაც მხოლოდ პროფესიონალი უნდა დასაქმდეს. მინისტრი პოლიტიკური ფიგურაა. ჩინოვიკური აპარატი კი, წესით, მაღალპროფესიონალური კადრებით უნდა იყოს დაკომპლექტებული, ის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს და არა – რომელიმე პოლიტიკური ძალის სასარგებლო ინტერესებით. „ოცნების“ ხელისუფლებაში ყველა მიმართულებით არსებული პროფესიონალიზმის დეფიციტი ქვეყნის შიგნით და გარეთ პრობლემებს იწვევს.

– მოდით, „რუსთავი 2“-ის თემასაც შევხვით. მედიაზე ზეწოლას ყველა დროს ხელისუფლება ცდილობს. ნიკა გვარამია აცხადებს, რომ ტელეკომპანიის დაყადება მკვეთრად პოლიტიზირებულია...

– „რუსთავი 2“, შემოქმედებითი პოტენციალის თვალსაზრისით, ყველაზე ძლიერი და ფლაგმანი ტელევიზიაა, მაგრამ პარტიულია. ძლიერი, მაღალტექნოლოგიური ტელევიზია ეროსი კონმარშივლია შექმნა... ნიკა გვარამიას პიროვნულად არას ვერჩი, მაგრამ კაცი, რომელიც გენერალური პროკურორის მოადგილე იყო, ახლა ტელევიზი-



ის მმართველია...

– „ნაციონალები“ მოხერხებულად მოქმედებენ, საზოგადოებას ინფორმაციას აწვდიან, რომ ტელეკომპანია დაიხურა, ამ დროს კი, წილების გადანაწილების პროცესი შემოქმედებითი ჯგუფის საქმიანობას სულაც არ ეხება.

– წლებია, „რუსთავი 2“-ის წილები ხელ-იდან-ხელში გადადის...

– ტელეკომპანიის საქმეში სამართლიანობის აღდგენა პროცესებს შორს წაიყვანს, არც წინა მფლობელები, მაგალითად, ქიზარ ხალვაში იქნება მართალი, რადგან მტყუან-მართლის გარკვევა ძნელია. „ნაციონალები“ ხან გაჰყვირიან, სასამართლოს არ ვენდობითო. თუკი არ ენდობიან, მაშინ რას ყვიროდნენ, მოსამართლეებს ვენდობითო?! როგორც აწყობთ, ისე აგებენ თამაშებს, ვინმე არც შემპასუხებელია და არც – გამკითხავი. არადა, ხელისუფლება, ანალიტიკური სამსახურების მეშვეობით, ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ უნდა იყოს, პიარი წინსწრებით უნდა ხდებოდეს. გაინტერესებთ, როგორ გააკეთებდა ყველაფერი ამას „ნაციონარობა“?

– როგორ?

– „ნაციონალური მოძრაობა“ შეთხზავდა საშინელ ამბავს დანაშაულებრივ, სიცრუის ტელევიზიაზე, მსოფლიოს გააგონებდა, რომ წილები იყიდება და ეს უკანონოდ ხდება და, უამრავი სატელევიზიო სიუჟეტის მერე, ტელეკომპანიას პირდაპირ დაართყამდა.

– ისე, როგორც „იმედის“ შემთხვევაში გააკეთა?

– „იმედის“ კრიზისი მსოფლიომ გაიგო, მაგრამ ასეთი ქმედებებისთვის დრო არ იყო, იძულებულნი გახდნენ, ძალოვანი სტრუქტურები აემოქმედებინათ – პირდაპირ დაერტყათ. სხვანაირად მოხდა ტელეკომპანიების – „იბერიას“, „მზეს“, „25-ე არხისა“ და „პირველი სტერეოს“ დაყადება-გადაფორმება.

– არასამთავრობო ორგანიზაციები აც-

ხადებენ, რომ ბაჩო ახალაიას, ვანო მერაბიშვილისა და გიგი უგულავას პატიმრობა თავისუფლების აღკვეთის პოლიტიკურ ნიშნებს ატარებს...

– არასამთავრობოების ნაწილი „ნაციონალების“ ყოფილი ჩინოვიკებისგანაა დაკომპლექტებული, რომელთაც მორალური უფლება არ აქვთ, უკანონო დაპატიმრებებზე ისაუბრონ. არასამთავრობოს მეორე ნაწილი, ანუ 50-60 პროცენტი რომელიმე პოლიტიკური პარტიის, ან სხვადასხვა ქვეყნის შესაბამისი სამსახურების მიერ ხელოვნურადაა შექმნილი, რათა მათი ნააზრვეი გაახშიანოს და ინტერესები გაატაროს.

– მაინც, რომელ ქვეყნებს გულისხმობთ?

– შემძლია, ჩამოვთვალო ქვეყანათა ჯგუფი, ცალკე დასავლეთის, ცალკე აზიური, არაბული, თურქული სუბსამსახურები... ყველა მათგანი კონკრეტული ქვეყნის ინტერესების შესაბამისად მოქმედებს. საქართველოში არიან დემოკრატიული პრინციპით მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებიც, მაგრამ ასეთები ცოტანი არიან.

– ისე, ხელისუფლებამ სამი ოდითუთი ფიგურისთვის ბრალის წაყენება ისე რატომ ვერ მოახერხა, რომ ამას პოლიტიკური შეკითხვები არ გაეჩინა?

– ამის მიზეზი სამართალდამცავ ორგანოებში მოკალათებული „ნაციონალების“ საბოტაჟი, „ოცნების“ არაპროფესიონალიზმი და შიშია.

– და ყველაფერი ეს საერთაშორისო სივრცეში როგორ გამოიყურება?

– საშინლად. ამის ნათელი მაგალითია კეზერაშვილის პროცესი. საქართველოს პროკურატურის მიერ გაგზავნილი მასალები, უბრალოდ, თავის მოჭრა იყო და მეტი არაფერი. საფრანგეთში მცხოვრები ქართველი მეგობრები მეუბნებოდნენ, ისეთი შეგრძნებაა, რომ საქართველო მსოფლიო რუკაზე, როგორც ცივილიზებული ქვეყანა, თითქოს საერთოდ არ არსებობსო. ფარატი ჩალაღდებით, რომლებიც ცენტრალურ-

რი ამერიკის რომელიმე ქვეყნის დონის დოკუმენტებს უფრო შეეფერება, კეზერაშვილისთვის ბრალის დამტკიცება შეუძლებელი იყო. ყველაფერი ეს ძალიან მძიმედ და მთავრდა, მთავარი კეზერაშვილის გათავისუფლება კი არა, არამედ, ის იყო, თუ როგორ წარსდგა ქართული მართლმსაჯულება ქვეყნის გარეთ ასეთ მნიშვნელოვან სასამართლო პროცესზე.

– როცა საერთაშორისო ასპარეზზე ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი გადის, ნუთუ, არ გვყავს გამორჩეული სპეციალისტი, რომელიც საბუთებს გადაამოწმებს?

– დასაზრია, მაგრამ ასეთი დონის სპეციალისტი დღეს არსად ფუნქციონირებენ. არადა, წარსულში საქართველო ცნობილი იყო ნიჭიერი იურისტებით, პროკურორებით, მოსამართლეებით. მათ გადაცდომები, ალბათ, ექნებოდათ, მაგრამ პროფესიონალები იყვნენ. იმის თქმა მინდა, რომ ტრადიციები გვაქვს, ჯერ კიდევ ცოცხალია ის თაობა, რომელსაც კონსულტაციების განევა მაინც შეუძლია, მაგრამ სამწუხაროდ, ამ რესურსის გამოყენება არავის აინტერესებს.

– ბატონო მამუკა, თქვენი აზრით, პრეზიდენტი მარგველაშვილი ბაჩო ახალაიას, ვანო მერაბიშვილსა და გიგი უგულავას შეიწყალებს?

– იმაში, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებასა და პრეზიდენტს შორის არაფანსალი ურთიერთობაა, ორივეს ვადაწმარებ. ამ სამეულის შეწყალება გიორგი მარგველაშვილისთვის საბედისწერო ნაბიჯი იქნება. ეს სამართლიანობის აღდგენის დემონსტრირება კი არა, ხელისუფლებისა და საზოგადოების სულში ჩაფურთხება, დემარში იქნება. არ მინდა დავიჯერო, საქართველოს პრეზიდენტად ხალხის მიერ ზარ-ზეიმით არჩეულ გიორგი მარგველაშვილს ეს საქციელი აჰად უღირს. კონსტიტუციონალიზმს უფობთ, მთავარი ფორმა მოქმედი და ხალხს გააგებინონ, ვინაა სახელმწიფოს უფროსი.

– თქვენ გაიგეთ, ქვეყნის მმართველი ვინაა?

– კონსტიტუციას კარგად ვიცნობ, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, იქ იმდენი ბუნდოვანება და იმდენი გაურკვეველი საკითხია, რომ ვერც მე გავიგე, ეს ქვეყანა ვინ უნდა მართოს.

– არსებობს მოსაზრება, რომ „ნაციონალებმა“ ეს ბუნდოვანება თავის დროზე სააკაშვილის გასაპრემიერებლად, ასე ვთქვათ, შექმნეს...

– დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი პრემიერი რომ გამხდარიყო, მეორე წელსვე უფრო მეტ ძალაუფლებას მოითხოვდა და ამას მიაღწევდა კიდევ.

ესაუბრა ნათია გომიტიძე

„როცა, „ოცნება“ ნარბანის კანდიდატურა დაასახელა, თბილისის დედა, გვირი ბეჰენა აკეთებდა, რომ ნარბანის თბილისელი არ იყო. ჩემთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ მივაჩნია, რომ ასეთი თანამდებობის პირი უნდა იყოს ფიგურა, რომელსაც შეუძლია, კონკრეტულ სივრცეში პოლიტიკური, სამეურნეო და ეკონომიკური განვითარებისთვის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც იმუშავებს. ნარბანისა და ვერ შექმნა და კოჭავაძე იტყობოდა, რომ ამის გამართება არ იყო. დრო აღაღდა, გატონა ბიძინა მრჩავლებს შორი ახლა აინდო დაუბაღოს და თბილისის მერი დროულად გადააყენოს... თბილისის მერი სასწრაფოდ, დროებითი შემცვლელი უნდა ჩაანაცვლოს, რომელიც ძალაში სიტუაციას გამოსწორებს.“



საქართველო
საქართველო

„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებას ხომ შენით ითქვას;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა!“

კარგა ჯიჯი

პოლიტიკური ტაიმაუტი

„ახალკაცის ცოლმა მიზანს, მგონი, ტოლგები აჭამა და მამიტომაც ჰქონდათ კარგი ურთიერთობა...“



სპორტსმენები, მსახიობები, მუსიკოსები... ქართული პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად იქცნენ — საკანონმდებლო ორგანოსა და თვითმმართველობებში იმ ადამიანებს იხილავთ, ვისაც ადრე ან სტადიონზე ამხნევებდით, ან აპლოდისმენტებით ამკობდით. „ქართული სიტყვა“ ვეტერან ფეხბურთელ მანუჩარ მანაიძეს ესაუბრა, რომელიც ბოლო მოწვევის თბილისის საკრებულოს წევრი „პატრიოტთა ალიანსიდან“ გახდა და რომელიც საკრებულოს მუშაობაში, როგორც თავად ამბობს, საკმაოდ აქტიურადაცაა ჩართული:

რას აკეთებს საკრებულოში და ვინ გამოუცხადა ომი მანუჩარ მანაიძეს

— 1995-1999 წლებში, პარლამენტის წევრი ვიყავი. მაშინ ჟურნალისტები მოდიოდნენ და მეკითხებოდნენ ხოლმე, რას ვაკეთებდი, ხალხს როგორ ვეხმარებოდი... რა გავაკეთე, ჩემო ძმავო?! — როგორ, ადგილი, მერაბიშვილი და ეს უცოდინარი და გაუნათლებელი „ნაციონალები“ უნდა იყვნენ პოლიტიკაში და მე, მანუჩარ მანაიძე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი და განათლებული კაცი, მაგას არ ვიმსახურებ, რომ საპარლამენტო ორგანოში ვიყო? ეს ხისთავიანი, გაუნათლებელი „ნაციონალები“, უნიგურები, „მოქალაქეთა კავშირიც“ მათნაირი გამოშტერებული ხალხით იყო სავსე, მაგათა დასაყრდენი საქართველო, ყველაფერს დედა უტირეს, მრენველობა დაანგრის, ხალხს აშიშვლებდნენ, ქართველებს გენოციდი მოაწყვეს და მე არ უნდა ვიყო საკრებულოში?

— თქვენი ძალისხმევით, ბატონო მანუჩარ, დედაქალაქში რა პრობლემა გადაიჭრა, ან რომელი ინიციატივის ავტორი ხართ?

— მარტო ერთი კაცი ვერაფერს გააკეთებს... საკმაოდ აქტიურად ვარ ჩაბმული საკრებულოს მუშაობაში, ჩვენ სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტი მივიღეთ — კომისიის თავმჯდომარე ვარ, ვწყვეტთ რაღაც საკითხებს, ხალხისათვის საკეთილდღეოს. იურიდიული კომისიის წევრიც ვარ, იქაც რაღაც ახალ კანონებზე ვმუშაობთ... ასე რომ, ვემსახურები ჩემს ხალხს. გამოსასწორებელი ჯერ კიდევ ბევრია, დღეს საქართველოში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა, თუმცა მთავარია, ადამიანებს ციხეში არ აწამებენ და არ კლავენ, როგორც წინა ხელისუფლების დროს. ხალხს ქონებას მაინც არავინ ართმევს და არავინ ტანჯავს.

გადავინაცვლეთ და სფფს საპრეზიდენტო არჩევნების თემა განვავრცეთ... მანუჩარ მანაიძე: — არჩევნების შიდა სამხარეულოს საქმის კურსში არ ვარ. არც არჩევნებზე მივედი და არც იქამდე ჩავრეულვარ არაფერში. ისე, ვფიქრობ, დროა, ფეხბურთის ფედერაცია ახალი ხალხით დაკომპლექტდეს. ის ხალხი, რომელიც 25 წელია, ფეხბურთის ხელმძღვანელობს, ნასასვლეელია... მათ ფეხბურთი დამარხეს და დაასამარეს! ფაქტია, მსოფლიოში ერთ-ერთ უკანასკნელ პოზიციას ვიკავებთ. სიტუაცია ითხოვს ახალ ძალას და ამ შემთხვევაში, პრეზიდენტობის ყველაზე ოპტიმალური კანდიდატი კობიაშვილი იყო. წარმატებასაც სწორედ მან მიაღწია.

ულად ხომ არ მოგეჩვენათ? შეკითხვები არ გაგიჩნდათ?

— ისიც არ ვიცოდი, არჩევნები სად ტარდებოდა, შიდა სამხარეულოში არ ჩავრეულვარ, შესაბამისად, ვერ გეტყვით, რა და როგორ მოხდა. არჩევნები ფარული კენჭისყრით ჩატარდა, არ ვიცი, იყო თუ არა დელეგატებზე ზენოლა... — არჩევნებს ვიცე-პრემიერი კახა კალაძე ესწრებოდა, ეს არაფერს ნიშნავს? — კალაძე ვეტერანი ფეხბურთელია, თანაც კობიაშვილის მეგობარია და მის იქ მისვლაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. მოკლედ, იქ არ ვყოფილვარ და არც არაფერი მინახავს. — ამ 25 წლის განმავლობაში, ქართული ფეხბურთის სათავეებთან რატომ არ იყავით? — რომელიმე მთავრობის რჩეული არასოდეს ვყოფილვარ, ჯერ კიდევ კომუნისტებმა გამომიცხადეს ომი. ძალიან მინდოდა, საფეხბურთო სკოლის გახსნა, მაგრამ „ვარდების რევოლუციამდე“ ამის საშუალება არ მომეცა, ბევრ თანამდებობაზე ვიმუშავე, მაგრამ ფეხბურთს არავინ გამაკარა... შემდეგ, როცა მიშა მოვიდა, ეგეც გადამეკიდა, ახალკაცის შვილი დააბრუნა, ისე გამოვიდა, თითქოს დიდ ახალკაცს ვინმე ეჩივოდა და მიშამ ყველას ნიშნი მოუგო. ახალკაცის ცოლმა, მგონი, ტოლგები აჭამა და მამიტომაც ჰქონდათ კარგი ურთიერთობა. „დინამოში“ ყველაზე მეტი მატჩი მე მაქვს გამართული, ყველაზე მეტი გამარჯვების მონაწილე ვარ, მაგრამ რატომ ამომიჩივეს, დღემდე არ ვიცი... „ნაციონალებმა“ ქონება წამართვეს, მაკინოროვედნენ, ქარხნის და რაღაც ობიექტის მფლობელი ვიყავი და ისიც ჩამომართვეს...

გადავცემა და თუ საქმეს ვერ აკეთებ, უნდა ნახვიდე! ახალმა კადრებმა შესაძლებელია, რაღაც შეცვალონ, თუმცა ზუსტად ვერაფერს ვინანანსარმეტყველებ. მოკლედ, ცვლილება აუცილებელი იყო, დანარჩენი გამოჩნდება.

— არჩევნები ზედმეტად პოლიტიზირებ?

ესაუბრა ღაბია ბალაშვილი

თვალსაზრისი

„ხელისუფლებაში ვიღაცას ანჯოზს, „რუსთავი 2“ ისეთი აღარ იყოს, როგორიც დღესაა!“

„გაზრომის“ საქართველოში დაბრუნებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ხელისუფლება ორ სკამზე ჯდომას მიეჩნია — ეს საგარეო კურსის შეცვლა არაა, მაგრამ ძალიან სარისკო თამაშია. ის ერთი და ამათი პატარ-პატარა სურვილებს უარს უთქვამს, თუმცა ამან შეიძლება, ისეთ ჩიხში შეგვიყვანოს, საიდანაც თავის დაღწევა ძალიან გაგვიჭირდება“, — აცხადებს „ქართული სიტყვასთან“ საუბრისას ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე.

მომგებიანი?

— მათ იციან, რომ ელექტორატში მხარდაჭერა არ აქვთ და ის მნიერი ამომრჩეველიც კი, რომელიც ჰყავთ, თუ ხელისუფლებამ ფატალური შეცდომა არ დაუშვა, შეიძლება, შემოეცალოთ. მათ იციან, რომ ეს თემა ქვეყნის ფარგლებს გარეთ კარგად გაეყიდება. დისკუსია, რომ ქვეყანაში რუსეთისკენ მომზირალი ხელისუფლებაა და მას პროდასავლური ძალა უპირისპირდება, დღევანდელი პოლიტიკური კონიუნქტურისთვის კარგად გაყიდვადი თემაა. „ნაციონალებს“ ეს მიმართულება შემთხვევით არ აურჩევიათ. ისიც უნდა ითქვას, რომ გარკვეული ჯგუფები, ამ მოწოდებას, ალბათ, გამოეხმებოდნენ, რომელიც აქ, განაცხადებს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალასთან კონსულტაციებს ვინცებო.

— თქვენი ძალისხმევით, ბატონო მანუჩარ, დედაქალაქში რა პრობლემა გადაიჭრა, ან რომელი ინიციატივის ავტორი ხართ?

— მარტო ერთი კაცი ვერაფერს გააკეთებს... საკმაოდ აქტიურად ვარ ჩაბმული საკრებულოს მუშაობაში, ჩვენ სოციალურად ორიენტირებული ბიუჯეტი მივიღეთ — კომისიის თავმჯდომარე ვარ, ვწყვეტთ რაღაც საკითხებს, ხალხისათვის საკეთილდღეოს. იურიდიული კომისიის წევრიც ვარ, იქაც რაღაც ახალ კანონებზე ვმუშაობთ... ასე რომ, ვემსახურები ჩემს ხალხს. გამოსასწორებელი ჯერ კიდევ ბევრია, დღეს საქართველოში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა, თუმცა მთავარია, ადამიანებს ციხეში არ აწამებენ და არ კლავენ, როგორც წინა ხელისუფლების დროს. ხალხს ქონებას მაინც არავინ ართმევს და არავინ ტანჯავს.

— ისედაც მძიმე ყოფის ფონზე, ასეთი რეგულაციებით მოქალაქეთა ჯიბეების კიდევ უფრო დაცარიელება რამდენად მართებულია?

— ნამდვილად არაფერი ვიცი ასეთი სახის რეგულაციაზე. ჩვენ, უბრალოდ, უპატრონო ძაღლები ავცერით და სხვა სამუშაოებიც გავწიეთ... უპატრონო ძაღლებს მივხედავთ და ადრინდელთან შედარებით, უკეთესი ვითარებაა. ზემოხსენებული რეგულაციის მომხრე არ ვიქნები, ძალიან მიყვარს ძაღლები, მეც მყავს...

ამის შემდეგ, მე და ჩემმა რესპონდენტმა „აქტიური პოლიტიკიდან“, ფეხბურთზე

— ბატონო ზაალ, თქვენთან ინტერვიუს ჩანერა მას შემდეგ გადავწყვიტე, რაც „ფინისტზე“ თქვენი ერთი საინტერესო და ცოტა პროვოკაციული სტატუსი ვნახე, მინდა, „ნაციონალებმა“ ქვეყნები დაიწყო, ეს ხელისუფლების გამოსაცდელად კარგი იქნება ან... — „ნაციონალები“ უკვე აღარ მალავენ თავიანთ ზრახვებს და საპროტესტო ტალღის ახალი ეტაპის აგორებას აპირებენ. მათმა ერთ-ერთმა სახემ, დავით დარჩიაშვილმა, ცოტა ხნის წინ, ისიც კი დააანონსა, რომ შეიძლება, სამოქალაქო ომის პირასაც დავდგეთ. ვფიქრობ, ისინი განერილი გეგმის მიხედვით მოქმედებენ, რომლის დაანონსებაც უფრო ადრე, დაახლოებით, ერთი წლის წინ მოხდა. ამ გეგმის მთავარი შემადგენელი ისაა, რომ „ნაციონალებმა“ შეეცდებოდნენ, მისი აზრით, პროდასავლური ორიენტაციის სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის თუ ცალკეული სახის კონსოლიდირებას და ამ ქოლგის ქვეშ, საზოგადოების ლიბერალურად განწყობილ ნაწილებში გარკვეული მხარდაჭერის მოპოვებას, რათა შემდეგ, ხელისუფლებას, რომელსაც პრორუსულ ორიენტაციაში ადანაშაულებს, ერთიანი ფრონტით შეუტყოს.

მომგებიანი?

— მათ იციან, რომ ელექტორატში მხარდაჭერა არ აქვთ და ის მნიერი ამომრჩეველიც კი, რომელიც ჰყავთ, თუ ხელისუფლებამ ფატალური შეცდომა არ დაუშვა, შეიძლება, შემოეცალოთ. მათ იციან, რომ ეს თემა ქვეყნის ფარგლებს გარეთ კარგად გაეყიდება. დისკუსია, რომ ქვეყანაში რუსეთისკენ მომზირალი ხელისუფლებაა და მას პროდასავლური ძალა უპირისპირდება, დღევანდელი პოლიტიკური კონიუნქტურისთვის კარგად გაყიდვადი თემაა. „ნაციონალებს“ ეს მიმართულება შემთხვევით არ აურჩევიათ. ისიც უნდა ითქვას, რომ გარკვეული ჯგუფები, ამ მოწოდებას, ალბათ, გამოეხმებოდნენ, რომელიც აქ, განაცხადებს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალასთან კონსულტაციებს ვინცებო.

„რა გავაკეთე, ჩემო ძმავო?! — როგორ, ადვილად, მერაბიშვილი და ეს უცოდინარი და გაუნათლებელი „ნაციონალები“ უნდა იყვნენ პოლიტიკაში და მე, მანუჩარ მანაიძე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი და განათლებული კაცი, მაგას არ ვიმსახურებ, რომ საპარლამენტო ორგანოში ვიყო? ეს ხისთავიანი, გაუნათლებელი „ნაციონალები“, უნიგურები, „მოქალაქეთა კავშირიც“ მათნაირი გამოშტერებული ხალხით იყო სავსე, მაგათა დასაყრდენი საქართველო, ყველაფერს დედა უტირეს, მრენველობა დაანგრის, ხალხს აშიშვლებდნენ, ქართველებს გენოციდი მოაწყვეს და მე არ უნდა ვიყო საკრებულოში?“

— რატომაც ეს გეგმა ყოფილებისთვის

გაბრძობა მე- 11 გვ.

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგე ლექსი



საქართველოს პარლამენტი

თვალსაზრისი

მე-10 გვირგვინი

ტრალიზებასა და დემონიზაციას მოახდენენ, ამით „ქართულ ოცნებას“ დაასუსტებენ. თუ დღეს ამომრჩეველი „ქართულ ოცნებას“ მხარს კიდევ უჭერს, მოდით, ვიყოთ გულახდილები და ვთქვათ, რომ ისევ და ისევ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორის გამო. თუ ამ ფაქტორის დისკრედიტაცია მოხდება, „ნაციონალისტებისთვის“ თავიანთი მიზნების განხორციელება და მოვლენების იმ მიმართულებით წაყვანა, რასაც გეგმავენ, უფრო იოლი იქნება, მაგრამ აქ არსებობს ერთი დიდი „მაგრა“: საზოგადოება „ნაციონალიზმს“ ისე აღარ ენდობა, როგორც 2003 წელს ენდობოდა.

– მიუხედავად ამისა, განაცხადეთ, რომ „დეჟა ვიუ“ დაგეგმეთ...
– ეს საქმე – „ვარდების რევოლუცია“ 2003 წელს გამოუვიდათ, მაგრამ მაშინ სააკაშვილი დისკრედიტებული არ იყო და საზოგადოების დიდი ნაწილი, მხარს უჭერდა – ეს ფაქტი და თუ ობიექტურები ვართ, ამის დამალვა არ შეიძლება. დღეს კი, განსხვავებული მდგომარეობაა და ნებისმიერი პოლიტიკური ძალა, ან საზოგადოებრივი ჯგუფი საკუთარი თავის „ნაციონალიზმის“ აპელირებას ვერ მოახდენს და თუ ამას მაინც გააკეთებს, საზოგადოების უმრავლესობის მიერ უკუგდებული იქნება.



„ოცნების“ სარისკო თაგაში და „ნაციონალისტების“ „დეჟა ვიუ“

მეორეც, თუ მაინცდამაინც ის გზა აირჩიეს, რომ ხელისუფლების არაკონსტიტუციური ჩამოშორება მოახდინონ, ჩემი ვარაუდით, არ მგონია, საზოგადოება ამას ისე პასიურად შეხვდეს, როგორც 2003 წელს შეხვდა. ამიტომაც გამოთქევი ვარაუდი სოციალურ ქსელში, რომ 2003 წელთან ერთგვარი „დეჟა ვიუ“ ჩნდება. ეტყობა, „ნაციონალიზმი“ რეალობის აღქმა დაკარგეს. მათ გარედან სერიოზული მხარდაჭერა აქვთ, რომელიც აიძულებს, რომ ამ მიმართულებით წავიდნენ, ან შეიძლება, იყოს მცდელობა, რომ ასეთი მოქმედებებით და განცხადებებით გარეშე აუღიაროთ საკუთარი ელექტორატის თავი შეახსენონ, რომ ჯერ კიდევ ცოცხლობენ, რამის გაკეთების უნარი კიდევ აქვთ, ყველაზე გავლენიანი ოპოზიციური ძალაა და კიდევ შეუძლიათ ქვეყანაში პოლიტიკური კლიმატის ჩამოყალიბება.

ექვი ჩნდება და ლეგიტიმურია შეკითხვა, თუ რატომ არ მოითხოვა წილები ორი-სამი წლის წინ და რატომ ითხოვს ახლა, მაგრამ თუ ემოციებს გვერდზე გადავდებთ და ფაქტებით ვიმსჯელებთ, რეალურად, საქმე გვაქვს წმინდა სამართლებრივ დავასთან. შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლებაში ვიღაცას აწყობს, „რუსთავი 2“-ისეთი აღარ იყოს, როგორც დღესაა, ანუ ინსტრუმენტი ერთი პარტიის ხელშია, მაგრამ მეორეს მხრივ, ამ ტელეკომპანიასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი სამართლებრივი პრობლემა არსებობდა – წლების განმავლობაში, მფლობელები ხუთჯერ შეიცვალა და ყველა ეს გარიგება საეჭვო იყო. ამიტომ არ მიკვირს, რომ ყოფილი მფლობელების მხრიდან გარკვეული პრეტენზიები არსებობს. ქიბარ ხალვაშს რამდენად აინტერესებს „რუსთავი 2“, ეს ცალკე საკითხია. საგარეუდოდ, იმ ფულის დაბრუნება უნდა, რაც თავის დროზე ამ ტელევიზიაში ჩადო. ვერ იტანს, ასე უსამართლოდ რომ მოექცნენ და უნდა, იმ ძალებზე ერთგვარი გამარჯვება მოიპოვოს, თორემ რაც ასპარეზზე გამოჩნდება, მედიაბიზნესის ინტერესი არ ჰქონია. ტელევიზიაც, თავის დროზე, სხვისი ზეგავლენის ქვეშ მყოფმა იყიდა.

– ისე, სხვა ძალები რაში სჭირდება? თუ „დეჟა ვიუ“ და „ნაციონალიზმი“ არ გახსოვთ, „ნაციონალიზმი“ 2003 წელს რევოლუციური ტალღა მართლმაც ააგრობდა...
– ამაში ვერ დაგეთანხმებით. მაშინ მის გვერდით იყვნენ სხვადასხვა ჯურის პოლიტიკური ძალები – „ზვიადისტიები“, „რესპუბლიკელები“ და ისინი, ვინც მერე „ეროვნული ფორუმი“ ჩამოაყალიბა. დღეს კი, აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა და არ ვიცი, ამ პარტიას რისი იმედი აქვს. საგარეუდოდ, ისევ გარე მოკავშირეების. ისიც საკითხავია, რამდენად საზოგადოება ახალი რევოლუციისთვის განწყობილი. ისეთი განწყობა ნამდვილად არაა, რასაც შეიძლება, წინასარევოლუციო დაარქვა. „ნაციონალიზმი“ კონტროლირებადი მედიასაშუალებებით სტაბილიზაციის განცდის გავლენებს ცდილობს, რომ ქვეყანაში არაფერი კეთდება და ყველაფერი უკან მიდის, მაგრამ სწორედ აქ იკვეთება ის სისუსტე, რაც ამჟამინდელ ხელისუფლებას აქვს.

– ვადადელი არჩევნების დანიშნავს წინაპირობები სჭირდება, რასაც კონსტიტუცია არეგულირებს. დღეს ისეთი წინაპირობები არ იკვეთება, რომელიც ხელისუფლებას იმის არგუმენტაციას მისცემს, რომ ვადადელი არჩევნები დანიშნოს. წარმოვიდგინოთ, არჩევნები დანიშნა, „ნაციონალიზმი“ პარლამენტში, შეიძლება, გარკვეული რაოდენობა გაიყვანოს, მაგრამ უმრავლესობას ვერ მოიპოვებს და ამიტომ მისთვის ვადადელი არჩევნებს აზრი არ აქვს.

– რა სისუსტეს გულისხმობთ?
– ძალიან დაბალ დონეზეა საზოგადოებასთან კომუნიკაციის ინსტრუმენტები. მართალია, ბოლო დროს ამ სისუსტეებს მიხედნენ და სიტუაციის გამოსწორება დაიწყეს, მაგრამ ეს საკმარისი არაა. სწორედ ხელისუფლების სისუსტეზე თამაშობს „ნაციონალიზმი“, თორემ პოლიტიკური რესურსი ამონურული რომ აქვს, ეს ბოლო ორი არჩევნების შედეგებზე აჩვენა.

– საპროტესტო აქციები მაინცდამაინც ახლა, საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე რატომ დანიშნა? „ნაციონალიზმი“, როგორც თქვენ ამბობთ, კონტროლირებადი მედიასაშუალებების დაკარგვის ხომ არ ეშინია?
– „რუსთავი 2“-ის ფაქტორი დიდწილად პოლიტიზირებულია – თეორიულად შეიძლება დაუშვათ, რომ ქიბარ ხალვაში ხელისუფლების დავალებით მოქმედებს. ასეთი

სწორედ ეს უნდა...
– შეიძლება, მაგრამ ასეთ დროს მივიღებთ ჭრელ პარლამენტს. რა ინტერესი აქვს „ნაციონალიზმს“, ეს ჩემთვის ჯერჯერობით გაუგებარია. ვფიქრობ, ვადადელი არჩევნებით სპეკულირებს, რათა პოლიტიკური დაპირისპირების ტემპერატურა აწიოს. მღვრიე წყალში კი, თევზის დაჭერა ადვილია და „ნაციონალიზმი“ სწორედ ასეთ პოლიტიკურ თამაშსაა მიჩვეული. ასე მოვიდა ხელისუფლებაში და მაშინაც, როცა ხელისუფლებაში იყო, მიზნებს ასე აღწევდა – გვახსოვს რამდენი ხელოვნური პროვოკაცია დადგა.

– ამ ფონზე, ხელისუფლების მოქმედება რამდენად ადეკვატურია?
– მოკლედ რომ ვთქვა, ორმოცდაათი-ორმოცდაათზე.

– საგარეო პოლიტიკაშიც ასეა? „გაზბრომის“ შემოსვლაზე რა აზრის ხართ?
– რა თქმა უნდა, შეკითხვებს აჩენს, თუ რატომ დაინიშნა ხელისუფლებამ მოლაპარაკებები „გაზპრომთან“. ყველა ვიცით, „გაზპრომი“ რასაც წარმოადგენს და თუ ხელისუფლება აპირებს, საქართველოში იმიტომ შემოიშვას, რომ ეკონომიკური დივიდენდები მიიღოს, ძალიან სარისკო თამაშს თამაშობს. ოფიციალური განცხადებების დონეზეა ლაპარაკი, რომ შეთანხმდეს ახალი ტარიფები რუსული გაზის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტზე. როგორც ჩანს, გაზის მონოდებასთან დაკავშირებით, გარკვეული პრობლემები აზერბაიჯანთანაც შექმნა და ხელისუფლება ამიტომ ცდილობს, რომ ალტერნატიული წყარო შექმნას, რათა მოულოდნელობის წინაშე არ აღმოჩნდეს და ამან ქვეყანაში ენერგეტიკული კრიზისი არ გამოიწვიოს, მაგრამ ვიმეორებ: ეს ძალიან სარისკო თამაშია.

– საქართველოში რუსეთის გააქტიურებაც ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ?
– მგონია, რომ ეს გადაჭარბებული შეფასებებია. თუ რუსეთში ცალკეული პოლიტიკოსი მიდის და იქ ვიღაცას ხვდება, ეს მისი პირადი საქმეა, ის გადაწყვეტილების მიმღები არაა. ვიმეორებ: ეს თემა ზედმეტად აუ-

იტრებულია იმიტომ, რომ საზოგადოებაში პრორუსულ ძალებს, ყველასთვის ცნობილი მოვლენების გამო, დასაყრდენი არ აქვთ, თუმცა არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ საზოგადოებაში გარკვეული პრორუსული სენტიმენტები ილვიძებს, განსაკუთრებით, საშუალო და უფროს თაობაში და ეს იმიტომ, რომ პროდასავლური ძალების მიმართ ნაკლები ნდობაა. შესაძლოა, ესეც ერთ-ერთი მიზეზია, თუ რატომ აქვთ ასეთი გასავალი იმ პერსონებს, რომლებიც პრორუსულ დღის წესრიგს „ანკვიბიან“, თუმცა მიმართ ზომები შეიძლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში გატარდეს, თუ ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს მიმართავენ...
– როგორ ფიქრობთ, ხელისუფლების საგარეო კურსი მართლა შეიცვალა?

– კურსი კი არ შეიცვალა, ხელისუფლება ორ სკამზე ჯდომის პოლიტიკას ატარებს. როგორც ჩანს, მაინცაა, რომ რუსეთთან პრაგმატული პოლიტიკის გატარება ჯობია და აუცილებელია, გარკვეულ ზღვრამდე გარკვეული მოთხოვნები და ინტერესები ისე დაუქმავყოფილო, რომ ნათელი ხაზები არ გადაკვეთოს, ვიდრე მასთან ისეთ კონფრონტაციულ შედეგს, როგორც ამას წინა ხელისუფლება აკეთებდა, მაგრამ ამ პრაგმატულმა პოლიტიკამ, მეორეს მხრივ, შეიძლება, ისეთ კალაპოტში შეგვიყვანოს, რომ იქედან გამოსვლა ცოტა რთული აღმოჩნდეს იმიტომ, რომ არავინ იცის, რუსეთთან ასე დაახლოების პოლიტიკით ხელისუფლებამ სადამდე შეიძლება შეტოვოს, თუმცა აქაც გარკვეული რისკები არსებობს და ხელისუფლება ამ მიმართულებითაც ძალიან ფრთხილად უნდა იყოს.

– თუკი ქვეყანაში ასეთი პოლიტიკური ფონი შენარჩუნდება, 2016 წლის არჩევნების შემდეგ რას მივიღებთ?

– საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წელია დარჩენილი, ამიტომ უმადური საქმეა იმის გარკვევა, თუ რა კონფიგურაციაა მივიღებთ პარლამენტში. 2011 წელს არავინ ელოდა, რომ პოლიტიკაში ივანიშვილი შემოვიდოდა და ასეთ ძვრებს მოახდენდა. საპარლამენტო არჩევნებამდე შეიძლება, ახალი ძალებიც კი შემოვიდნენ და ახალი ფიგურები გამოჩნდნენ. ჯერჯერობით კი, არსებობს იმის ვარაუდი, რომ პარლამენტი აღარ იქნება ორპარტიული, როგორც ახლანა. ვხედავ იმის ალბათობასაც, რომ პარლამენტში შევა, მინიმუმ, კიდევ ორი პოლიტიკური ძალა.



საქართველოს
საზოგადოებრივი
საინფორმაციო ცენტრი

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კონსტანტინე

მართი ლეჩის ისტორია

როგორ დაწერა ჯანსუღ ჩარკვიანმა „ირინოლა“

ამ ზაფხულს პოლონეთში ენათმეცნიერი, ქართველოლოგი, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი, „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ ენაზე მთარგმნელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, პოლონურ ენაზე ქართული გრამატიკის ავტორი, გელათისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრი იან ბრაუნი გარდაიცვალა. სწორედ მის სახელს უკავშირდება სახალხო პოეტის, ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსი „ირინოლა“, რომელიც ყველა ქართველმა იცის, რომელიც სიმღერად იქცა და რომლის ბოლო სტრიქონები – „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“ ქართული სუფრის სადღეგრძელოდაც კი იქცა.

„ქართული სიტყვა“ პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძისა და ჯანსუღ ჩარკვიანის მოგონებას გათავაზობთ.

ვინ იყო და რა აკავშირებდა იან ბრაუნს საქართველოსთან



ზურაბ ჭუმბურიძე: – 50-იან წლებში, თბილისის ახალგაზრდა პოლონელი, იან ბრაუნი ეწვია. იანი ნიჭიერი კაცი იყო, რომელსაც ენების შესწავლისკენ საოცარი მიდრეკილება ჰქონდა. იმ დროს კავკასიური ენების მიმართ დიდი ინტერესი არსებობდა და იან ბრაუნიც სწორედ ამ მიზნით გვევწვია – ბასკურ ენას უფლებობდა და მასთან კავშირში, კავკასიური ენებითაც იყო გატაცებული. მაშინ თბილისი კავკასიოლოგიის ცენტრი გახლდათ...

ის არავინ იცოდა, ამის მერე დაიწყეს კვლევა და აღმოაჩინეს, რომ კორნელი კეკელიძისა და სხვა ქართველი მეცნიერების მიერ ქართული ხელნაწერების შესასწავლად პოლონეთში წარგზავნილი გრიგოლ ფერაძე ფაშიშვილის წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა.

უნივერსიტეტის პრორექტორმა, სერგი ჟღენტმა გადამწყვიტა, რომ სტუმარი ვაკის სტუდენტობაში ჩემთან ერთად, ჩემს ოთახში მოეთავსებინათ. იანი აკაკი შანიძის მონაფე გახდა. ვინაიდან ქართული დიალექტი სალიტერატურო ენასთან ყველაზე ახლოსაა, აკაკი შანიძის რჩევით, იან ბრაუნი გორის რაიონის სოფელ ხიდისთავში, ერთ მჭედელთან დავაბინავე, სადაც მთელი თვე ცხოვრობდა და სალაპარაკო ენას უფლებობდა. იანი გაკვეთილებს არნოლდ ჩიქობავასგანაც იღებდა, მეც ვეზმარებოდი. ბეჯითი გახლდათ, სულით და გულით შეიყვარა საქართველო და ქართული ენა. ერთი წლის მერე, პოლონეთში დაბრუნდა, ქართულ ენას უკვე საკმაოდ კარგად ფლობდა, თუმცა აქცენტი ჰქონდა.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რითაც არქიმანდრიტის სახელი უკვდავია: გერმანელებმა შეიტყვეს, რომ საფრანგეთში ექვთიმე თაყაიშვილი ქართულ განმს ინახავდა და გრიგოლ ფერაძისგან ცდილობდნენ ინფორმაციის მოპოვებას, რომელიმე ფაშისტები დაარწმუნა, რომ განძი ღირებული მხოლოდ ქართველთათვის იყო... გრიგოლ ფერაძე ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში, ებრაელი მრავალშვილიანი კაცის მაგივრად, სასიკვდილო კამერაში შევიდა. პოლონურმა და ქართულმა ეკლესიებმა 42 წლის გრიგოლ ფერაძე წმინდანად შერაცხეს.

1954 წელს იანმა დისერტაცია დაიცვა, რამდენადაც მასსოვს, თემა ქართული ზმნის ფენომენს ეხებოდა. იმ დროს ადვილი არ იყო საბჭოთა კავშირში, მით უმეტეს, საქართველოში თუნდაც სამეცნიერო მივლინებით ჩამოსვლა, მაგრამ იან ბრაუნი ამას ახერხებდა. ჩვენც შევიყვარეთ, რადგან პოლონეთსა და ევროპაში ქართული კულტურის, ხელოვნების და ლიტერატურის პოპულარიზატორი გახდა. ეს დამოკიდებულება გაღრმავდა და იან ბრაუნმა საქართველოსთვის ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა. მხედველობაში მქვს „ვეფხისტყაოსნის“ პოლონურ ენაზე თარგმნა და ორი ინფორმაცია, რომელიც პოლონეთიდან ჩამოიტანა.

მეორე ამბავი, რითიც იან ბრაუნმა თავი დაგვამახსოვრა, ვარშავის პოვონზკის სამხედრო სასაფლაოზე დაკრძალული 16 წლის ქართველი გოგონას საფლავის აღმოჩენაა. ირინა სხირტლაძე კაცინის ტყეში დახვეწილი ყოფილი ქართველი იუნკრის, არკადი სხირტლაძისა და იანინა კიჩინსკა-სხირტლაძის ქალიშვილი გახლდათ. მართალია, ვალდებული არ იყო, მაგრამ ფაშიშვის წინააღმდეგ ვარშავის ცნობილ აჯანყებაში მინც ჩაება და პირველივე დღეებში „ირკას“ ფსევდონიმით, მოხალისეთა რიგებში გაწევრიანდა.

სწორედ იან ბრაუნს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ არქიმანდრიტის გრიგოლ ფერაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ დროულად გაიგო ქართულმა საზოგადოებამ. იან ბრაუნმა ვარშავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დაფაზე ფაშიშვის წინააღმდეგ მებრძოლ პროფესორ-მასწავლებელთა ფოტოებს შორის ქართველი გრიგოლ ფერაძის სახელი ამოიკითხა. მისი სახელი და ტრაგიკული ისტორია ამ დროისთვის

ნი პოეზია. იან ბრაუნი საქართველოდან წარგზავნილი ქართველების უცვლელი მასპინძელი იყო. მან გოგლა ლეონიძე თავის ნათესავებში მოათარა და პოეტმა იანის ნათესავ გოგონას შესანიშნავი ლექსიც უძღვნა. იან ბრაუნი ქართველი პოეტების ლექსების მთარგმნელიც გახლდათ, აქვეყნებდა სამეცნიერო სტატიებს, ეზმარებოდა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ყველა თემას, რაც ქართულ კულტურას, მეცნიერებას ეხებოდა, ქართველოლოგთა ყველა კონფერენციას დაუზარებლად ესწრებოდა, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ ქალაქში ტარდებოდა. იყო გელათისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრი, ივანე ჯავახიშვილის საპატიო მედიის მფლობელი, ქართული კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების დამფასებელი და პოპულარიზატორი. იან ბრაუნი 2015 წლის ივლისში, 90 წლის ასაკში გარდაიცვალა და თან საქართველოს დიდი სიყვარული წაიღო.

ის ასაკში გარდაიცვალა და თან საქართველოს დიდი სიყვარული წაიღო. **ჯანსუღ ჩარკვიანი:** – როცა გავიგე, რომ პოლონეთში ცხოვრობდა ქართველი გოგონა, რომელიც ფაშიშვის წინააღმდეგ იბრძოდა, ამან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მიმაჩნია, რომ ქართველი, სადაც უნდა იბრძოდეს, ყველგან საქართველოს იცავს. ირინა სხირტლაძე ქართველი იყო, პოლონეთში ცხოვრობდა და იქ თავის სამშობლოს იცავდა. თურმე, ასეთი პატარა გმირი გოგონა გყოლია და მისი არსებობა არც ვიცოდით. ისე შემეყვარა, ჩემს შვილიშვილს სახელი – ირინოლა დავარქვი. „ირინოლა“ სვანური სახელია, ირინეს მოფერებითი ფორმაა. პოლონელი ირინოლა არასოდეს მინახავს, მაგრამ მგონია, რომ ყველაზე ბეჯითი, ლამაზი და ყველაზე გმირი იყო. ბედნიერი ვარ, რომ ამ ბრწყინვალე გოგონას ლექსი მივუძღვენი. **მომზადდა ნათია გოგიტიძემ**

სტოკჰოლმი



ამის შესახებ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ქეთევან ციხელაშვილმა განაცხადა, რომელიც მათი აპარატის მიერ განეული საქმიანობის ანგარიშს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტსა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიას გააცნო.

გამოფიხის მიღება სოფლები ზამთარს გაზიფიცირებული შეხვდებიან

მისივე განმარტებით, მთავრობა აღნიშნულ სოფლებში მცხოვრებთა დახმარების ალტერნატიულ შესაძლებლობასაც განიხილავს იმ შემთხვევისთვის, თუ გაზიფიცირების სამუშაოების დასრულება ვერ მოესწრება. „წელს სახელმწიფოს დაგეგმილი აქვს, რომ დაასრულოს ყველა სოფლის გაზიფიცირება, მოსახლეობის სახლებში შეიყვანოს გაზი, რაც უპრეცედენტოა. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი შედეგია იქნება ოჯახებისთვის. რა თქმა უნდა, თუკი ეს სადმე ვერ მოესწრება, მთავრობა განიხილავს მოსახლეობის დახმარების ალტერნატიულ

შესაძლებლობასაც. ამ ეტაპზე 36 სოფელში დასრულებულია გაზიფიცირება. 16 სოფელში სამუშაოები სრულდება, 8 სოფელში კი ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა გეჭირდება, თუმცა გეგმაში არის, რომ ჩვენ ზამთარს გაზიფიცირებული სოფლებით უნდა შევხვდეთ“, – განაცხადა ციხელაშვილმა.

ტაივილიანი ფიქრი
როცა ამ ქვეყნიდან მიდის ადამიანი, რომელიც შენი სისხლით ნათესავი არაა, მაგრამ რომლის თვალწინაც გაიზარდე, ცხოვრების მთელი 20 წელი ერთ დიდ კინოკადრად იქცევა და...
ფიქრის მეტი აღარაფერი შეგიძლია...
იცი, რომ ცხოვრება გაგრძელდება, მაგრამ ისიც იცი, რომ მთელი ცხოვრება ამ ტკივილიან ფიქრს თავს ველარ დააღწევ და...
ისევ ფიქრობ, ფიქრობ, ფიქრობ...
ჩემი ლამროზი არ მომკვდარა...
ის გარდაიცვალა – უბრალოდ, შეცასწავია...
ვანო აპალიაშვილი

მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა, რომ არსებული მთავრობის პირობებში, გამყოფი ხაზების მიმდებარე სოფლების მცხოვრებლები ყოველწლიურად შემოს შესაძენად 200-ლარიან ვაუჩერს იღებდნენ.



გაზეთ „ქართული სიტყვის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ფოტოჟურნალისტ ზურა მეგრელიშვილს დედის, ლამარა დემურიშვილის გარდაცვალების გამო.

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავე, ქართულო სიტყვავე!“

კარნეგის ლეონიძე

სანიწორმაციო მხარდაჭერა

1) სამართლის მიმართულებით კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპია) სპეციალობაზე მესამე საფეხური (წინაპირობა: საბაზო განათლების (9 კლასი) ატესტატი), მეოთხე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მესამე საფეხურის დიპლომი), მეხუთე საფეხური (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

პროგრამის სანაბრკლივობა მისამე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სსსწავლო და სანარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური 1200 ლარი.

პროგრამის სანაბრკლივობა მეოთხე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სსსწავლო და სანარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური 1500 ლარი.

პროგრამის სანაბრკლივობა მესამე საფეხურზე – 60 კრედიტი (ორი სემესტრი), სსსწავლო და სანარმოო პრაქტიკებით;

სწავლის საფასური 1500 ლარი.

კურსდამთავრებულს ენიჭება კრიმინალისტიკის შესაბამისად მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

2) მცირე ბიზნესის მწარმოებლის სპეციალობის მეოთხე (წინაპირობა: საშუალო განათლების დამატურებელი ატესტატი) და მეხუთე საფეხურზე (წინაპირობა: აღნიშნული პროგრამის მეოთხე საფეხურის დიპლომი ან დიპლომის არქონის შემთხვევაში სტუდენტის პირადი ბარათი).

პროგრამის სანაბრკლივობა მეოთხე საფეხურზე 60 კრედიტი (ორი სემესტრი);

სწავლის საფასური 1500 ლარი.

პროგრამის სანაბრკლივობა მესამე საფეხურზე – 120 კრედიტი (ოთხი სემესტრი);

სწავლის საფასური 1500 ლარი (წლიური).

კურსდამთავრებულს ენიჭება მცირე ბიზნესის მწარმოებლის შესაბამისად მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

საბუთები მიიღება 1 აპრისტოდან 25 სექტემბრამდე.
სწავლა დაიწყება 28 სექტემბერს.

საბუთების ნუსხა: სკოლის ატესტატი, ვაჭებისათვის სამხედრო აღრიცხვის ბარათი,


2 ფოტო სურათი (3X4), დაბადების მოწმობა, განცხადება.

სურვილის შემთხვევაში გადახდის გრაფიკი შედგება ინდივიდუალურად სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

მისამართი: თბილისი, ნინოშვილის ქ. 55

ტელ.: 2960104

tbuniver.edu@gmail.com



„თბილისის
სასწავლო
უნივერსიტეტი“
აცხადებს
სტუდენტთა
მიღებას
პროფესიული
პროგრამების
ფაკულტეტზე:



საქართველოს კომუნისტური პარტია

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვავე“

კულტურა

თამარ მეფეზე გადაღებულ პირველ ფილმს კინოთეატრებში არ აჩვენებენ

ახალგაზრდა რეჟისორმა, ლევან ლომაშვილმა თამარ მეფეზე პირველი ფილმი გადაიღო. ფილმ „თამარის“ გადაღება, რომელშიც მთავარ როლს მსახიობი ანა მატუაშვილი ასრულებს, 2 წელი მიმდინარეობდა. ლევან ლომაშვილი გვამცხვს, რომ მისი თვალით დანახული თამარი სკოლებში დამხმარე სახელმძღვანელოდ შეიტანოს... მაინც, როგორია რეჟისორის თვალით დანახული თამარ მეფე, რომლის მიმართაც ქართველებს განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს, რა საიდუმლოს ახდის ფარდას მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი და რას გავიგებთ თამარზე ისეთს, რაც ჯერ არ გვსმენია? მოკლედ, „ქართული სიტყვა“ ისტორიაში პირველად „გაცოცხლებული“ თამარის რეჟისორს, ლევან ლომაშვილს ესაუბრა...

ვინ ასრულებს თამარ როლს და როგორია ახალგაზრდა რეჟისორის თვალით დანახული თამარი

ფლავი ნაკლებად მნიშვნელოვანი და დასაცავი იყო?
— მაშინ, ეს ლევანდა მაინც და მაინც თამარზე რატომ შეიქმნა?
— ჰოდა, საინტერესოც ესაა... ის პირველი ქალი მონარქი იყო.
— ფილმის ქრონომეტრაჟი რამხელაა? გადაღებები დასრულდა?
— დიხს დასრულდა. ფილმი 1-საათიანია.
— ლევან, ფილმის მიზანი რა არის?
— უპირველესად, გვინდა, ფილმი სკოლის მოსწავლეებისთვის დამხმარე სახელმძღვანელო იყოს. ყოველთვის საინტერესოა იმის ეკრანზე ხილვა, რასაც სწავლობ და ვფიქრ-

ავტრულ ნაწილშია, შეიძლება, მოხდარიყო.
რაც შეეხება დოკუმენტურ ნაწილს, აქ ვერაფერს გამოვიგონებდით და ყველაფერი არსებული ისტორიული მასალების მიხედვით შევქმენით.
თამარის გარდაცვალების 3 სავარაუდო თარიღიდან ფილმში გადაჭრით ვთქვით, რომ 1213 წელს გარდაიცვალა.
— რატომ გადაჭრით?
— კარგად შევისწავლეთ ისტორია, რომელიც ამ თარიღის დასახელების გაცხადებით მეტ საშუალებას გვაძლევს.
— ფილმში ბრძოლის სცენებიცაა?
— არა, ეს რამდენიმე მილიონთან იქნებ-

— ლევან, თამარ მეფეზე ფილმის გადაღების სურვილი როდის და რატომ გაგიჩნდათ?
— იდეა მე და სცენარისტ ნინო სადღობელაშვილს დიდი ხანი გვქონდა. მუშაობა კი, 2 წლის წინ დავიწყეთ. ბუნებრივია, რთული იყო, რადგან თამარის ეპოქა ძალიან საინტერესოა და თავად თამარიც მნიშვნელოვანი ფიგურაა, მაგრამ ჩვენს თავში მოვინახეთ ძალები და გადავწყვიტეთ, გადაგვეღო. თამარის შესახებ, თითქოს ყველამ ყველაფერი იცის და მასზე ბევრი რამაა შემონახული, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ბევრი რამ, ბევრი ლეგენდა ბურუსითაა მოცული. თამარზე აქამდე ფილმი არ გადაღებულა და გადავწყვიტეთ, ჩვენ გადაგვეღო — რატომაც არა?!



— ფილმში ლეგენდებია ასახული?
— დიხს, ოღონდ ისიც ჩანს, რომ ლევანდა აა. ადამიანებს უჭირდათ წარმოდგინათ, თუ როგორ შეიძლება, რომ მეფე ყოფილიყო ჩვეულებრივი ადამიანი, მომკვდარიყო ჩვეულებრივად და ა.შ. ამიტომ შექმნეს ლეგენდები.
ვახტანგ გორგასალზე არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვითაც, ის ილიაში ნასროლი ისრით დაიღუპა — თითქოს უღალატეს, „ჩაუშვეს“, რომ აბჯარი ილიაში გახეული ჰქონდა და ვიღაც მისივე ელოდებოდა, როდის აწევდა ხელს, რათა ესროლა... სინამდვილეში, ჩვეულებრივად, ბრძოლის დროს გარდაიცვალა. თანაც, იმას, რასაც მაშინ ბრძოლაში იცმევდნენ, საილიე საერთოდ არ ჰქონდა და ეგ ადგილი ისედაც შიშველი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელსაც ვერ აწევდი და ხმაღს ვერ მოიქნევდი.

ფენს და თამარის მიმართ სიყვარულს უფრო მეტად გაგვიღრმავებს.

— ნათელს თამარის საფლავის საკითხსაც მოზღვანს?
— თუნდაც, საფლავის საკითხს...
— არ თქვათ, რომ იცით, სადაა თამარის საფლავი...
— რა თქმა უნდა... მგონი, აღარავისთვისაა დაფარული, რომ მისი საფლავი გელათშია. ამას ისტორიკოსებიც ადასტურებენ.
— ზუსტი ადგილი იცით?
— კი, უფრო სწორად, ვარაუდი. ჯერ გათხრები უნდა ჩაატარონ, რომ ერთხელ და სამუდამოდ დადგინდეს. ისტორიკოსებს საკმარისი საბუთი აქვთ, რომ მისცენ კვალი არქეოლოგებს, თუ სად ეძებონ. რამდენჯერმე იყო მცდელობა, ჯერ კიდევ ექვთიმე თაყაიშვილს სურდა, მაგრამ ვერ მოხერხდა... თუკი დავით აღმაშენებელი, რომელიც არანაკლები სიდიდისა და მნიშვნელობის მეფეა, გელათშია დაკრძალული და მცხეთის შემდეგ, გელათში დაკრძალვის ტრადიცია არსებობდა, რატომ არ შეიძლება, თამარის საფლავიც იქ იყოს?! რა, დავითის სა-

ობთ, ამით ბავშვებს თამარის ეპოქის გაცნობას უფრო გაუადვილებთ და მოვანდომებთ. საქართველოში ასეთ ფილმებს, როგორც წესი, დიდი რეიტინგი არ აქვთ და კინოთეატრებში გაშვებას არც ვაპირებთ. ვაპირებთ, ეს ციკლი, რომელშიც 13 მეფის ეპოქა უნდა შევიდეს და რომელშიც პირველი თამარი იყო, გაგრძელდეს. მალე, ფილმთან ერთად, ამ პროექტის პრეზენტაციაც შედგება.

— დანარჩენი 12 ფილმი რომელ მეფეებზე იქნება?
— თუნდაც, დემეტრე II-ის, დავით აღმაშენებლის, ერეკლე II-ის, სოლომონ I-ისა და სოლომონ II-ის ეპოქაც ძალიან საინტერესოა.
— „თამარი“ მხოლოდ ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით გადაიღეთ თუ ადგილი გარკვეულ იმპროვიზაციასაც აქვს?
— სამწუხაროდ, მწირი მასალა გვაქვს, ამიტომ გამოგონება გვიჭირს, მაგრამ მხატვრული ნაწილი ჩვენი გამოგონებაა. ეს ისტორია საფუძვლიანად შევისწავლეთ და ვთვლით, რომ ყველაფერი, რაც ფილმის მს-

ოდა დაკავშირებული. სამწუხაროდ, საქართველოში იმის ფუფუნება არაა, რომ გადაღებისთვის თუნდაც 30-40 ცხენი იშოვო.

— „თამარზე“ რამდენი ადამიანი მუშაობდა?
— 30-მდე.

— თამარის როლს ანა მატუაშვილი ასრულებს, რომელმაც ჩემი დანახული თამარი ზუსტად განასახიერა.

— თუ თქვენი დანახული და ანა მატუაშვილის განსახიერებელი თამარი მაყურებლის წარმოსახვას ძალიან აცდა...?
— საქართველოში თამარის კულტურა და ასე არც ერთი მეფე არ უყვართ. შესაბამისად, ყველას თავისი წარმოსახვის თამარი ჰყავს და რაც გინდა, ზუსტად გაკეთდეს, ვიღაცის წარმოსახვისგან განსხვავებული მაინც იქნება. მე ჩემი თამარი მყავს და მას ასე ვხედავ.

— ეს გასაგებია, მაგრამ ეს ფილმი სკოლებში, ბავშვებს უნდა აჩვენონ და მათ გონებაში თამარი ზუსტად ისეთი დარჩება, როგორსაც თქვენ მიაწვდით...
— კინო სუბიექტური ხელოვნებაა. გინდა თუ არა, როცა შენი წარმოდგენით უნდა გააკეთო, მაინც წარჩობა ჩასმული. როცა დათა თუთაშხიას იხსენებ, რომელიც კაცმა არ იცის, სინამდვილეში როგორი იყო, თვალწინ ოთარ მელვინიუშუცესი გიდგას, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება, დათა ისეთი საერთოდ არ ყოფილიყო. ჩვენ თამარი დოკუმენტური მასალებით შევქმენით, ყველა პარამეტრი გავითვალისწინეთ და მაქსიმალურად მივუახლოვეთ რეალობას.

რაც შეეხება ფიზიკურობას, ნამდვილად არავინ იცის, როგორი იყო, რადგან მისი 5 ფრესკიდან ერთმანეთს ერთიც არ ჰყავს. რეჟისორს აქვს უფლება, შექმნას თავისი ვერსიის მიხედვით და აქ მთავარი ისაა, რამდენად დაგაჯერებს მსახიობი, რომ თავადაა ის, ვისაც განასახიერებს. ისე, ეს ფილმი გიორგი და ზურა ობოლაძეების ძალიან მაღალი ხარისხის საოპერატორო ნამუშევარია.


— თამარზე ძალიან ცნობილი ლეგენდა მახსენდება: ბასიანის ბრძოლის წინ, მეომრებს ფეხშიშველი მიაცილებდა, მერე, დიდხანს განმარტოვდა და ლოცულობდა...
— დიხს, ეს ფილმშიცაა...
— ფილმი ვინ დააფინანსა?
— ფილმს კონკრეტული სპონსორი არ ჰყავს და თანხა, ძირითადად, ჩვენი ძალებითაა მოპოვებული.

— მთელ ფილმს თქვენი ჯიბიდან ხომ ვერ დააფინანსებდით...
— მთელი ფილმი არა, მაგრამ ყველაფერი, პრინციპში, ჩვენი ძალებით შევქმელით. მიუხედავად იმისა, რომ ფილმის უფარი მხატვრულ-დოკუმენტურია, სცენების გათამაშება საკმაოდ ძვირი დაჯდა. ბიუჯეტის დასახელებისგან თავს შევიკავებ... თანხების მოზიარება ეტაპობრივად ხდებოდა და როცა თანხა გვქონდა, გადავებაც მაშინ გრძელდებოდა. ზუსტი ბუღალტერია ჯერ არ გვაქვს, მაგრამ გამოვიკვლევთ, თუ რამდენი დაგვიჯდა.

— გადაღებები სად მიმდინარეობდა?
— დოკუმენტური ნაწილი იმ ადგილებში გადავიღეთ, რომლებთანაც თამარს კავშირი ჰქონდა, ამიტომ მთელი საქართველო მოვიარეთ. მხატვრულ ნაწილში კი, ლოკაციების პრობლემა გვქონდა, რადგან დღესდღეობით, თამარისდროინდელი თითქმის აღარაფერია შემორჩენილი. ერთი სცენა სოფელ ვაშლოვანში გადავიღეთ, ასევე, — მცხეთასა და სამხატვრო აკადემიაში.

— ეს თქვენი პირველი ფილმია?
— ასე რომ ვთქვათ, მასშტაბური, დიხს, პირველია.

— ფილმი რას მოგცემს?
— ბურუსით მოცულ ამბებს ნათელს მოპ-



„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დადგება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვაც“

კარგე ლეონი



საქართველო
საქართველო
საქართველო

გზა მარჯვენა

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ №30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39)

ისა ამინი

ორი ადამი

მესამე სართულიდან ქოთნის ყვავილები წვიმა წამოვიდა, თავის ქოთნიდან. ვიღაც უმოწყალოდ ისვრის. ძალაუნებურად კაცი გაიფიქრებ, ეს მე მიძღვნიან ყვავილებს უნიკალური წარწერის მოფიქრებისთვისო. მწარედ მოვტყუვდი. მეზობელ ასაკოვან კაცს სიძე ბატონი ეწვია სტუმრად. სიმამრი გაუმასპინძლდა. ჩიტის რქე არ მოაკლო. ყვავილების გადმოყრა სიძისგან, სამადლობელი შესტია. რა იცი, რა ხდება. პირველი ქოთანი მიწაზე ჯერ კარგად არ იყო თავის ყვავილებიდან განრთხმული, სახლში ვდურთე თავი. არ თქვან, სეირს უყურებს, ჩვენი ვოდევლით ერთობა. თავისი სკეტრით გაერთოსო. ქოთან ყვავილების წვიმა სამსართულიანმა გინებამ დააგვირგვინა. სიძე ბატონმა კიბე ჩაირბინა. დედაც შემოვიდა ეზოში. ვერ მიხვდა, რა მოხდა. კარზე მიკრული შედეგრი წაიკითხა, მიშველეთ, ხალხო, შვილი გამიგიჟდაო. შინ შემოვიდა თუ არა, ხმის ამოღება არ ვაცალე, სხაპასხუპით, ელვა დეპეშასავით მოვუყვი, რაც მოხდა. შავი დღე დამაყენა. ვინ გეკითხება, რატომ ჩამოხსენი. სურათი რატომ გაატანე. ამხელა ბიჭი ხარ, უქნარა და უმაქნისი, ვერაფერში გამოგიყენებ ადამიანი. ტრავი სულ დაჯე-დაჯეს გეუბნებთო. ამის მეტს არაფერს აკეთებთ, თქვენგან ხერი არაფერი. რისი იმედი უნდა მქონდეს, როცა მოვკვდები, ნაგავსაყრელზე გადამაგდებთ, მიწას არ მაღირსებთ. რისთვის შემოგწირეთ ჩემი ყმანვილ-ქალობა. სოფელში უნდა დამეტოვებინეთ, გეზილათ ტალახი. დურაქო ჩემო თავო, ათასი მთხონელი მყავდა, გათხოვილიყავი. რისთვის, ვის სწირავ თავს, ვინ დაგიფასებს. ყველას ფეხებზე ჰკიდებხარ. მართალი უთქვამს ბრძენს, ჯერ თავო და თავოვო...

გაუტია დედაჩემმა. აღარ დაადგა სამუელი მის გაჩუმებას. გული მომივიდა, ავფორიექდი, მიწა, პასუხი გაცეცე; მიწა, ვუთხრა, რომ ნაგავსაყრელზე არ მოვისვრი. გათხოვილიყავი, ვინ უშლიდა ხელს და, საერთოდაც, მოვძუძე, ქუჩაში გავეშვი. თანატოლებში გავვრდი, ხასიათზე მოვედი. აქ არავის გამოაქვს საკუთარი გასაჭირი სამხეოზე. ჯერ სიცოცხლის წყურვილი არ გაგვწვლებია. ცხვირი არ წაგვიტენია. როგორი გაჭირვება უნდა შემოგვხვდეს, ნურავინ შეგვაცვლევიანებს აზრს. წინ სინათლეა. მომავალი პირდიმილიანი, ხელგაშლილი გველოდება კეთილი სურვილებით, კაკლის მურაბითა და თაფლაკვერებით. აბა, ყველამ ერთად თქვით: ხა, ხა, ხა. მაშ, მტყუნანსო?!

შეინდდა. ისეთი საღამოა, წყნარი, საამო. ქუჩის ლამპიონები აანთეს. ტროტუარზე, მაღალი ხეების ტოტებში გაიბნა ღამის განათების შუქი. თავი ზღაპრულ სამყაროში გეგონება. მეზობლები სამსახურებიდან ბრუნდებიან. თითქმის ყველა სახლის ფანჯარა ღიაა, საიდანაც დანა-ჩანგლის წარსული ისმის, ჯამ-ჭურჭლის ჩხარუნის. ცხვირში გიღიტინებს შემწვარ-მოხრაკულის სურნელი. სუნით გამოიცნობ, რომელ ოჯახში რა მზადდება: ქათამს ხარშავენ, კარტოფილს წვავენ, კატლეტს აშიშხინებენ, ძხვს გვერდები ებრანებენ... სავსეა სამზადისია, არნახული პატარა ქეიფი. მუცლის ამოყორვის დროა. ღამეულ აჩრდილებში, ალაგ-ალაგ, ღამურები დაქრან — მთელი დღის ნამძინარევი ჩია-ლუას დაერივნენ.

ჩვენი ჯოგიდან ზოგს დაუძახეს. დედიკოს ბიჭებისნაირნი თავისი ნებით წავიდნენ. მოქუჩისებრო ელემენტები ქუჩას არ ღალატობენ, არც სახლში მიდიან, სახლიდანაც არ იკლავენ თავს მათ დასაძახებლად. მეც მათ შორის ვდგავარ, მაგრამ არ ვიცი, რომელ კასტას მივაკუთვნო ჩემი თავი. უფრო ვენახის კაცი ვარ იმიტომ, რომ იქ მიწა ახლა, პაპას ქოხში. დარჩენილ ცხოვრებას იქ, ვენახში გავატარებდი, ისეთ ხასიათზე ვარ ამჟამად. თქვენ ეს არ გეხებათ, არც გენადლებათ. მშვიდად მიირთმევთ ვახშამს. კბილების გახეხვა არ დაგავინყდეთ ოღონდაც — კარის უფრთხილი. ამიტომ ვდგავარ ქუჩაში, ჩემს ტოლებში. არ ისმის გამკინავი ყვირილი. არავინ გვიხმობს სახლში. რეზომ შემოიტანა წინადადება:

ტუალეტის ძალადგე დანერილი დღიური



— ცოტა ღვინო მაქვს, დავლითო... დიდხანს არ გვიყოყმანია, წაყვევით. განა, რის დამლევი ვართ, ღვინის სუნი დავგვათრობს. ჩავედით რეზოს სარდაფში. სულ ექვსნი ვართ. ერთმანეთს გადავხედეთ. თავი ხელში შემოვიკარნი, დავიმბლენით.

სახლში შევედი. დედა მეზობლებშია გასული. ყველის ნაჭერი ავიღე. დავბრუნე რეზოს სარდაფში. ნახევარ საათში შევგრავდი. ყველამ რაღაც-რაღაცები შევამატეთ სუფრას. სახე მჭმუნვარე, მძიმე ცხოვრება გადატანილი დიდი კაცების დარად, მივუსხედით მაგიდას, უფრო მართებული იქნება, დიდ ტაბურეტს. დალევა დავიწყეთ. ერთი ჭიქა ბოლომდე არ დაგვიღვია, გუნებაზე მოვედით. თანამეინახებმა სიგარეტები დააძვრეს, ამერიკულები — „მალბეორო“, „ვინსტონი“. კბილებშია მოქცეულ ღერებს დიდკაცურად გადაუკიდეს ცეცხლი, წარბი შეიკრეს, ნაფაზი დაარტყეს, გამონაბოლქეს თითქოს დარდი ამოაყოლეს. მე არ ვენევი. შემოთავაზებზე, მომენია, ცივი უარს ვტყვი. თამაზმა მრავალმნიშვნელოვნად შემაქო:

— კარგია, ძმაო, მონევაში არაფერია სახეირო, ნეტავ, გადამაგდებინაო. თითოს სამ-სამი ჭიქა გამოგვივიდა. სასმელი გავკითხვდა. რეზომ „მანტიროკა“ აიღო: — აბა, ვინ გამომყვება? გავყვი. ეზოდან ქუჩაში გავედი. შუალამეა. ძუძულები ჩაყვევით ქუჩას, ბოლომდე. კუთხის სამსართულიანი სახლის სადარბაზოში შემეხვიეთ, სარდაფში ჩამავალ კიბე

გვარიგებდნენ. რას გაიგებ. ხმის გამცემი არ ჩანს. ცოტათი გვამშვიდებს უფროსები-სგან მოსმენილი სადღეგრძელო-ნათქვამები. ზემოდან გვიყურებენ და გვლოცავენ მიცვალებულები. მაგათი ნათქვამის სისწორეში გვიჭირს ეჭვის შეტანა. მერე ვნახოთ. ახლა კი, რეზოს სარდაფის კედლებში, მე კარგი, ვთქვათ, მუდო ვარ. ერთი ამათ შეხედეთ. მთელი უბანი, მთელი სკოლა რიდი და მოკრძალებით, ზოგი შიშით რომ უყურებს ამ ბიჭებს. ეს ბიჭებიც, მოავტორიტეტო ელემენტები, უბნის ინსპექტორის ენაზე, სიგარეტის მწველები, ადრეული ასაკიდან, ტირიან. მეც ხომ შორს მეჭირა თავი. პირველად ვერიდებოდასავით. შეხედე მათ სველ თვალებს და მივხვდი, რა ხულიგნები, რის ამკლებები. ესენი მიდღემში კაცს არ მოკლავენ. გლახაკსა და ქვრივს არ გაამწარებენ. არა, მდიდარსაც არ წაართმევენ. მანკიერი საზოგადოებრივი აზრი იმორჩილებს, საყვლოზე ჯაჭვგამობმულ ადამიანებს...

დილით ისევ სკოლა. ნაქეფარზე მთლად ვერ მოგართვეს. ეგრე სადაა მოწყობილი, ძმაო, ცხოვრება. მაინც შეისხავ ცივ წყალს სახეზე. ჯაჯღან-ჯაჯღანით გაუდგები გზას, ცოდნის ტაძრისკენ. შენც არ დაგხვდეს ისკანდერის მასნი არისტოტელე, საარაკო უცნობ ღმერთზე საუბრებით. არც შენ იკლავ თავს, მოიპოვო მსოფლიოზე ბატონობა. აბა, რაში გარგია?! მოსაწყენია და უსარგებლო ეგ მანუფაქტურა. კიდევ კარგი, ბუფეტი გვივარგა. მასწავლებლებსაც არა უშავს, ტვინს არ გვიბურღავენ, ნერა-კითხვა ვიცი, თქვენ ნუ მომიკვდებით. აბა, ქვიდან წვენი გამონურვას, ლომის ხახიდან ფულის გამოღებას, რკინისაგან ოქროს გამოღებას ვინ გასწავლის? მასეთი რანგის მასნები სკოლებში არ ასწავლიან. მეტი საქმე არ აქვთ, ჩვენი თანა გაუთლებლებზე უქმად დახარჯონ დრო.

ვინაიდან მთელი ღამე ვიყავი დატვირთული საერო საქმეებით, ცოტა ძილიც დამაკლდა. „იშტაზე“ ვერა ვარ. ისტორიის მასწავლებლებს, ენა ენაქება. შეეცადა ჩემს აყოლიებას, მაგრამ ვერ მოგართვი. დღეს არ გამოვა საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობებზე კამათი, იმპერიალისტურ-კოლონიალური ქვეყნების კრიტიკა, მათი ქარ-ცეცხლში გამოტარება. ვითომ კვირაა, დავისვენოთ. იქნებ, ისინიც გადაილანენ ჩვენს ქედზე დადგმული, ჩაგვრის უღელის გადაძვივდნენ. ბოლო-ბოლო, რომ გადავიგდოთ ეს უღელი, უღელის და ბორკილის გარეშე როგორ ვიცხოვრებთ. დეპრესიაში ჩავევარდებით. შეიძლება თავს რამე ფარცავი მოვანოთ.

არ დაგიბალავთ, არ რა მაქვს თქვენგან დასამალი: დროის მეტი ნაწილი შესვენებაზე, ბუფეტში გავატარე. გაკვეთილებზე ბოლო მერხზე ვიჯექი. თავს ჩვენი ეროვნულ-ხალხური საქმიანობით ვირთობდი, ჭეიში ბუზებს ვითვლიდი და გულით მიწოდება, ობობას ჩავარდნოდნენ ხახაში, მაგრამ ყველას არა. მაგათ შორისაც იქნებთან პატრიოსანი ბუზები, რომლებიც ადამიანებს არ ანუხებენ, სახლებში არ უვარდებიან, თავიანთ გულის ჭიას ახარებენ. გადასახადებსაც პატრიოსანად იხდიან. იყვენ, იფრინონ, გაიხარონ ცხოვრებით. მე კი, ჯერ ვერ გავიხარე. იტყვი, ასაკის ბრალიაო. რა შუაშია წლოვანება?.. ეგეც, ვინ იცის.

ზარმა დაინკრიალა. გაკვეთილები დამთავრდა. ზარს, ალბათ, უხარია წკრიალი. მაგრამ მაგას ვინ ეკითხება, დარაჯის და განრიგის მოწა. თავის ნებაზე ვინ ანკრიალებს. თუკი გაუგრძელდება წკრიალი, შეაკეთებენ. ესე იგი, დასკვნა: ზარსაც უღელი ადევს. მისი მოვალეობაა წკრიალი და არა — იავნანას სიმღერა. აი, ასეთი ფილოსოფიური აზრებით თავგამოტყენილმა დავტოვე სკოლა.

ნეტავ, ფეხი მომტეხოდა და შინ არ მივსულიყავი. ვევედი თუ არა, ვერ მოვასწარი თავის დაკმაყოფილება, თვალის გაძლიერება სიკეთით — ის, რომ დედა სახლშია. ფეხდაფეხ მომყვნი იქედნეს ნაშიერები. მანქანების მთელი ესკორტი მოგრიალდა. მილიციიდან არიან. შემოვიდნენ, უცერემონიოდ დაიწყეს



„შენ — უკვდავების ჩამონადენი, მშვენიერება ხომ შენით ითქვა; დიდება შენდა, ჩემო ნათელი — ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა!“

კონსტანტინე

ქართული
საქართველო. ქართული

გზა ქაობისაკენ

მე-15 გვირგვინი

ეს ოთახების გადაქოთება.
 — „პიზდეც“! — გავიფიქრე.
 დედა უმწეოდა დგას. მე უარეს დღეში ვარ — ფრთხილმოდებული წეროსავით ვდგავარ. ენა ჩამივარდა, სურვილიც არ მაქვს, სიტყვა დავძრა, ან რას ვიტყვი. ფეხქვეშ გამიგდებენ, ლავაშივით გამაბრტყელებენ. ცემის არც მეშინია. დანა რომ დამარტყათ, წვეთი სისხლი არ წამოვა. გაჩენის დღეს ვინყველი. უმწეოდ ვიყურები. საშველი არაა არც ზეციდან, არც — მიწიდან. ჩაისვეს დედა მანქანაში, წავიდნენ.
 უღონო, არაქათგამოცლილი იატაკზე დავეცი. ჩანთისთვის ხელი არ გამიშვია. სიმწრით ისე ვარ ჩაფრენილი, ხელს თუ მომაჭრით, თქვენი იყოს, ჰალაღ, თავის წიგნებიანად. ვაგდევარ გახევებული, გაფითრებული, მინასთან გასწორებული. ფუნის ჭია ჩემზე ბედნიერია. თავზარი დამეცა, თითქოს დედამინა გაჩერდა, ცა ჩამოიშხო, თითქოს მიცვალებული ასვენია ოთახში. მარტო მე ვარ ჭირისუფალი. არ ჩანან მოსამძიმრები. რა ვქნა, რა წყალში გადავვარდე? ვის შევჩვიო, ჩარღვ დიკენსიც მკვდარია. ვის გადავუშალო ჩემი გულის ტკივილი. ვინ მომიხმენს? ვინ გამამხნეებს, ვინ გამიკეთებს გულს? ისევ ჩემი „აი, დარდი“ თუ მიშველის, ეგეც გარეგნულად. სულსა და გულს რა „აი, დარდი“ უნამლებს. მაშინ რკინის კაცი უნდა იყო, რკინის ნერვებით. შუბლის ძარღვიც განწყვეტილი უნდა გქონდეს.

როდის-როდის მოვსულიერდი. თითქოს პირი მოვიბრუნე ამქვეყნიასკენ. შუა დღეა. კიდევ არა უშავს. მეზობლები სამსახურებში არიან. არადა, რა გაუძლებს მაგათ ვიშვიშს. სამძიმარი აქ უადგილოა, ვერაფერს უშველის. ერთი ეს მოვიფიქრე: გარეთ გავიდი. ქუჩაში ბავშვები თამაშობენ. კუთხეში ლოთები, ტაიმ-აუტის შემდეგ. დაღევას აგრძელებენ. ზოგნი დუქნებში მიდიან, ზოგნი უკან ბრუნდებიან. თურმე, მომეჩვენა — მე რომ მეგონა, დედამინა არ გაჩერებულა. მზე ღრუბლებს არ ამოფარებია. გარეგინა პაპას ჩიბუხი არ გაუნელებია. სხვისი ჭირი, ლობეს ჩხირი.

გადავწყვიტე, გავყვი ამ ორლობეს. მივიდე გველებს უბეში, დედა ნამეტანი არ დაგესლონ. იქნებ, რამე გამოვიდეს — მეც ჩამსვან, დედასთან ერთად მივინა „ვებხო“ საკნის კედლები. ჩემი ბრაღია, რაც შეგეგმობთ. ოჯახს ვერ მოვუარე. საკუთარი თავს ვადანაშაულებ. სამყარო რომ შექმნა და ვინც შექმნა, ეგეც ჩემი დანაშაულია. კანის ცოდვაც ჩემს კისერზეა. იოსები ჩემი ჩაგონებით გაყიდეს ძმებმა მექარავენებზე. ნოსე კიდობნის დანვა მიწოდდა, წვიმამ შემიშალა ხელი. ქრისტე მე გავყვიდე ოცდაათ ვერცხლად, ჯვარზე მე გავკარი. სკოლის კედელზე ჩამოკიდებულ ლენინის მოტელეპილ თავსაც მე მივხატე თმის კულულები, მის ქოსა სახეს — უღვაშები. ამ ცოდვებს დაუმატეთ სახლის სარდაფიდან წამოღებული ათი ბოთლი ღვინო. ამ ღამით, რაცკი მსოფლიოში დანაშაული მოხდა, ჩემი ჩადენილია. ყველაფერს ვაღიარებ, ოღონდაც დედასთან შემიშვან.

მილიციის დასანჯავ შენობამდე ოთხი გაჩერება თავჩაქინდრულმა, მონანიების, გულახდილობის, საკუთარი სიბრწავესა და უმწეობის განცდით გავიარე. კართან გავჩერდი. ვერ გადავინწყვეტია, საიდან, ვისგან დავიწყო. ბედნიერ ვარსკვლავზე არიან დაბადებულნი ეგენიც და მეც, თორემ ახლა რომ ავტომობილი მქონდა, სუყველას მივანვინდი, მოვცელავდი სიმინდის ფუჭიჩვიით. რისი იარაღი — ჯიბეში ჟანგიანი ჯაყვა არ მდებია.

დიდი ყოყმანის შემდეგ, შიგნით, კორიდორში შევედი, სუსტი ელექტრონის შუქით განათებულ კორიდორში. შიშის, გაიძევრობის, ფულის სუნი დგას. ლამის გული ამერიდა. შედიან და გამოდიან ჩინიანები და უჩინოები. ასაკოვანი, ბიძა კაცი შემოვიდა, კიბეს აუყვა ხელში სიგარეტით. მთელი სხეული უკანკალებს, გაფითრებულია. უმწეოდ აცეცებს თვალს. თავისი ფეხით მიდის ხაფანგში. სამოქალაქო ტანსაცმლიანები, ყველანი მოღუშული სახეებით, მიდი-მოდიან. ფორმიანებს ფერ-ხორცზე ეტყობათ, ცხორებებს არ უჩივიან. აუ, შენი. რა დედამ დამწყველა. ჩემს ბედს რა ვუთხარი. მთელი



ქვეყნის ავლა-დიდება რომ მოგეცათ, აქ რა შემომიყვანდა.

კედელზე ჩამოკიდებული, რკინის ფელიქსის ქვეშ ვდგავარ. პორტრეტი დამყურებს:

— გაები, ჩიტო, მახეში?
 — გაები, ძია ფელიქს, თან როგორ. ერთი, შენც მითხარი, მანდ, ჯოჯოხეთში კიი სანახავი იქნები. ალბათ, კუპრის ქვაბში იხარები. შენს გარშემო, ალბათ, დავლურს უვლიან ეშმაკები. ცეცხლს შემის ნაჭრებს ნაჩქარევად ამატებენ და ხითხითებენ ინტერნაციონალურად. მაგ ცეცხლის ალმური ისეთი მცხუნვარეა, აქ მეც მწვავს.
 ვილაც მხარზე შემეხო, რკინის ფელიქსთან, მამაშვილური საუბარი ჩამამწარა. ჩვენი უბნის ინსპექტორი ამეტუზა, „კუკუარაჩა“. ეს კაცი ნათელი ნერტილივითაა უბანში. მაგის დაჭერილი კაცი არ უნახავთ. ლაპარაკი, ხმის ამოღება არ მაქვს. ვერც ვერაფერს ვეტყვი. ამის არც ხალისი მაქვს, არც ღონე გამაჩნია. ჩემს დამშვიდებას ცდილობს:
 — ვიცი, რაც მოხდა. დედას არ განახებენ. ისე კი, იცოდე, მაგრადა დგას, არ ტყდებ. თავის თავზე აილო ყველაფერი. სახლ-მმართველობასთან იყო გარიგებული. ისინი იღებდნენ ფულს. იქ ვილაც ჩინოვნიკმა საქმეს ვერ გაართვა თავი. ეს ჩანერები და ბინის შესყიდვების ამბავი გასკდა. ბევრს არ მისცემენ. აბა, შენ იცი, როგორ მოიქცევი. სულში არ დაეცე. ხალხი ჭრელია. რაც უნდა ილაპარაკონ, ყურადღებას ნუ მიაცეცე. ნადი, სახლში დაბრუნდი. აქ ვერაფერს გახდები. კარგად ვხვდები, შენს გულში რაც ტრიალებს. ნადი, გაცეცადე აქაურობას. ჭირსაც ნაუღია და დამწვარი მანახა ეს ადგილიო...
 გაკვირვებისგან ღამის თვალები გადმოვსვივად. ეს რას ამბობს. ჩემს გულში ზის? დაინვას აქაურობა გეენას ცეცხლში. ისე მივინა ვინმეს ნუგეში, თავზე ხელი გადამისვას, დამიყვავოს. ღამის ინსპექტორს მკერდზე მივადე თავი. თანატოლებში გავრცელებულმა ცუდმა დამოკიდებულებამ ამ კანტორისადმი გასაქანი არ მომცა. საერთოდაც, ამიერიდან ვინც მოინდომებს ჩემს ნუგეშისცემას, ჩემგან თავი შორს დაიჭიროს.
 გამოვედი, მეტი რა ჩარაა.
 საღამოა, მაღაზიის ვიტრინები განათებულია. კაფეებში გახურებული მიდის სტომაქების ამოვება ნაირ-ნაირი სასუსნავით. დილიდან არაფერი ჩამსვლია პირში, არცა მშია. ტროლეებზე მისრიალებენ ასფალტიან გზაზე. კინოთეატრებთან ხალხის რიგებია. წინ ვინც შემხვდება, სიგარეტს ვთხოვ. პირველად გავაბოლე. არც თავბრუ დამეხვა, გულიც არ ამრევია. სიგარეტს-სიგარეტზე ვენევი. მზადა ვარ, მთელი ქვეყნის მწველების ბოლი ჩემს ფილტვებში შევუშვა. მაინც ვერაფერს დამაკლებს. სრულ აბსურდში ამოყვავი თავი. ათასი ფიქრი შემოვარდა თავში. რომელ ერთს ავყვი. თითოეული, თავის წილ, ყურადღებას მივითხოვს. მე კი, ერთი ვარ. მარტოდმარტო მივუყვები შარავზას. არც ნაბიძი მაქვს, არც — საღამური, ქამარ-ხანჯალზე ხომ ზედმეტია საუბარი. კომბალი. უბრალო, კუნულის ბურქიდან აჩეხილი, არც ეგ გამაჩნია, მხარზე გადავიკიდო. ძალა მოვიკრიბო, მხნეობას მოვუხმო. გულის გასაკეთებლად, სევდიანი სიმღერა შემოვძახო. ახლა შემეფერება, ზედგამოჭრილია: „თავო ჩემო, ბედი არ გინერია“. ცოტა მიკლია. ხიდასკენ გავუყვევ. მტკვარზე, ერთი გადახტომა... „ყლუ“ და... მორჩება, მაგრამ ეს უშველის, ვის? მარტო თევზები გაიხარებენ და ჭია-ლუა იხიერებს.
 ამ ჩათლახმა სიცოცხლემ, ამაომ და უსაფუძვლომ თავისკენ გადამიბირა. აზრი შემოიტრიალა. სახლისკენ ავუხვიე. უბანში, ქუჩაში კაციშვილი არ ჭაჭანებს. შვებით ამოვისუნთქე. კიდევ კარგი, არავინ შემეჩვენა. დაე, ასე იყოს. გავაგრძელოთ არსებობა. ხიდან ხეზე გადაფრინდა გვრიტი. ჩემი თვალთ დავინახე საშობის ჩიტები.

ნელში მოხრილი და ნადრევად დაბერებული სახლში შევიძურნე. შუქის ანთება აზრადაც არ მომსვლია. არავის დანახვა არ მინდა. სლუკუნის ხასიათზე ვარ. სარკეში ჩავიხედე. ფანჯრიდან მთვარის მკრთალ შუქზე გამოჩნდა დაღვრემილი, სევდიანი, სულელი გამომეტყველების სიფათი. რა ვქნა, არ ვიცი. მზარავს იმის გაფიქრება, ხვალ რომ გათენდება, რა იქნება, როგორ ვიცხოვრებ. თავში რა ქვა ვიხალო. მომინევის, გაზრდილი ულუფა-დოზანის ჭამა. ჩაროზად ჯანდაბის დაღევი. ჟურნალი დამთავრდა. ანი დაინყება კინო. უხილავმა როლი მომცა. სულაც არ ანაღვლებს, მსურს თუ არა შესრულება, მომინევის თამაში.

ბოდიალი დავინყე. ოთახიდან-ოთახში დავდივარ. გარდერობი გამოვადე, ტანსაცმელი გადმოვყარე, სათითაოდ გადავარჩიე, აკურატულად დავანყვე თავის ადგილას. კომოდის უჯრები გამოვინე, რას ვეძებ, არ ვიცი. მექანიკურად ვმოძრაობ. ბოლო უჯრაში დახვეული თოკის გორგალი შემეჩინა ხელთ. მზაკვრულმა აზრმა გამიელვა. გორგალი გავშალე, ხუთ მეტრამდე იქნება. ყულფი გამოვსკვნი, კისერზე ჩამოვიცვი. გამაჟრჟოლა და გამაცია. ჩემს სხეულში ორმა ადამიანმა გაიღვიძა ერთდროულად. პირველი ადამი ქერისაკენ იყურება, საიმედო, კაუჭიან, გამძლე ადგილს ეძებს ჩამოსაკონიალებად, შურისძიება წყურია. საკუთარი უმწეობის დასჯა სწყურია. თვალები მხეცივით უელავს. არაფრის გაგონება სურს. კმაყოფილებისგან კრუსუნებს იმის გაფიქრებაზე, თუ როგორ გაუსწორდება, მის წინააღმდეგ ამხედრებულ ყოფას. სკამიც მოძებნა, ზედ შედგა, თოკი კაუჭს მოარგო, ფეხის გამოკვრალა სჭირდება და... მეყოლეთ ვარდით.

ამასობაში, მეორე ადამი იკრებს ძალღონეს: ყვირის, მუშტს გიღვრებს, შეგაგონებს: არ გაბედო! გაიცინებენ, ლაჩრად ჩაგთვლიან. შესანდობარს არ იტყვიან. საფლავს არ გაღირსებენ. შენს ცხედარს ფრინველებს მიუგდებენ საჯიჯგნად. დედაშენს ეგ უნდა კიდევ? ვინ მოგცა უფლება. გონს მოდი. ბიბლიოთეკაში რამდენი წიგნი შენს მოლოდინში თაროზე არხინად ელოდება, როდის მიხვალ. ბლანკს შეავსებ, წიგნს ამოილილიავე. ვერ მოითმენ, გზაშივე გადაშლი და... გილიოტინაზე ავლენ მეფეები. იმპერატორები გვირგვინს დაიდგამენ. ქალაქებს დაიპყრობენ. ჩამოდი სკამიდან, ჯერ ადრეა ჩვენი სიკვდილი. ამდენი ამბების უცლოდინარი გინდა მოკვდე?..

პირველი ადამი ჩაერთო კამათში, მეორე ადამს მიახალა:

— რას მიედ-მოედები, შვილოსან! ბიჭი სწორ გზაზე დგას, ხელს ნუ შეუშლი. ალას-რულოს ჩანაფიქრი. დიდი არაფერი დაშავდება, წიგნების ნაუკითხავად თუ მოკვდება. განა, იმ წიგნებში უბადრუკი არსებების ბოლო სიკვდილით არ მთავრდება? მიდი, გამოჰკარი ფეხი. შენც დაისვენე და მეც დამასვენე!..

მეტი აღარ შემიძლია. მარჯვენა ფეხი ავნიე, სკამს უნდა წავკრა. მეორე ადამმა მხეცივით დაიღრიალა. ჩემს წინ დავიშხო. ფეხებს მარნ-უხვივით შემოაჭლო თავისი ხელები. მოთქვამდა და გოღებდა. არ ემეტება თავი სასიკვდილედ. გადაწყვეტილია. ხიფათი ზურგს უკანაა. მისი ყინულივით ცივი სუნთქვა კისერთან იგრძობა. სასწრაფოდ უნდა მოიმოქმედოს სასწაული. საბაზი სჭირდება, დამაჯერებელი. დრო არ ითმენს. წამოშობი ჩართულია. მობეზრდა ლათაიები. პირველი ადამი გამარჯვებას ზეიმობს, მკერდზე გულხელდაკრეფილი, თავს სკამისკენ იქნევს:

— მიდი, რას ელოდები.
 — ანჭელიკა! ანჭელიკა გელოდება, მეორე ადამმა მთელი ძალით შემანჯღრია, — ხუჭუჭმითანი, შენ გგონია, ახლოს არ გიკარებს? არ დაიჯერო. ნევეს ახლა თავის ერთ-ცეცქნა ოთახში, თავი ბალიშზე უსვენია, ცრემლებით ალბობს, შენს მკლავებში ტყვეობას ნატრობს, შენი ტურნების ამბორის მოლოდინში ჭკნება. ქარში მოქანავე ლერწამივით თრთის. შენ სხეულში გათქვეფას ნატრობს. იჩქარე! იცოდე, არ ინანებ! სიკვდილი თუ გინდა, ნადი ჩქარა. კარებს ახსენი რაზა. არ არსებობს სამყაროში მაგაზე უკეთესი სიკვდილი, დამიყვრე. ეს ერ-



ლიტერატურა

საქართველო

„შენ – უკვდავების ჩამონადენი, მშენებელი ხარ შენით იქვე; დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“

კარგო ლექსი

გზა ქაობისაკენ

მე-16 გვერდიდან

თხელ დამიჯერე... თითქოს საღათას ძილით მეძინა. კარი გაიღო, ძლიერი ქარიშხალი შემოვარდა. ველური მხეცივით დამეჭვრა, თოკი კაუჭიანად მოგლიჯა, ორივე ადამი კედელთან მიიგდო, მე ეზოში გამისროლა. ცახცახმა ამიტანა. ვულკანით ვარ. მთელ ჩემს სხეულში მაგმა ათუხთუხდა. საცაა, ამოხეთქავს ლავა და მერე, კარგად მეყოლებო. უკანმოუხედავად გაიქცევი კი არა, გავფრინდი. ქარიშხალს გავყვევი, რომელმაც ქუჩაში გამიტანა.

შუალამა. ქუჩის კუთხეში ვიღაც მთვრალი დგანდა. ყურმოკვრით გავიგონე მათი ნამღერი სიმღერის სიტყვები: „გადი-გამოდი, გუთანოვო.“ სიმღერისთვის ბოლომდე არ მომისმენია, ვინ მაცალა. ქარიშხალმა ანუელიკას ერთი ციციქა ოთახთან მიმაგდო.

კარს დავეჯავჯურე. კარი შიგნიდან ჩაკეტილი. ოთახიდან მომესმა ანუელიკას ნამძინარევი ხმა, ვინ არისო. შუქი აინთო. კარი გაიღო. ანუელიკამ რომ დამინახა კისრზე თოკმობმული, შიშით ხმა ვერ დამარა. ლამის პერანგის ამარაა. გამხეცივული ვეცი, კარს მარჯვენა ფეხი ვკარი, ჩავაკარბაკე. თავი ნათურას მივარტყი. დანარჩენს ნუ მკითხავთ. სამზელო არაა გამოსატანი. თავს შევაკლავდი, წინ რომ ვინმე გადამლობოდა. მეხუტება, თან ჩურჩულებს:

– ეს რა მიყავი, ბიჭო, – მკოცნის, მეფერება, – გარეთ თავი როგორ გამოვიყო, მთლად ბავშვი ხარ, – თავზე მეალერსება.

კედელზე მეორე ადამის განათებული ანრდილი გამოიკვეთა, თვალი ჩამიკრა, ცერა თითი მაღლა ასწია. გაქრა, სამუდამოდ გადაიკარგა.

თითქოს გადამავეინყდა ტკივილიანი ბავშვობა, გუმინდელი დღე, რომელიც ლამის მთელი საუკუნე მეგონა, რომ გავრძეულა და გაიწეა. ანუელიკას სხეულში ჩავიკარგე. ნეტარების ოკეანეში შევეცურე. ასეთი ნუგეში არ მიგრძენია მიდღემში. უცხოა და ახლობელი, რაც კი ნამიკითხავს სასიყვარულო რომანები. რომანის მოქმედ გმირებთან ერთად, ოცნებით მათთან ერთად მივლია, გავცეცეულვარ, მიბრძოლია. ბოროტი ჯადოქრისთვის მზეთუნახავი წამირთმევია სასტიკი, ხელჩართულ შერკინებაში. მთელი ეს ზღაპრები ერთ ღამეში ამიხდა. ციხისიმპაგრეზე დიდებულია ეს ერთი ციციქა ოთახი. უბრალო, გასაშლელი სკამ-ლოგინი. თვალები მაქვს დახუჭული. უმანკობას არ ვეთმობი. მე კი ტალღასავით მოვარდნილ გახელებას ვემორჩილები, რომელსაც უზომოდ გახელილი, ფართო თვალები აქვს. უკვე მერამდენედ მკერდში ვიკრავ ქალს ჩემი გამოუცდელი ხელებით. მინდა, ისე მივეწეებო მის სხეულს, ნეკნები დამემტვრას. ნეკნების ნამტვრევებისგან, რომ შემეძლოს, აუარება ქალს შევეწმინდი, უფრო მეტნი რომ იყვნენ. რა შაქარი, რა ფახლავა და კაკლის მურაბა. თუ კაცი ხარ. ხარბად ვისუნთქავ ქალის სურნელს. ლამისაა, გული წამივიდეს. მის წიაღში მინდა გაუჩინარება. ცხოვრებისგან ჩანჩხლული ნუგეშს ვეძებ.

ტკბილ ძილ-ზურანში ვარ, სასიამოვნოდ დაღლილი. პირველი ადამი დამეცხმრა, ყელზე თოკმობმული. კაუჭზე კონჩიალობს. საცაა, სული ამოხდება. თვალები გამდმოკარკვლია. თავისას არ იშლის. აგონიაშია. თითი აქვს ანუელი, გამაფრთხილებლად მიქნევს. ფეხები გაასასვავა, ხელი ჩამოუფარდა. უმწეოდ დაეკიდა.

წადი, შენი. ანუელიკა ნახად მომეფერა. ყურში ჩამჩურჩულა:

– ჩემო ხარირემო, ადექი, დროა. წადი. სადაცაა, ირიფრაყებს. მეზობლებმა, არ მინდა, აქედან გასული დაგინახონ. სანამ ბინდია, წადი. თუ ღმერთი გნამს...

ნეტავ, იცოდეთ, როგორ მესიკვდილება ადგომა. ამაზე უკეთეს ნავსაყუდელს სად მოვძებნი. რას ვიზამ?! – რის ვაივავლახით ავდექი. ხელის ფათურით მოვძებნე შესამოსელი. ნელა ვიცვამ, წასვლა არ მინდა. როგორც თითო ბავშვს, ანუელიკამ თვალის დახამხამებაში ჩამაცვა. კარის ფარდებიანი გაიჭვრიტა. მკაცრად მითხრა, გამშორდი, სანამ კარგ გუნებაზე ვარო...

მეუცნაურა დილის უხეშობა. ვერაფერი ვუპასუხე. კარი გამოაღო. მუჯღუგუნე მი-

თავაზა არა გამეტებით, ნახად. ეზოში ამოყვავი თავი. ნელში მოვიხარე. მსუნაგი მელისასავით წავსუნსულდი. ერთი ეგაა, კუდი არ მაზია კვალის წასაშლელად.

ქუჩაში ვარ. თენდება.

ვიღაც ძველი ავტორის სიტყვები ამეკვიცია: „ჩქარა, ილევა ღამე, კარებს ახსენი რაზა“. ეს ოხერი ღამე. ჩემი ხათრი არა პქონია – წამში გაილია. ცოტა მოეცადა, ოჯახს აშენებულს. ეცლია ნებივრობა ჩემთვის. ფული არ მაქვს, წლებს მივცემდი. მოსამსახურედ დაუდგებოდი. გესმის, ღამე?..

დილის ძილი ცოლის მზითვეს სჯობიაო, – მომამხა მეზობელმა, რომელიც ჩემი ეზოს ქიშკართან ამეტუზა:

– ამ დილაადრიან რამ გაგაღვიძა?

გამომცდელად მიყურებს. თმაბურძგვნილი ვარ. არ ვიცი, რა იგუშანა. განა, სახეზე მანერია წუხანდელი თავგადასავალი საოცრებათა ქვეყანაში? მინდა, მოღუშული სიფათი მივიღო. მომკალით, არ გამოძღის. მხრებზე კი მანევს ტრაგედია. მალი-მალ თავს მახსენებს. თავიდან არც გამქრალა, მაგრამ მეზობელს, არც არავის არ ვაჩვენებ, რომ გავცდი. შევეგუე უბედურებას. თამაში წავაგე, პირველი რაუნდი. დამარცხების ნიშნად, თითს ვაკავებ? ვერ მოგართვით. მეზობელი ურიგო კაცი არ გახლავთ. განა იმიტომ, რომ პატარა ფული მომცა? გაიგო ჩემი ოჯახის ამბავი. ჩირი თავს ვერ დამაღავსო. შემომთავაზა, სამსახური თუ გინდა, ჩემთან წავიყვან საამქროში. მოიფიქრე, საღამოს პასუხი მითხარი. აბა, შენ იცი, გვერდით მიგულე. არაფერს შეუშინდე, ახალგაზრდა ხარ. თუ ჭკვიანად იქნები, ფულიც გექნება. კარგი სამსახურც. თავს შეინახავ და ოჯახსაც მიხედავ. აბა, კარგად იყავით.

წავიდა. სახლში აღარ მინდა შესვლა და შევეტევა. სკამი გამოვიტანე. კარის წინ დავეცი. ვიცი, დილიდან არ დარჩება მეზობლებიდან არავინ. ყველანი მოვლენ, მომისამძიმებენ. როდემდე დავიმალო. მზად ვარ, მოვისმინო მეზობლების, უბნის, ქალაქის, მთელი ქვეყნის დარიგება. მოდით, რიგში ჩადექით. გისმენთ გულისყურით. ყველაზე დიდი გავკეთილი, პირველი და განუმეორებელი,

უკვე მივიღე. სკოლაში წავედი. ისეთ ხასიათზე ვარ. მიუხედავად გუმინდელი დღის, თავს გადახდენილი უბედურებისა, კი არ მივდივარ, მივფრინავ. თითქოს ფრთები გამომესხა. ცოტა გუნებაზე მოვედი. თავს უფლება მივეცი, წავილიდინე, გაღმა გავალ გუთვნითვინა, თავს მოვიკლავ... აქ გავჩერდი. ტექსტი აღარ გამიგრძელებია. „არვიცია“ სიტყვაა, ჰაი-ჰარად ნათქვამი, ცხოველური არ შეეფერება ჩემ მდგომარეობას. უფრო რომანტიკა მინდა. ვისხენებ კინოფილმებიდან მომხენილ სასიყვარულო სიმღერებს. უხმოდ ვმღერი. ვცდილობ, თავი გავიმხნეო. რა გამღერებს, შე ჩემალა. დედა დაიჭირეს. სულში ისევ შემოვიდა სევდა. გული შემეკუმშა. სახე მომელუშა. წუხანდელი ღამის საჩუქარი მშველის. დიდხანს ვერ ვუძლებ დაღონებას. გულში მონაცვლეობით იკავებს ადგილს სიხარული და წუხილი. ვზივარ გავკეთილზე. ჩემი ოჯახის ამბავი, რაც შემემთხვა, არ იციან. არც მანაღვლებს, თუ გაიგებენ. შემოდიან მანაღვლები, კითხულობენ სააღრიცხვო ყურნალს. გვარ-სახელებს. ვინ მოვიდა, ვინ გააცდინა. იხახებენ დაფასთან მოსწავლეებს. სვამენ ნიშნებს. ახალ გავკეთილს ხსნიან. კლასელები შესვენებაზე ზოგ საკლასო ოთახში რჩება, ზოგი ბუფეტში მიდის. ერთმანეთში საუბრობენ. მე მოვკალათდი ბოლო მერხზე. თავი ხელებში ჩავრგე. მოუთმენლად ველოდები, ჩქარა დამთავრდეს ეს კაკაფონია. დროზე დაღამდეს. ბედს კიდევ ვცდი. ღამის სკოლაში, ამაღამ. ანუელიკასთან მინდა. რა თავში ვიხლი, ახლა, მე ნიუტონს თავისი ჭიანი ვაშლით, ან დარვინს მაიმუნისა საზოგადოებით. ჩემი კლასელების ერთმანეთში ლაილი ღიმილს მგერის. მათთან შედარებით, უკვე სოლომონ ბრძენი ვარ. რაც მათ ესიზმრებათ, ძილში თუ ცხადში, ის ხილი უკვე ვიგეძი, გავსინჯე და ღორმუცელს გავხეხე. ზოგიერთებივით, არ მინდა პირი მოვადო და ჩავუკაკლო თანატოლ ბიჭებს საქმენი საგმირონი. ბაქი-ბუქობა ჩირისდღესავით მძულს. სათუთად ვუფრთხილდები. არ მეჭაშნიკება სამზელოზე გამოვიტანო. მიღეთის ხალხი ვასეირო. ადამიანთა უმეტესობა, საუბედუროდ, ისე, რომ ვერც ამჩნევს, ისე გაატარებს ხოლმე სიცოცხლის დღეებს,

სხვისი ზენის ქექვაში გართულს, საკუთარი, ზინზლიანი ზენარი რჩება გაურეცხავი. შემდეგ ნანობს, იმას კი ვერ ხვდება, მიზეზი თვითონ არის.

ამ სკოლაში ვერაფერს დავიხლოვე. განა, ვემდურები ვისმეს. გავკეთილები დამთავრდა. სახლისაკენ გავეშურე. აღბათ, ერთ კვირამდე მომიწევს მეზობლების ნაყალბევი თანაგრძობის მოსმენა. მერე, იქნებ, ყველაფერი თავის კალაპოტით წავიდეს. ერთი იმედგაცრუება წინ კიდევ მელოდება.

ანუელიკა, რომელიც ჩემდა სამწუხაროდ, ისე გაქრა, იმ დღის შემდეგ თვალი არ მომიკრავს, ვერ გავიგე, ცამ ჩაყლაპა თუ დედამინამ. იმავ დილას, გამოუკრავს ბოხჩაში თავისი ავლა-დიდება და გამქრალა. საღამოს, როცა მასთან დავაპირე მისვლა. ყვავილების პატარა თაიგული, პერანგის ქვეშ დავმალე. იმედითა და უღვევი სიხარულის მოლოდინით მივადექი, ჩემი ნარმოდგენით, ნავსაყუდელს. იმედის კონცხი ვერ ვიპოვე. ერთი ციციქა ოთახის ერთი ბენო კარს ჩემხელა ბოქლომი ეკიდა. ღამის ავსლუკუნდე. ბავშვივით, ჯიუტად ვაბაკუნო ფეხები. თვალებს მაძებარავით ვაცეცებ, აღრენილი ვარ. ეს ერთი ღამე მალამოდ მომეცხებოდა. გამოვტრიადდი, ზურგში ლახვარჩარტყმულივით. ბედი არ გინდა?! წინ შინაბერა, გადაღრძეული თინა შემეფეთა. თმა აღისფრად შეუღებავს. ტანით პატარაა. გოგრასავით მრგვალია. ტურქებსა და ღამის მთელ სახეზე პომადა წაუცხვია. ყურებზე იფასიანი ბიუსტერია უკონჩიალებს. წარბები დაუპუტია, მის ადგილზე შავი ტუში გადაუგლესია. ფუი, ეშმაკს, როგორ გინდა. გვერდი აუქციო. იქედანურად შემომხედა. მაგის მონკურულ თვალებს რას გამოაპარებ.

– როგორ გიკითხო, აქ, ჩვენს ეზოში რას ექებ, რა დაგკარგავიაო... – თან დაბალი ხმით წაილინა „ყვავილების ქვეყანა, ჩოქვით შემოვიარე“. ტექსტი უცებ შეცვალა, გააგრძელა, „გამიფრინდა ჩიტო-გვრიტი, შოვ რანინაო“. ამ მანაკმა მიმახვედრა, ყველაფერი ვიცი, ჩემს გამჭრიახ მურას რა გამოუპარება. მეტი რა საქმე მაქვს. მთელ ეზოს ვაკონტროლებო. ხმა არ გავეცი. სასწრაფოდ გავშორდი. ემანდ, რამე ისეთი არ მიიხრას, ვერ მოვიმენ, შარს გადავეყრები. მაგისგან დანდობა არ იქნება, მიჩივლებს. ამას წინათ, მეზობლის სამშვილიან დედას გაკაპასებული ეჩხუბებოდა. ჩხუბით გული რომ იჯერა, სანყალ ქალს მრავალმნიშვნელოვნად მიამხა, ჩემზე პატროსანი დედამინის ზურგზე ქალი არ დადის. ჩემთან ახლოსაც ვერ მოხვალთ. ჩემი ფრჩხილის ფასად არ ღირხართ. ქალი დავებრდი, კაცის ხელი არ შემეხებიაო.

გაუქმებული თაიგული ცხვირთან მივიტანე. მთელი ძალით შევისუნთქე ყვავილების საუბრის სურნელი. ჩავილიდინე: „თინა, თინა, ჩემო თინა, გათხოვება ხომ არ გინდა?“ ზურგიდან წამომენია, გაკაპასებული თინას საფირმო ბრენდი წყევლა:

– შენ არ გაიხარე, პრუტინან კრაოტშიო...

ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ნერვებს ნუ აჰყვებით, თორემ აყენებული გუნება დაგვივარდებათ. სიცოცხლის ხალისი წავგრთმევთ. კიდევ კარგი, თინას წყევლა არ მატერიალიზდება, თორემ ჩემი სხეულისგან ქვაქვაზე არ დარჩებოდა, ყვავ-ყორნები დამჯიჯგინდნენ. სტიქის მდინარე წამიღებდა. მორჩენილ ხორცს, ძვლებიანად, თევზები შეახრამუნებდნენ. თავის ქალას ქარვასლად გადააქცევდნენ, ჭიანჭვლების საბითუმო ბაზრად.

მხნეობა მოვიკრიბე. უკან მივბრუნდი. ჯიქურ მივეჭერი კაცების გულთამყრობელს. ცალ ფეხზე დავიჩოქე. თაიგული გავუნოდე, პირით მწყევლი, მაგრამ შენი ძუძუები მლოცავენ, ფუფალა ძალო-მეთქი. თინამ თაიგულს ხელი სტაცა. დაიხავლა, მეზობლებო, მომაშორეთ ეს იუდა ისკარიოტელი. ამასობაში, დისლოკაციის ადგილი შევიცვალე. გარეთ, ქუჩაში გამოვედი. ჩემი ეზოში შევეგრიადდი. მეორე დღეს ამ ტუტუცმა ხმა დამიყარა, ნაღდად აფრენს. თაიგული მომართვა ლანჩაკმა ბავშვმა, ხელი მთხოვა, როგორ გამიბედა, ჯერ დილომიც არ აუღლიაო...

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)





საქართველო
საქართველო

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერება სომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვა“
კონსტანტინე

■ **არა-ჩვეულებრივი გვერდი**

მარადი „ლამაზმანის“ სასიყვარულო ინტრიგები

„ლამაზმანი“ 1967 წლის 28 ოქტომბერს ჯორჯიის შტატში დაიბადა. უგერგილო მონარქი ბავშვობაში, თურმე, ვეტერინარობაზე ოცნებობდა. მეგავარსკვლავედ ქცევის შემდეგაც კი, თავის გარეგნობას ჯულია ფანატიზმის გარეშე აფასებდა: „მეტისმეტად მაღალი ვარ, რომ ქალიშვილად მიმიჩნევდნენ, არასაკმარისი სამოსი მაქვს, რომ ლედი ვიყო და ვერასოდეს ვუნოდეხ საკუთარ თავს ქალს...“

სკოლის დამთავრების შემდეგ ჯულიამ ნიუ იორკს მიაშურა და სხვადასხვა სამსახიობო კურსზე ჩაეწერა, თუმცა ერთის დამთავრებაც ვერ მოახერხა. სამოდელი სააგენტოებშიც ყურადღებას არავინ აქცევდა. ამიტომ სწავლასა და სინჯებს შორის დროის მონაკვეთებში, მანჰეტენზე, სპორტული ფეხსაცმლის მაღაზიაში გამყიდვლად მუშაობდა. უფროსმა ძმამ, ერიკმა, რომელიც უკვე რამდენიმე ცნობილ ბოევიკში იყო გადაღებული, მორიგ ბოევიკში დაიკო ეპიზოდურ როლში გადასაღებად მიიყვანა.

იმხანად ჯულიას რომანი ჰქონდა ლაიამ ნისონთან (ჯედაი კვაიგონგი „ვარსკვლავური ომებიდან“), რომელიც რამდენიმე ეპიზოდური როლის შემდეგ „ფოლადის მაგნოლიებში“ გადაიღეს, რისთვისაც ოქროს გლობუსი მიიღო და თავის პარტნიორ დილან მაკდერმოტზე დაინიშნა. 1990 წელს კი, დაშორდა.

იმავლე წელს ჰარი მარშალმა პროდიუსერები დაარწმუნა, ჯულია რობერტსი ფილმ „300 დოლარში“ მიენვიათ მთავარ როლზე. ფილმს ჯულიას მომხიბლავი ღიმილის გამო მალე სახელწოდება შეუცვალეს და „ლამაზმანი“ დაარქვეს. რობერტსის პარტნიორი ჯენტლმენი რიჩარდ გირი იყო, რომლის სიყვარულმაც ქალს თავი დააკარგინა, თუმცა გირთან რომანი ფილმის გადაღებასთან ერთად დასრულდა.


ჯულიას გულში ლახვარი ჩასცეს, მაგრამ მის კარიერაში ნამდვილი „გარღვევა“ მოხდა: თანამედროვე კონკიას როლმა 23 წლის მსახიობს ჯერ მსოფლიო სახელი, შემდეგ კი, კინოს ისტორიაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ვარსკვლავის ტიტული მოუტანა.

გირთან მოკლენიანი რომანის შემდეგ, რობერტსმა სასიყვარულო ურთიერთობა კიფერ საზერლენდთან გააბა და განაცხადა, რომ კიფერი მისი ოცნების მამაკაცი იყო. საქმე ქორნილისკენ მიდიოდა, 600 სტუმრისთვის დიდი ნვეულების სამზადისიც წამოიწყეს, მაგრამ საქმრო ქორნილამდე ცოტა ხნით ადრე სკანდალში გაება: პაპარაცებმა უცნობ მოცეკვავე ქალთან „გამოიჭირეს“. ჯულია გაცოფდა და რჩეულს მის საუკეთესო მეგობარ ჯეისონ პატრიკთან უღალატა – ქორნილამდე სამი დღით ადრე ჯეისონთან ერთად ირლანდიას მიაშურა.

„მე ძალიან ვუახლოვდები მამაკაცებს, რომლებთან ერთადაც ვმუშაობ“, – გამოთქვდა ერთხელ ვარსკვლავი, რომელსაც საზერლენდთან განშორების შემდეგ ურიცხვი ხანმოკლე რომანი ჰქონდა. მის საყვარლებს შორის იყვნენ პლეიბოი ჯორჯ კლუნი, მეთიუ პერი, დენიელ დელ ლიუსი, კემპბელ სკოტი, ითან ჰოუკი (უმა თურმანის ყოფილი ქმარი), ჯონ მალკოვიჩი, აიდან ქუინი და შონ პენი (მადონას ყოფილი ქმარი).

ერთხანობა „ლამაზმანი“ ნუგეშს თავისი მწვრთნელი პასკუალე მანოკიას მკლავებშიც ეძებდა. ვარსკვლავის „რომანტიკული წესებიდან“ გამონაკლისი აღმოჩნდა პიუ გრანტი, რომელთან ერთადაც ფილმში – „ნოტინგ-ჰილი“ ითამაშა.

„გაქცეული საცოლის“ გადაღებისას, რობერტსი კვლავ რიჩარდ გირის მომხიბველობის ტყვეობაში აღმოჩნდა და მასთან



ვისგან ითხოვა ჯულია რობერტსმა ძმარი





„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელი – ქართული სიტყვა, ქართული სიტყვაც“

კარნეგის

ლ. ტყეშელაშვილი.
საქართველო. ქობულთა

არა-ჩვეულებრივი გვერდი

80-18 გვერდიდან

ხელახალმა განშორებამ დეპრესიაში ჩააგდო, რის შემდეგაც რობერტსმა მთელი მსოფლიო გააოცა – ცოლად ქანთრის მომღერალ ლაილ ლოუეტს გაჰყვა. ეს ცნობა ყველამ ხუმრობად მიიღო, რადგან ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ „ლამაზმანმა“ არჩევანი „ურჩხულზე“ შეაჩერა. მათი ქორწინება 21 თვეს გაგრძელდა, რის შემდეგაც ცოლ-ქმარი მეგობრებად დარჩნენ.

როცა ჯულიამ რომანი ბენჯამენ ბრეტთან გააჩაღა, პოლივუდში ალაპარაკდნენ, რომ ვარსკვლავმა, როგორც იქნა, თავისი ოცნების მამაკაცი იპოვა, მით უმეტეს, რომ ჯულია სრულებით ბედნიერი ჩანდა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ტკბილ ნყვილს იდეალური ურთიერთობა არ ჰქონდა. ამბობდნენ, რომ ბენს სრულფასოვანი ოჯახი და შვილები უნდოდა, „ლამაზმანს“ კი კარიერა უფრო აინტერესებდა. მათი განშორების ოფიციალური ვერსია ასეთი იყო: „ჯულია სერიოზული ურთიერთობებისთვის მზად არ არის“.

ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ „ინათხოვრა“ თავისი ამჟამინდელი ქმარი, დენიელ მოდერი ჯულია რობერტსმა მისი კანონიერი ცოლის, ვერა შტაინერ-მოდერისაგან, პოლივუდში ლეგენდად იქცა.

„შენი ქმარი ისეთი საყვარელია, ვერ მათხოვებ?“ – იკითხა ჯულიამ. „რასაკვირველია, გათხოვებ, თუკი უნინდელ მდგომარეობაში დამიბრუნებ,“ – წაიოხუნდა ვერამაც, რომელსაც რობერტსის სიტყვები ხუმრობად მოეჩვენა.

მოკრძალებული ოპერატორი დენი მოდერი ლამაზმანმა ფილმ „მექსიკელის“ გადასაღებ მოედანზე გაიცნო. ფილმში მთავარ როლს, ბულვარული ჟურნალების ვერსიით, ყველაზე სექსუალური ცისფერთვალა ბრედ პიტის ასრულებდა, თუმცა ორ მეგავარსკვლავს შორის სასიყვარულო ნაპერწკალი არ ანთებულა.

„ახლა დენი ის ბედნიერი კაცია, რომელიც შეყვარებულთა მსოფლიო დღეს ეკრანის ქალღმერთთან ხვდება! – იცინის ჯულია. სამი შვილის გაჩენისა და მშვიდი ოჯახური ცხოვრების ფონზე ნიუ მექსიკოში, ტაოსის რანჩოში ჯულია დაშოშმინდა, – ჩემი შვილების შემხედვარეს, სიხარული მიპყრობს, ჩემი ქმარი კი, ძალიან პოზიტიური ადამიანია. მასთან სრულებით ბედნიერი ვარ!“ – აცხადებს ვარსკვლავი, რომელმაც ერთ-ერთ გამოცემასთან ინტერვიუში კითხვაზე, თუ რას ეფუძნება მისი ურთიერთობა ქმართან, ორაზროვანი პასუხი გასცა:

„ჩვეულებრივ, ამ თემაზე საუბრისას ტყუილებს ვფქვავ ხოლმე, უფრო სწორად, ყველაფერზე, რაც ჩემს პირად ცხოვრებას ეხება...“

შესაძლოა, სწორედ ამ სიტყვების გამო, როცა ფილმის – „ჭამე, ილოცე, შეიყვარე“ გადაღებები მიმდინარეობდა, სადაც ლამაზმანი სასიყვარულო სცენებს თამაშობდა ჰავეერ ბარდემთან, მისი ცოლი პენელოპა კრუსი ხანგამოშვებით კუნძულ ბალიზე გადაღებებს სტუმრობდა, რათა, ღმერთი არ გასწყრომოდა და საყვარელი ქმარი ნებიერი ჯულიასათვის არ ეთხოვებინა...



მულახნი

ჯონი გიგანს

ვეუბნები ყველა ქართველს, გულახდილს, სვანის სიტყვა, – „სიყვარული“ ღმერთს უდრის, სვანეთშია დიდებული მულახნი, მულახს თავზე ადგას დიდი თეთნულდი. ჩემს სიყვარულს მულახთან აქვს საერთო, უმულახოდ, დამიჯერეთ, სულ სხვა ვარ, თეთნულდიდან გიმზერ, ჩემო სვანეთო, თეთნულდიდან ვეფერები მულახსაც. სვანურად ხომ მულახია „მამა-მთა“, მულახმა კი, სვანი წელში გამართა! მინდა, მისი სიყვარულით გამოვთვრე, მულახია გიგანების სამოთხე!

ჯანსუღ ჩარკვიანი



ჯანსუღის სიტყვათაღებუნი

მინდია უგრახელიძეს!

რა ვქნა, რა ვუყო, ჩემი სიტყვა თუკი არ ესმით, შენა ხარ კაცი, რჩეული და უჭკვიანესი, დრონი მეფობენ, მაგრამ რა ვქნათ, დრონი მიდიან, შენ აქ არა ხარ, შენ ცაში ხარ, ჩემო მინდია! და ერთგულება ჩემი შენთვის მე მომინდვია!

რა გვარია?

რა გვარია? რას ატარებს, რა გვარსა? სიტყვას გეტყვით მაგარსა, გვარის რა მოგახსენოთ და, ის ვიცი, რომ დაგვაფსა. გაუმარჯოს მის ჯილაგს და ნაგრამსა, წარმოშობით ძალიან გავს ნავაგსა!

უკანონო

თარგამაძეს მიშას პალტო აცვია. მე უნდა ვთქვა, თარგამაძემ თუ ვერ თქვა, თარგამაძე უკანონო კაცია, მაინც დადის „კანონიერ ქურდებთან“.

ნარმანია

ვინც აგინებს ნარმანიას, ყველა არა-„ნარმალნია“.

ერთადერთი

ვერ ჩაგიკრავ, ბიჭო, გულში, მსურს, რომ გრეკო მათრახი, ორიათს წიკლაურში ერთი გახლავთ ჩათლახი.

აგონია

გულო, არ შეშინდე, არავითარი აგონია, სიკვდილიც სიცოცხლეა, შენ, აბა, რა გგონია?!

კაენი

ქართული მომანატრე, ლაპარაკობ სხვა ენით, შენა ხარ მოლაღატე, ესე იგი, კაენი.

ამწეზია

ვინ გაკადრებს რამე ზიანს, ებრძვი მეცნიერებას, ბიჭო, შენ გაქვს ამწეზია, არ გაქვს მეცხიერება.



თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს (ყოფილი „არამიანცის“) ეიფლები – „ეპერჯენსი“

